გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

# ქართული სიტყვა

№3 (267)

ფასი 1 ლარი

21 – 27 იანვარი, 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## ვინ შეუკვეთა იური ვაზაგაშვილის აფეთქება და სად მიდის კვალი

„ამ მკვლელობაში არაერთი პირი იყო ჩართული...“ მე-16 გვ.



ექსკლუზიური ვერსია

შვილმოკლული მამა შვილის საფლავზე მოკლეს!

## „ეს სკანდალია!“



ერევანში გამართულ „სხადნიაკზე“ ქართველი ქურდები დატუქსეს მე-2-3 გვ.

## ვისი დავალებით შევიდა ქურდი ირაკლი ალასანიას ბინაში

## რა „რაზბორკა“ გაიმართა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებამდე რუსთავში

მე-8-9 გვ.



## ზურა კიწმარიშვილი რუსულ კვალს არ გამორიცხავს!

### რატომ არ ჩანს ია კიწმარიშვილი

„ეროსი დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, თუ ფული ისესხა, ბუნებრივია, ეს თანხა უნდა დაებრუნებინა. თუ სხვისი ფინანსებით სარგებლობდა, გამოდის, რომ არჩევნებში ვიღაცის ინტერესების გასატარებლად შევიდა? ასეთ პირობებში პირადად მე, არ დავუშვებდი, ვინმეს ვალი მქონოდა. მთლიანობაში ვთვლი, რომ ეს ჭორია და მსგავსი არაფერი ყოფილა“.

## ყველაფერი გველებზე

როგორ მრავლდება, რატომ ეშინიათ ადამიანების, მართლა უყვარს თუ არა რძე, რა სარგებლობა მოაქვს უხსენებელს და როდისაა გველის ნაკბენი სასიკვდილო მე-14-15 გვ.



მე-13 გვ.

## „გაითავისე!“ – 32 წლის დუშელი ექიმის საქველმოქმედო ინიციატივა

## ქუჩაში 2 კილოგრამამდე ნაგვის დაყრისთვის, 80 ლარით დაჯარიმდებით!

„ცივილიზებულ ქვეყანას უნდა დავემსგავსოთ!“ ქვეყნის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი გვაფრთხილებს მე-12 გვ.

2 | № 3 (267) | 21 – 27 იანვარი 2015

ქართული სიტყვა

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

**„ჩვეულებრივი ქურდობა რომ ყოფილიყო, რამე დაიკარგებოდა. თუკი არაფერი წაიღო, აბა, ქურდი ბინაში რისთვის შევიდა? საერთოდ, თუ მძარცველი გიჟი არაა, პოლიტიკური მოღვაწის სახლში არ შევა... გამოძიებამ, პირველ რიგში, მოტივაცია უნდა გაარკვიოს, თუ რა მიზნით შევიდა უცხო პირი ალასანიას ბინაში. ასევე, უნდა დადგინდეს, საცხოვრებელში რამე ტექნიკური საშუალება ხომ არაა შეტანილი... არსებობს სპეციალური სკანერები, რომლითაც დადგინდება, ალასანიას ბინაში მოსასმენი აპარატურა დამონტაჟებულია თუ არა. ისიც საინტერესოა, მხოლოდ ვიდეოთვალია დამონტაჟებული თუ „შაიბაც“, ანუ ფარული მოსასმენი მოწყობილობა, რომელიც, როგორც წესი, ელექტროქსელში მონტაჟდება... ირაკლიმ ეს თემები მშვენივრად იცის — უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო და მსგავსი რაღაცები არ გამოეპარება...“**



# „ეს სკანდალია!“ — ვისი დავალებით შევიდა ქურდი ირაკლი ალასანიას ბინაში

**„შაბათს ნიკო ჯარში იყო, ცვლაში, ირაკლი — ევროპაში, კატო — სამეცადინოდ მეგობართან და მე — საკვებად „მეგრელებში“. დავბრუნდი და სახლის კარი შიგნიდან დამხვდა დაკეტილი. 10 წუთი ვაღებდი და ვერ ვაღებდი, ხან დავკეტე გარედან, ხან ისევ გაღება ვცადე, ხან ზარი ვრეკე, ხან კატოს ვურეკე, შენ ხომ არ დაბრუნდი-თქო... მერე, კიდევ გაღება ვცადე და ათი წუთის მერე, მიუხედავად რაჭველობისა, მივხვდი, რომ ვიღაც კუდრაჭაა სახლში. დაბლა ჩავედი, არ გამოვარდეს შეშინებული და ჩამცხოს რამე, ისიც ხომ ღელავს, რომ დავადექი-თქო, ვიფიქრე და რეკვა დაბლა ჩასულმა დავიწყე ახლობლებთან და პოლიციაში. მოკლედ, გამეპარა. ახლა დამტკიცება ძნელია. ირაკლი მეუბნება, კამერის დასაყენებლად, ან რამისთვის შემოსვლა კი არ მიკვირს, ის მიკვირს, როგორ დაგხვდებოდნენ, მთლად ასეთი არაპროფესიონალიზმიო?.. ერთი გასაღები მაქვს, მხოლოდ გარედან კეტავს და იღება, თავს ვერ ვპატიობ, რომ არ მომაფიქრდა, არ ჩავკეტე და არ დაგახვედრეთ სახლში-თქო, ჩავიხვიე და ვიმეორებ მას მერე. გუშინ, კიდევ ერთხელ, კატოს ვუყვები, რა ცუდია, რომ არ ველოდი, ტვინმა არ იმუშავა, როგორც საჭიროა, როგორ არ ჩავკეტე-თქო. კატო მისმენს თავისი წყნარი და კეთილი სახით და მეუბნება, კარგია, რომ არ მოგაფიქრდა, მერე, აივნიდან რომ გადამძვრალიყო, გადავარდნილიყო და მომკვდარიყო, ამაზე ხომ უფრო ინერვიულებდი? წარმოვიდგინე ეს ამბავი და... ბრაზისგანაც განმკურნა, სინანულისგანაც, ყველაფრისგან. საოცარი შვილები მყავს, ნიკოც ასეთია — ისეთ მოულოდნელ რამეს გეტყვის, გაოგნებული და ყველაფრისგან თავისუფალი რჩები... ყველაფერი, უბრალოდ, თავგადასავალია. ეს ორი ადამიანია სინამდვილე და ადამიანში ღმერთის არსებობის დასტური ჩემთვის“, — ეს სიტყვები ძველით ახალი წლის მეორე დღეს, ანუ 15 იანვარს თავდაცვის ყოფილი მინისტრის მეუღლემ, მწერალ გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილმა, ფსიქოლოგმა ნათია ფანჯიკიძემ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა. მერე, ცნობილი გახდა, რომ ალასანიების სახლში „კუდრაჭას“ შეპარვაზე საქმე ქურდობის მუხლით აღიძრა და ცოლ-ქმარმა ჩვენებაც მისცა... გამორიცხული, რასაკვირველია, არაა, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ბინაში, მართლაც, ქურდი შევიდა, მაგრამ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ სკანდალური ინტერვიუების ციკლში ამბობს, რომ ქურდობა, მით უმეტეს, რომ არაფერი დაკარგულა, არადამაჯერებელია. ამასთან, ფორჩხიძე მაინიშნებს, რომ სახლი, სადაც ალასანია ცხოვრობს, დაცულია და საუბრისას „შაიბასაც“ ახსენებს. გარდა ამისა, ქართველი სპეცსამსახურელი სომხეთში შექმნილ ვითარებასაც აფასებს და გიუმრის ტრაგედიის გარდა, ერევანში გამართულ „ქურდულ სხადნიაკზეც“ ლაპარაკობს, რომელზეც, ფორჩხიძის თქმით, ქართველი ქურდები დატუქსეს...**

## ერევანში გამართულ „სხადნიაკზე“ ქართველი ქურდები დატუქსეს

**— ბატონო კონსტანტინე, დასაშვებია, რომ გიუმრში მომხდარი მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი და, საერთოდ, სომხეთში მიმდინარე პროცესები საქართველოზე გავლენას მოახდენს?**

— რა თქმა უნდა, მოახდენს. ყოველ შემთხვევაში, არაა გამორიცხული, რომ იქაური დაძაბულობა საქართველოს ეთნიკური სომხებით დასახლებულ რაიონებზეც გადმოვიდეს.

**— სამცხე-ჯავახეთს გულისხმობთ?**

— დიახ.

რაც შეეხება გიუმრში მომხდარ ტრაგედიას, არ მგონია, ეს წინასწარ განზრახული მკვლელობა იყოს. საერთოდ, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზას ასეთი საშიშროება ყოველთვის ახლავს.

**— შემთხვევითობისგან დაზღვეული, ცხადია, არავინაა, მაგრამ საგულისხმოა, რომ სომხეთში, რომელიც ევრაზიული კავშირის წევრი ახლახან გახდა, რუსეთის დროშებს ფეხქვეშ თელავენ...**

— არ მგონია, რუსეთის ინტერესებში ყოფილიყო, რომ მის სამხედრო მოსამსახურეს ასეთი ვანდალური აქტი ჩაედინა და ამით სომხეთთან ურთიერთობა გაერთულებინა.

**— თუკი კრემლს ურთიერთობის გართულება არ აწყობს, აბა, მკვლელი სამხედროს სომეხი სამართალდამცავებისთვის გადაცემისგან თავს რატომ იკავებს?**

— რუსული კანონმდებლობით, დამნაშავე სამხედროს სხვა ქვეყნისთვის გადაცემა არ შეიძლება... ისე, გიუმრის ტრაგედიით სომხეთში იმ ნაციონალისტურმა ძალებმა გაიღვიძეს, რომლებიც პირდაპირ „დაშნაკცუტუნთან“, „ვირქსა“ და „ჯავახკთან“ არიან დაკავშირებულნი.

**— ყველაფერი ეს რითი დამთავრდება?**

— ვფიქრობ, რომ სიტუაცია დაწყნარდება.

**— როგორ?**

— სომხეთის ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას არ მოერიდება.

**— ეს ხომ ვითარებას უფრო დაძაბავს?**

— დაძაბავს, მაგრამ ნურავის ჰგონია, რომ სომხეთში დემოკრატია ყვავის. იქაც ზუსტად ისეთი ავტორიტარული სისტემაა, როგორც რუსეთსა და ევრაზიული კავშირის წევრ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.

**— თუკი სომხეთში არეულობა პიკს მიაღწევს, რუსეთი რა პოზიციას დაიჭერს? ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ სომხეთისკენ, წესრიგის დამყარების საბაბით მიმავალი კრემლი, საქართველოსაც „გადაუვლის“?**

— არ მგონია, კრემლი სომხეთში მიმდინარე პროცესებში ზედმეტად ჩაერიოს, რადგან ოფიციალურ ერევანთან ყველა საკითხი გადაწყვეტილი აქვს — საბაჟო კავშირში შეიყვანა, ევრაზიული კავშირის უსაფრთხოების წევრიც გახადა. რუსეთს გიუმრის ბაზა უფრო სხვა მიმართულებით სჭირდება და ეს ე.წ. ისლამურ რესპუბლიკაში რუსული ჯაშუშური ქსელის ჩავარდნითაც გამოჩნდა.

**— ანუ?**

— „შარლი ებდოს“, ანუ სიტყვის თავისუფლებაზე რადიკალი ისლამისტების მიერ მიტანილი პირდაპირი იერიშის შემდეგ ევროპაში შექმნილ ფონს ვგულისხმობ. პარიზში, ერთიანობის მარშზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლავროვის ჩასვლა ლამის მთელმა მსოფლიომ არაგულწრფელ ნაბიჯად მონათლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთი სხვანაირად ფიქრობს — თუ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც უნდა განვითარდეს, ანუ ისლამისტური სახელმწიფოს რყევა დაიწყო, კრემლი თამაშგარე მდგომარეობაში არ დარჩება. საამისოდ კი, რუსი აგენტების „ჩავარდნა“ კარგი საბაბია.

**— სიმართლე გითხრათ, კოტე ბატონო, ვერ ვხვდები, საუბარი საითკენ მიგყავთ.**

— რუსეთი სახმელეთო ოპერაციებში ჩაერთვება და ამას იმისთვის გამოიყენებს, რომ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის შესვლას ხელი შეუშალოს. სხვათა შორის, ირანსაც სწორედ ეს მიზანი აქვს. მოკლედ, ანტიტერორისტულმა კოალიციამ რუსეთი შეიძლება, ოფიციალურად არ მიიწვიოს, მაგრამ კრემლი იტყვის, ისლამური სახელმწიფო ჩემთვის საფრთხეა, რადგან 40 პროცენტით, ჩემი ქვეყნის მოქალაქეებით, ანუ ჩრდილოეთ კავკასიელებითაა დაკომპლექტებული და სრული უფლება მაქვს, ანტიტერორისტული ოპერაცია განვახორციელოო.

სხვათა შორის, რუსულ სპეცსამსახურებს საკუთარი აგენტების დასჯა სჩვევიათ.

**— იმის თქმა გინდათ, რომ რუსებმა საკუთარი აგენტები თვითონ „ჩაუშვეს“?**

— დიახ, გამორიცხული არაა.

**— ისე, საგულისხმოა, რომ რუსეთის მოქალაქეები რადიკალმა ისლამისტებმა ბავშვებს დაასჯევინეს...**

— შეკითხვებსაც სწორედ ეს ბადებს... ყველა, ვინც სპეცსამსახურის მუშაობაში ჩახედულია, მიხვდება, რომ ყველაფერი ეს „გე-რე-უ“-ს მუშაობის სტილია. დასჯილი ადამიანები, არ მგონია, ოფიცრები ყოფილიყვნენ. ისინი, ალბათ, „გე-რე-უ“-ს ჩვეულებრივი აგენტები იყვნენ, რომლებმაც შესაძლოა, არც იცოდნენ, რა მიზანს ემსახურებოდნენ... მთელი ამ დადგმული კომბინაციის მიზანი კი ისაა, რომ მსოფლიომ ისლამური სახელმწიფო რუსეთის მტრადაც აღიქვას.

**— „გე-რე-უ“ საქართველოშიც ანალოგიური სქემით მუშაობს?**

— დიახ. საერთოდ, ის ადამიანები, ვინც „გე-რე-უ“-სთვის მუშაობენ, ერთმანეთს არ იცნობენ. როცა საქმეს სჭირდება, სპეცსამსახურს შეუძლია, უმნიშვნელო აგენტურული ქსელი გაწიროს და ამით უფრო გავლენიანი აგენტურა შეინარჩუნოს...

**— ბატონო კოტე, კერძო საუბრისას მიანიშნეთ, რომ რუსული სპეცსამსახურები საქართველოს პრეზიდენტზე გასვლას ცდილობენ. რას გულისხმობდით?**

— ჩვენს პრეზიდენტზე გასვლას რომელიმე რუსული სპეცსამსახური კი არა, რუსეთის სახელმწიფო ცდილობს. ყოველ შემთხვევაში, არსებობს პირველადი ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, რომელიც პირდაპირ რუსეთზეა მიბმული...

**— ვის გულისხმობთ, ან „მიბმა“ რას ნიშნავს?**

— ლაპარაკია ბიზნესმენ გიორგი ჩიხლაძეზე, რომელიც, ასე ვთქვათ, რუსი ოლიგარქია და რომელიც შუამავლების მეშვეობით, გიორგი მარგველაშვილთან კონტაქტის გაბმას ცდილობს. ვიმეორებ: ეს პირველადი ინფორმაციაა და არ ვიცი, შეხვედრა შედგება თუ არა.

**— საგანგაშო რატომაა, თუკი საქართველოს პრეზიდენტი თუნდაც რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს შეხვდება?**

— ჯერ ერთი, ეს ქართველი კი არა, რუსი ოლიგარქია — ბაშკირეთში, თუ არ ვცდები, ნავთობის ბიზნესი აქვს.

**— ბაშკირეთი რუსეთი არაა, ბატონო კონსტანტინე!**

— (იღიმება) „ბაშკირნეფტი“ „როსნეფტის“ ნაწილია... სხვათა შორის, შესასწავლია, „როსნეფტმა“ ფოთის პორტის აქციები კანონიერად შეიძინა თუ არა...

**— როგორც ვიცი, ხელისუფლებამ ამ საქმის შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა...**

— ხელისუფლება მიხვდა, რომ „როსნეფტის“ საქართველოში გამოჩენა პირდაპირ მის იმიჯს ურტყამს. აკი, „ნაცმოძრაობამ“ „წკნავილიც“ ატეხა, აი, ხელისუფლებას რუსები შემოჰყავსო, მაგრამ ყველაფერი, სინამდვილეში, „ნაციონალთა“ „კასირმა“ გააკეთა.

**— აქცენტს დავით კეზერაშვილზე აკეთებთ?**

— დიახ. თავის დროზე ფოთის ტერმინალი, რაზეც დღეს აჟიოტაჟია ატეხილი, რუს ოლიგარქ დავით იაკობაშვილს სწორედ კეზერაშვილმა მიჰყიდა. მაინტერესებს, „ნაცმოძრაობის“ წევრები რატომ არ კითხულობენ, მიხეილ სააკაშვილის „მარჯვენა ხელმა“ თავისი კომპანია მაინცდამაინც რუსეთში მოღვაწე ოლიგარქს რატომ გადასცა? ეს იმისთვის ხომ არ გაკეთდა, რომ დავით კეზერაშვილს გარკვეული გარანტიები მიეღო? 9 წელი მესმოდა, რომ „ნაცმოძრაობა“ პროდასავლური პარტიაა, ამერიკელებთანაც საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა და უცებ, ამ პოლიტიკური ძალის, როგორც ვთქვი, „კასირის“ ბიზნესში რუსული კაპიტალი ჩნდება. რა, დავით კეზერაშვილს არ შეეძლო, ბიზნესი ამერიკელებისთვის მიეყიდა? სხვათა შორის, კეზერაშვილი ჩვეულ-

გაგრძელება მე-3 გვ.

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ებრივი კრიმინალი კი არა, სამხედრო დამნაშავეა და ამის თქმის საფუძველს იარაღის სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაცია იძლევა, რომელზეც წინა ინტერვიუებში ვრცლად ვილაპარაკე, თუმცა ამაზე დღეს არავინ ლაპარაკობს და კეზერაშვილსაც სპირტის ბიზნესზე უბადრუკი ბრალი წაუყენეს, რომელიც საფრანგეთის სასამართლოს სასაცილოდაც არ ეყო.

**— მოკლედ, „როსნეფტის“ საქართველოში შემოყვანა კეზერაშვილის კისერზეა?**

— დიახ, ასეა: ფოთის პორტი მისი საკუთრება იყო და შეეძლო, თავის დროზე იაკობაშვილისთვის არ მიეყიდა...

**— ჯერ ერთი, თავის ქონებას ვისაც უნდა, იმას მიყიდდა. მეორეც, „როსნეფტის“ საქართველოში გამოჩენას საგანგაშოდ რატომ მიიჩნევთ?**

— ფოთი, კერძოდ, ყულევი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ბოლო წერტილია და იქ რუსების, ანუ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყნის წარმომადგენელთა ჩასმა, რბილად რომ ვთქვა, ცუდია, მით უმეტეს, რომ მთელ აფხაზურ სეპარატიზმს „როსნეფტი“ აფინანსებს და ამ მომენტსაც „ნაცმოძრაობა“ კარგად იყენებს, აი, „ოცნებამ“ სეპარატისტების დამფინანსებელი შემოიყვანაო. მოკლედ, სალაპარაკო თემა კეზერაშვილმა „აწია“, თან როგორც იტყვიან, ორი კურდღელი დაიჭირა: ჯერ ერთი, ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლებისგან შესაძლოა, ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო. მეორეც, „ნაცმოძრაობას“ პიარის საშუალება მისცა.

**— ფოთის პორტის „როსნეფტისთვის“ მიყიდვით ე.წ. ოკუპაციის კანონი დაირღვა?**

— რა თქმა უნდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს კომპანია აფხაზ სეპარატისტებთანაა კავშირში... სწორედ ოკუპაციის კანონის საფუძველზე, გარიგება უნდა შეწყდეს და ხელისუფლებამ „როსნეფტი“ საქართველოში არ შემოუშვას!

**— ეს ხომ სკანდალი იქნება?**

— კი ბატონო, მაგრამ ეს ჩვენთვის საინტერესო არაა. გარიგების ჩაშლის შემთხვევაში, „როსნეფტმა“ სახელმწიფოს კი არა, იმ კომპანიას უნდა უჩივლოს, ვისგანაც ფოთის პორტის აქციები შეიძინა. ერთი სიტყვით, რუსული კომპანია, რომელშიც რუსეთის ფედერაციის მთავარი სახელმწიფო პირის, ანუ პუტინის ინტერესებია, ჩვენს გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტს არ უნდა ფლობდეს!

**— ბატონო კოტე, თუ დავაკვირდებით, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მთავარი ღერძი ნავთობია...**

— დიახ, ასეა. ტერორიზმიც ნავთობის გამოა მომძლავრებული. უახლოეს პერიოდში დიდი კატაკლიზმებიც სწორედ ნავთობის საბაბით დაიწყება.

**— არსებობს ვერსია, რომ „ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ გარკვეული წარმომადგენლები ნავთობის ადგილობრივ ბიზნესში შეხმატკბილებულად თანამშრომლობენ და საწვავიც ამიტომ არ იაფდება...**

— ეს არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ფასების დადგენა ხელისუფლების გარეშე არ ხდება და ამის ნათელი მაგალითი დავით კეზერაშვილია. შესაძლებელია, რომ მსგავსი გარიგება ნავთობმაგნატებსა და ხელისუფლებას შორის ახლაც არსებობს. სხვა შემთხვევაში, მხოლოდ საწვავი კი არ გაიაფდებოდა, ბაზარზე ახალი მოთამაშეებიც გამოჩნდებოდნენ...

**— წეღან, კოტე ბატონო, მიანიშნეთ, „ნაცმოძრაობას“ ახალ ხელისუფლებაზე იმდენი კომპრომატი აქვს, რომ „ოცნების“ წევრებს თავის ჭკუაზე ატრიალებსო. ასეთი ეჭვი რატომ გაგიჩნდათ?**

— ორი დღის წინ, „ტაბულაზე“, თამარ ჩერგოლეიშვილის „თეორემას“ ვუყურებდი, სადაც კრიმინალური პოლიციის ყოფილმა უფროსმა, ირაკლი ფირცხალავამ განაცხადა, 2005 წელს, ვანო მერაბიშვილი დავაჯერეთ, რომ პირადი ჩხრეკის დროს მოწმეების არსებობა აუცილებელი არააო. გედევან ფოფხაძეც, პრინციპში, ამას ამტკიცებდა.

**— აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ ჩხრეკისას ოქმის არშედგენის დაკანონებაზე უარი თქვა...**

— უარი იმიტომ თქვა, რომ მიხვდა, იდიოტობას აკეთებდა, თუმცა იმის თქმა მინდა, რომ ფირცხალავას ზემოხსენებული განცხადება და ე.წ. ფოფხაძის ინიციატივა ერთმანეთს საეჭვოდ ემთხვევა. პირდაპირ ვერ ვიტყვი, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები „ნაცმოძრაობის“ დავალებით შედიოდა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ „ნაციონალები“ „ოცნების“ გარკვეულ „ტიპებს“, რომლებზეც კომპრომატები აქვთ, საკუთარი იტერესების გატარებას აიძულებენ! ისე, რა გარანტიაა, რომ ეს კომპრომატები „სამართალდამცავთა ლიგაში“ არ ინახება — ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ხომ „ნაცმოძრაობის“ ყოფილმა ძალოვანმა მაღალჩინოსნებმა დააფუძნეს. საერთოდ, სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომლები გარკვეულ ინფორმაციას ყოველთვის ფლობენ. მაგალითად, რაღაცები მეც ვიცი...

**— მამხილებელი მასალები ვისზე გაქვთ?**

— ბევრზე.

**— მაგალითად?**

— იმ სექტორის წარმომადგენლებზე, რომელ სექტორსაც წლების განმავლობაში ვემსახურებოდი.

**— სამხედროებს გულისხმობთ?**

— თუნდაც...

**— თქვენს „კომპრომატების სკივრში“ მასალები მოქმედ ჩინოსნებზეცაა?**

— დიახ... მოქმედ ოფიცრებზე...

**— ჩვენთან კომპრომატად, როგორც წესი, ინტიმური კადრები ითვლება...**

— სპეცსამსახურისთვის, თუკი პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, ინტიმური მასალები მეორე და მესამეხარისხოვანია, რადგან აგენტურულ აპარატთან ინტიმური მასალებით დამყარებული ურთიერთობა ძალიან მყიფე და არასანდოა.

**— ისე, ბატონო კონსტანტინე, სპეცსამსახურის თანამშრომელი აგენტის ინტიმური პარტნიორი თუ გამხდარა?**

— მსგავსი არაფერი მსმენია... 2003 წლამდე, სპეცსამსახური აქცენტს ინტიმურ კადრებზე კი არა, აგენტურულ-ოპერატიულ მუშაობაზე აკეთებდა, თუმცა „ნაციონალებიდან“ მოყოლებული, აგენტურული მუშაობა მთლიანად ფარულ გადაღებაზეა გადასული.

**— დღესაც ასეა?**

— დიახ, ასეა...

**— სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, როგორც ცნობილი გახდა, ირაკლი ალასანიას ბინაში უცხო ადამიანი შევიდა. მომხდარზე საქმე, თუ არ ვცდები, ქურდობის მუხლით აღიძრა, მაგრამ ნათია ფანჯიკიძემ თავის „ფეისბუქპოსტში“ ფარულ აპარატურაზე მიანიშნა, ანუ თავდაცვის ყოფილ მინისტრსა და ყველაზე გამოკვეთილ პროდასავლურ ლიდერს უთვალთვალებენ?**

— ეს საქმე გამოსაძიებელია, თუმცა ფაქტია: ჩვეულებრივი ქურდობა რომ ყოფილიყო, რამე დაიკარგებოდა. თუკი არაფერი წაიღო, აბა, ქურდი ბინაში რისთვის შევიდა? საერთოდ, თუ მძარცველი გიჟი არაა, პოლიტიკური მოღვაწის სახლში არ შევა...

**— ალასანიას ფარული მიყურადება-თვალთვალი რუსული სპეცსამსახურის ინტერესშია?**

— არც სხვა ვერსიების გამორიცხვა შეიძლება...

**— მაინც, რომელი ვერსიის?**

— სპეცსამსახური მხოლოდ შსს-ში კი არა, თავდაცვის სამინისტროშიცაა. მოკლედ, ეს სერიოზული სკანდალია და გამოძიებამ, პირველ რიგში, მოტივაცია უნდა გაარკვიოს, თუ რა მიზნით შევიდა უცხო პირი ალასანიას ბინაში. ასევე, უნდა დადგინდეს, საცხოვრებელში რამე ტექნიკური საშუალება ხომ არაა შეტანილი.

**— ფარულ მოსასმენ-გადამღებს გულისხმობთ?**

— დიახ.

**— მსგავსი თანამედროვე აპარატურა ერთობ დახვეწილია — ზოგი მოსასმენი ღილზე პატარაცაა. ჰოდა, იმხელა სახლში გამოძიებამ „თვალი“ როგორ უნდა იპოვოს?**

— არსებობს სპეციალური სკანერები, რომლითაც დადგინდება, ალასანიას ბინაში მოსასმენი აპარატურა დამონტაჟებულია თუ არა. ისიც საინტერესოა, მხოლოდ ვიდეოთვალია დამონტაჟებული თუ „შაიბაც“.

**— „შაიბა“ რა არის?**

— ფარული მოსასმენი მოწყობილობა, რომელიც, როგორც წესი, ელექტროქსელში მონტაჟდება... ირაკლიმ ეს თემები მშვენივრად იცის — უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო და მსგავსი რაღაცები არ გამოეპარება.

**— თუკი გამოძიება იტყვის, რომ ალასანიას ბინაში უცხო პირი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის დავალებით შევიდა, ეს საერთაშორისო სკანდალი იქნება?**

— ეს ახლაც სკანდალია — პოლიტიკური ფიგურის სახლში უცხო პირები ასე ადვილად ვერ ხვდებიან, თან სახლი, სადაც ალასანია ცხოვრობს, როგორც ვიცი, დაცულია — იქ ყოფილი მაღალჩინოსნები ცხოვრობენ და წარმოუდგენელია, ქურდს ასე იოლად შეეღწია, თან ალასანია ისეთი მდიდარი არაა, რომ შინ ძვირფასეულობას ინახავდეს.

**— ეს არგუმენტად არ გამოდგება, რადგან ბოლო დროს, 90 წლის მოხუცებსაც ძარცვავენ...**

— ეს კერძო შემთხვევებია. ალასანია კი, რიგითი ადამიანი არაა.

**— სიტყვამ მოიტანა და, რამდენიმე დღის წინ, როგორც ინტერნეტ-მედია იუწყება, სომხეთში ე.წ. ქურდული „სხადნიაკი“ მოეწყო...**

— ჩემი ინფორმაციით, ამ „სხადნიაკზე“ ქართველ ქურდებზე დიდი შეტევა მიიტანეს.

**— რატომ?**

— მათ საქართველოზე უფრო მეტი კონტროლი სჭირდებათ.

**— ვის „მათ“?**

— რუსულ სპეცსამსახურებს... საერთოდ, ქურდები სპეცსამსახურების გარეშე არ მოქმედებენ, მით უმეტეს, რუსეთში — იქ არავინ გაგაჩერებს, თუკი მაღალ ეშელონებზე — „ეფ-ეს-ბე“-სა და „გე-რე-უ“-ზე დამოკიდებული არ ხარ. ვანო, ეს სქემა ჩემთვის კარგადაა ცნობილი — ე.წ. კანონიერი ქურდების ინსტიტუტი თავის დროზე სწორედ „კა-გე-ბე“-მ შექმნა, რათა ციხე ეკონტროლებინა...

რაც შეეხება ერევნის „სხადნიაკს“, როგორც ვიცი, საქართველოში ქურდული სამყაროს გააქტიურების გადაწყვეტილება მიიღეს. ჩემი წყაროების ინფორმაციით, შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ ქურდულ შეკრებაზე გეოპოლიტიკური საკითხებიც განიხილეს.

**— რას გულისხმობთ?**

— ქურდული სამყარო საერთაშორისო დანაშაულებრივი ჯგუფია და შესაბამისად, მხოლოდ ვიწრო ინტერესები არ ამოძრავებს. ქურდულ მაფიას, როგორც წესი, ნარკოტიკსა და იარაღთან დაკავშირებული საკითხები აინტერესებს. ამ კუთხით კი, საქართველოში ბოლო დროს ბევრი პრობლემაა — მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ახალმა ხელისუფლებამ ისეთი ღონისძიებები გაატარა, რითიც ნარკო და იარაღის ტრაფიკს ხელი სერიოზულად შეეშალა.

**— ამ მხრივ, ალბათ, 3 ტონამდე ჰეროინის ამოღებაა აღსანიშნავი...**

— დიახ...

საქართველოში ნატო-ს ობიექტების იმპლემენტაცია ხდება...

**— ბატონო კოტე, ახლახან, ნატო-ს მაღალჩინოსანმა ღიად განაცხადა, მზად ვართ, საქართველო ალიანსის წევრი გახდესო...**

— ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ საბჭოთა იარაღის საქართველოზე ტრანზიტი ნოლამდე დავა. ამ ბიზნესს კი, ხელისუფლებასთან ერთად, ქურდული სამყარო აკონტროლებდა. ამიტომ, ახლა შეეცდება, საქართველოში კრიმინალური სიტუაცია მაქსიმალურად დაძაბოს და ციხეები გააკონტროლოს.

**— ე.წ. ქურდულ სამყაროს კრიმინალური ვითარების დაძაბვა რას მისცემს?**

— კრიმინალის გამძაფრებას უმართავი ვითარება მოჰყვება და ხელისუფლება ამისთვის მზად უნდა იყოს!

**— რუსული სპეცსამსახურები ციხეზე კონტროლის დაწესებას რა მიზნით აპირებენ?**

— ციხე ერთგვარი სარკეა, ანუ თუკი ადმინისტრაცია ციხეს მართავს, მაშინ ქვეყანაში სიტუაციაც სტაბილურია.

**— ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს? ისე, ბოლო დროს მინისტრთა კაბინეტის გადახალისებაზე უფრო ინტენსიურად ლაპარაკობენ...**

— ეს აუცილებელია... ძალოვან უწყებებში რეფორმების დაწყება თავისთავად კარგია. ყოველ შემთხვევაში, პრემიერმა განაცხადა, რომ შსს-სა და უშიშროების სტრუქტურების გამიჯვნა უნდა მოხდეს და უსაფრთხოების ახალი სისტემა შეიქმნას. კარგი იქნება, თუკი რეფორმის ფარგლებში, სპეცსამსახურში იმ პროფესიონალებსაც დააბრუნებენ, რომლებიც თავის დროზე „ნაციონალებმა“ ქუჩაში გაგვყარეს, თუმცა თითოეული ამ ადამიანის ბეგრაუნდის ცოდნა აუცილებელია.

**— რატომ?**

— თუნდაც იმიტომ, რომ ზოგი კორუფციულ სქემებში მონაწილეობდა.

ისე, ყველა პროფესიას პატივს ვცემ, მაგრამ არ შეიძლება, მაგალითად, გენშტაბის უფროსის მოადგლე კბილის ექიმი იყოს.

ჩემი ინფორმაციით, გარკვეული საკადრო ცვლილებები პროკურატურასა და ფინანსთა სამინისტროში იგეგმება. ასევე, გამორიცხული არაა, რომ ვიღაცები გენშტაბიდანაც გაათავისუფლონ.

რა ამის პასუხია და, ბოლო დროს გამოჩნდა, რომ უკრაინაში ქართველები ორივე — სეპარატისტებისა და ხელისუფლების მხარეს იბრძვიან.

**— ამას ფულის ინტერესით ხსნით?**

— სხვა ინტერესებიცაა. ვანო, თუ გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ გითხარით, რომ რუსეთი საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთაც საბჭოთა სამხედრო ბილეთები ჰქონდათ შემორჩენილი, რუსეთის მოქალაქეობის მიღებას სთავაზობდა. ხალხის ნაწილმა რუსეთის მოქალაქეობა, მართლაც, მიიღო და ახლა იძულებულია, რუსეთის სახელმწიფო დაკვეთა შეასრულოს. საქართველოს მოქალაქეები უკრაინაში, სეპარატისტების მხარეს, ვფიქრობ, სწორედ ასე აღმოჩნდნენ. საერთოდ, რუსეთის ზემოხსენებული ინიციატივა, ძირითადად, მათზე იყო გათვლილი, ვისაც ქართულმა სახელმწიფომ ვეტერანის სტატუსი შეუჩერა და გაუსაძლის სოციალურ მდგომარეობაში ჩააყენა. საერთოდ, დღეს ყველაზე მძიმე ცხოვრება ომის ვეტერანებს აქვთ და ამის ცოცხალი მაგალითი მეც ვარ.

**— სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ბატონო კოტე, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ინტერესებზე მაღლა არასოდეს არაფერს დააყენებთ!..**

**ამას წინათ, ყოფილმა პრეზიდენტმა, პრაქტიკულად, ღიად განაცხადა, რომ წელს საქართველოში დაბრუნებას გეგმავს. სააკაშვილმა შესაძლოა, რევოლუცია მოაწყოს?**

— სააკაშვილი სხვა გზით საქართველოში ვერ დაბრუნდება!

**— რატომ?**

— არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება — ძებნილია და საზღვარს გადმოკვეთს თუ არა, დააპატიმრებენ. საერთოდ, ხელისუფლების შეცვლის სულ სამი ფორმა არსებობს — მცოცავი სახელმწიფო გადატრიალება, რევოლუცია და სამხედრო გადატრიალება.

**— ის, რაც საქართველოში ხდება, მცოცავი სახელმწიფო გადატრიალებაა?**

— მცოცავი სახელმწიფო გადატრიალება ისაა, როცა ხელისუფლება არაპოპულარულ ნაბიჯებს დგამს... დიახ, დღეს მცოცავი სახელმწიფო გადატრიალების ნიშნები სახეზეა. დიდ პოლიტიკურ სურათს კი, როგორც წესი, პატარ-პატარა მოგებები და წაგებები ქმნიან!

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**

**„ნაციონალები“ „ოცნების“ გარკვეულ „ტიპებს“, რომლებზეც კომპრომატები აქვთ, საკუთარი ინტერესების გატარებას აიძულებენ! ისე, რა გარანტიაა, რომ ეს კომპრომატები „სამართალდამცავთა ლიგაში“ არ ინახება — ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ხომ „ნაცმოძრაობის“ ყოფილმა ძალოვანმა მაღალჩინოსნებმა დააფუძნეს. საერთოდ, სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომლები გარკვეულ ინფორმაციას ყოველთვის ფლობენ“.**

№ 3 (267)
21 - 27 იანვარი 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ახალი ლექსები



# ჯანსუღ ჩარკვიანი
# თვალუწვდენელი სივრცე

### რა გვეშველება!

მე მყავს ჩემი რუსთაველი,
მე მყავს ჩემი თამარი,
დავით აღმაშენებელი,
იქნებ, არის მთავარი.
მარტყოფის ომს გავიხსენებ,
ფიქრნი ციდან მოჰქრიან,
მარტყოფიდან სააკაძე
ჩვენთან მარტო მყოფია.
ვახ, რამდენი აღარა გვყავს,
დღეს ცა გვხურავს შიმშილის,
მაშ, რა იქნა, ვინ წაგვართვა
დავით გურამიშვილი?
ვინ მოგვიკლა ჭავჭავაძე —
ჩვენი დიდი ილია,
დავიჯერო, მისი მკვლელიც
საქართველოს შვილია?
ასე იყო მარადისად,
საქართველოს მთა-ველად,
დახეული ჩოხა ეცვა
ჩვენს დიდ ვაჟა ფშაველას.
და თუ ძმა ძმის მტერი იყო,
ვინმე რამეს უწყოდა?
წერეთელმა საქართველოს
„ფურთხის ღირსი“ უწოდა!
იქეთ „ვეფხისტყავი“ გვათბობს,
აქეთ კიდე — გველების,
გენიოსთა მშობლებიც ვართ
და იმათი მკვლელებიც.
შურითა და ბოღმით ვანგრევთ,
დავგმეთ, დავგმეთ შენება,
ვახმე, დედა საქართველოვ,
ნეტავ, რა გვეშველება?!

### ყველას ვცნობ

დიახ, ის ვიცი, ვინ არის,
ისიც, ისიც და ისიცა,
აქედან გამომდინარე,
შენ რომ გინდოდა, ის ვიცან.
ნეტა, ვიცოდე, რა მწყინდა,
„ის“ თუ არ ვიცი, ვინც არი,
წყევლა და კრულვა გაბრწყინდა,
ჩემი თავი ვერ ვიცანი.
მერე, რა მოხდა, შე კაცო,
დღე გიდგას
მზის და მთვარისა,
მადლობა უფალს,
ყველას ცნობ,
გარდა — საკუთარ თავისა!
ღმერთი შენთვისაც მოიცლის,
დაჯდები პირას სამარის,
შენ შენმა თავმა რომ გიცნოს,
აი, რა არის მთავარი.

### დღე და ღამე, მზე და მთვარე

ვქილოკობ და ვქილიკობ,
ასე, მთვარით ქე ვბოდავ,
მზე რომ არ ყოფილიყო,
მთვარე არ იქნებოდა.
ყველა კმაყოფილ-იყოს,
თუ დღე გაგვიქრებოდა,
დღე რომ არ ყოფილიყო,
ღამეც არ იქნებოდა.
ვერ წაუხვალ ვერსადა,
თავს ღრუბელი დაგვესხა,
გაუმარჯოს დღესა და,
გაუმარჯოს ღამესა!
დღე ძმაკაცობს ღამესთან,
უმზერს ღრუბელს დორბლიანს,
მზე სჯობია მთვარეს და
მთვარე მთვარეს სჯობია!

### ვაჟა ფშაველა

ვაჟაო, გხედავ შორიდან
განაწყენებულს ჩემზედა,
მე დაჭრილ არწივს გადარებ
და გაღიარებ ჩემს მზედა.
სავსე გაქვს ტანჯვის ფიალა,
მაინც მაგრა ხარ ბევრზედა,
შენს წინააღმდეგ, ვაჟაო,
სიკვდილიც ვერ დგას ფეხზედა.
მე შენი ლექსის სტრიქონებს
ვემსახურები მეზვრედა,
აქა ვარ წარბშეუხრელად,
იქაც ვიფიქრებ შენზედა.

●

წინამორბედთა დრო ბედობს,
ჩაფიქრებულო, ზღაპარო,
„შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!“

### ნიავი თუ ქარი

არ შევუშვებ
მე შინ ნიავს,
მე ნიავის
მეშინია.
დაქრის,
ვითომ ქარი არის,
სიო მისი
ქმარი არის.
დღეს მთავარი
ქარი არის,
ქარი ზეცის
ქნარი არის.
ცეცხლის ღვარად
ქარი მღერის, —
ზეცის მრავალჟამიერი.
ავდარი თუ
დარი არის,
ვით ხეობა
დარიალის,
დღეს მთავარი
ქარი არის.

### სამი დრო

შეეშვი თავის ფუსფუსს,
ნუღარ ენდობი ავსულს
და მომავალი თუ გსურს,
პატივი ეცი წარსულს!
რაო? — წარსული არ გსურს?
ელოდე წვიმის დიდ ღვარს,
გიყურებ წერტილდასმულს
დღევანდელი დღის მიღმა.
ყველა დრო ჩვენთვის დარდობს,
გავჩნდეთ მადლობის ღირსად,
მე პატივსა ვცემ სამ დროს,
სამი დრო გახლავთ ღვთისა.
ამინ, გახსოვდეს, ამინ!
თუ ტვინი გადაგვარდა,
ერთ დროში ცხოვრობს არვინ, —
ამპარტავანთა გარდა!

### თაკოს!

ყველა მისას ლაპარაკობს,
ჩვენ, ორთავეს გვებრძვიან
და ისიც ვთქვათ,
ჩემო თაკო,
შენს მტერს მიწა შესძვრია.
ქვეყანაზე მართლისმთქმელი —
სიყვარულის ღერძია,
გაიმარჯვებ, შენი ირმას
ზოდიაქო „ვერძია“.

### დრო

„დრონი მეფობენ,
არა — მეფენი,“
დრო რაა? ალბათ,
ქვეყნის ელფერი.
დრო შენ ვერ შეგქმნის,
დრო უნდა შექმნა,
რომ მოიშორო
მეფისა ჩექმა.
დრო დროისაა,
შენი არ არი,
შენ თუ შენა ხარ,
შენ ხარ მთავარი.
დროს გააჩნია
წლები მრავალი,
წარსული, აწმყო
და მომავალი.
და სიყვარულით
თუ გსურს იწვოდე,
სამივე დროის
ფასი იცოდე.

### სიყვარული

*ია სულაბერიძეს*

გვირილა მიყვარს, მე მაინც
ვუმღერი ცისფერ იასა,
იამაც ეშხით გამხედა
და სიყვარულმა — იასა,
იქეთ ვარდს გული წასვლია,
აქ ვუსმენ ჭინჭრის ღრიალსა,
ლექსით სიყვარულს ვუგზავნი
სულაბერიძე იასა.
თითქოს მზეს ვუმზერ, შეხედეთ,
იაც ხომ მზისებრ ბრწყინავსა,
მე ვენაცვალე შენს ფიქრებს
და შენი ლექსის ნიავსა.
მიდი, საითაც მიდიხარ,
ნამდვილი ინდივიდი ხარ.
შენ ჩემი მიწის ია ხარ,
შენ სიყვარულის მკვიდრი ხარ.

### გული

*ნუგ ზარ წერეთელს*

გეუბნები გულთბილს, სწორფერს,
გულკეთილს და გულნათელს,
დიახ, ცოდვილ წუთისოფელს
გზას ცისაკენ უნათებ.
ან რა დედამ გაგაჩინა,
ვინ უბოძა სიტყვა გულს?
საზღვარი არ გააჩნია
შენს ქედუხრელ სიყვარულს!

### დაგმე ავსული!

არ გეუბნები
სიტყვას უვარგისს.
წუთი წამია,
ჟამი მრიცხველობს,
გახსოვდეს მარად
ვისაც უყვარდი
და ვისაც სძულდი,
არ გაიხსენო!
შორით ბოროტთა
ისმის ხმაური,
შენ სიყვარულით
დაგმე ავსული.
მარად იარე
გზით სიყვარულის
და აღიარე
შენი წარსული!

### არწივი

სიცოცხლეა
არც ღვიძილი, არც — ძილი,
ჭეშმარიტი სიტყვა
ფიცხად იელვებს,
სიცოცხლის და
სიკვდილს შორის მანძილი
საპაექროდ
არის სიცარიელე!
გეუბნებით
ახლა უფლის მოახლე,
თქვენგან მოკლულ
არწივს ფრთებიც გაშლია,
მე რომ წავალ,
ჩემი ძვლები მონახეთ,
სულს ვერ ნახავთ,
სული მეცხრე ცაშია.

მამუკას!

ვისაც გავხარ, ის მარად
შენი სალოცავია,
შენ არავის არ გავხარ,
მართლა საოცარია!

### ასეა ეს

უხარია მტრის მოდგმას,
ისე, როგორც სურს,
მე გული აღარ მტკიოდა,
მე ვტკიოდი გულს.
აზრი მიეთ-მოეთის,
რეკავს მტრისა ზარს,
ვეთანხმები ყოველთვის
გარემოცვის აზრს!

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

21 – 27 იანვარი 2015 № 3 (267)



ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ახალი ლექსები

### ალიარება

მე ვაღიარებ პიროვნებას
და არა მორჩილს,
ჭეშმარიტება კაცობაა
და არა – ჩონჩხი.
მე ვაღიარებ ჭეშმარიტად
სიცოცხლის ღვიძილს,
დიახ, სიცოცხლე სიკვდილისა
შვილია ღვიძლი.
სიკვდილი გახლავთ სიცოცხლისა
გულწრფელი ხვედრი,
სიცოცხლე კიდე –
მშვენიერი გადასახედი.
გადასახედი, საიდანაც
მოსჩანს ხანძარი
და სიყვარულით იმოსება
რწმენის ტაძარი.
მე ვაღიარებ გულისწყრომას
და მრისხანებას,
ჩემი ტაძარი სიყვარულის
არის სამება.
მოდის ხარება, ასე მოდის
დროზე წამებაც,
ღმერთო მაღალო და ძლიერო,
გთხოვ, შეწყალებას!

### მაია ჯაბუას!

ღვთის მადლით, რაც არის, ეგ არის,
შორსა ვარ მე გულისწყრომიდან,
დრო დადგა თითქოსდა მედგარი,
მე შენი სიმღერა მომინდა.
გაფრინდა წლები და ვერ განახე,
წუთისოფელიც ხომ წამია,
სიმღერით ვიხსენებ შენს სახელს,
შენ კი, არ ჩანხარ, მაია.
ძვირფასო, ციდან მოდის შენი ხმა,
მზის სხივი ცისფერებს ახლავს,
ხალხმა კაგად იცის, შენ ვინ ხარ.
შენ საქართველოს მშვენება ხარ!
უფალი ლოცავს ყველა ფუძეს,
ვითარ სიყვარული სინაზეს,
შენს ჩრდილში ყოფნას ვერ გავუძლებ,
გამოჩნდი ბოროტთა ჯინაზე!

### რჩეული

*ჯიმი მიქელაძეს*

ნათლის მომასწავებელი
კაცი ხარ,
გულით ჭვრეტდი
ციხის კაცს და
ნაციხარს.
ჯადოსნური
ერთგულებით სუნთქავდი,
სუფთა იყავ
სიყვარულის სუფრამდი.
თამადობდი სუფრას
მადლით ჩვეული,
რჩეულებშიც
იყავ გამორჩეული.
მოვლენათა
წარმართობას ებრძოდი,
მტრებს ებრძოდი,
ამ ბრძოლაში ჩვენ ვძმობდით.
ძველებურად
ქრიან ძველი ქარები,
შენ ღია გაქვს
სამოთხისა კარები!

### ფოთი

*ჯემალ ჩახავას*

„სი ქოული ჯიმა“, –
სად მიხვალ, ძმაო,
„ფოთიშა მეურქ“,
ფოთში მივდივარ,
ქალაქო ჩემო,
ხორცო და ძვალო,
თბილისიდანაც
შენი მკვიდრი ვარ.
შენ ხარ ქალაქი
ჩემი ასი ძმის,
მე შენს სიყვარულს,
მითხარ, ვინ მიწყენს,
მე მახსოვს შენი
სახე მასპინძლის
და ვერასოდეს
ვერ დაგივიწყებ!

### სხვაობა

ამ სიძულვილის ჭაობში,
ბოროტთა ნავით დაძრულხარ,
ჩვენს შორის არის სხვაობა:
შენ გძულვარ,
მე კი, არ მძულხარ!

### თბილისო!

ლალები, ლალები,
დივლი-დალალალები,
არ მინახავს მე ამდენი
მოჭუტული თვალები,
ჩინებული ჩინელი ხარ,
შენ კი გენაცვალები.

### წუთისოფელი

აღარ არსებობს ფერი,
ფერგამკრთალია ფრაზა,
რომ იღუპება ერი,
ან ვის მოუვა აზრად?
დამთრგუნველია ჟამი,
ზემოქმედებაც მორჩა,
წუთისოფლისა წამიც
გაქრა და აღარ მოსჩანს!
როდემდე ვდიოთ ლანდებს,
ცისკიდის ცდომილებას,
ჩვენ გვსურს, ერთმანეთს ვკლავდეთ,
ნუთუ, ეს დრომ ინება?
დღე როგორ გავათენოთ,
აზროვნებაც გვაქვს მრუმე,
საწყალო საქართველო,
„ძმა ძმის მტერია“, თურმე.
ცრემლად შური სდის ნაგრამს,
ვაი-ვაგლახთა შიშით,
ვერ გაიღვიძებ, მაგრამ
დაგესიზმრები ძილში!

### ირმა-მარიამს!

ვით ჩემი სტრიქონი,
სურვილის გზით მიხვალ.
მოფრინავ, მოფრინავ
და გიმზერ ფრთებგაშლილს.
შენ ციდან მოფრინავ,
შენ ჩემი ფიქრი ხარ,
მიჰქრიხარ, მიჰქრიხარ
ცნობიერებაში.
არაფრით არ ასცდე
მოცარტის ლიანდაგს
და კიდევ რამდენის,
ვინ იცის, რა დათვლის,
წმინდა მარიამის
სახელი გქვია და
სულ ამომავალი
მზისფერი დაგნათის!

### ვარსკვლავები

ერთგულები
კვლავაც ჩვენთვის მოიცლიან,
კაცის გული
სიყვარულით სავსეა.
გაუმარჯოს,
გამჭვირვალე პოზიციას,
კეკლუცობა –
დამსხვრეული თასია.
ვარსკვლავები
ჭიკჭიკებენ მეცხრე ციდან,
ვარსკვლავები –
ლურჯი ცისა მერცხლები,
მოძულე ხარ?
რომ გიყურებ, შემრცხვეს, მინდა,
მე კი, მაინც
სიყვარულით ვერ ვცხრები!

### წასვლის წინ

სანამ ვიყოთ
მარად ასე ბეხლეწები,
აქაც, იქაც –
სიყვარული ერთვის სულებს,
გთხოვ, სიკვდილო,
და წასვლის წინ გეხვეწები,
დამავალე
და ყველაფერს შეგისრულებ!

### წარმტაცი

წარმტაცია
ყველაფერი რაც არი, –
გულში – სევდა,
თუნდაც თვალში ნაცარი.
წარმტაცია,
ორთაბრძოლა – დუელი,
წარმტაცია,
ძველ სიყვარულს თუ ელი.
ნეტა რაა,
რაც არ არის წარმტაცი,
სთქვი: წარ-მტა-ცი,
დიახ, დიახ, დამარცვლით.
ო, სიკვდილო,
შენ იქნები წარმტაცი,
საქართველოს
თუ სიყვარულს დააცდი!

### საქართველო

გაუმარჯოს,
აქეთ არწივს,
იქეთ კიდევ –
ჩხიკვს და ყვავს,
საქართველოს,
მარად ყმაწვილს,
დიდი პოეტები ჰყავს!
მერე რა, რომ
პატარაა,
წუთისოფელს
უღებს კარს,
პატარაა,
მაგრამ მაინც,
დიდი პოეტები ჰყავს!
თუმცა, ბედმა
ამდენ ტანჯვას
უბედობით შეგვყარა,
მაინც, მაინც
გაიმარჯვებს,
პოეტების
ქვეყანა!

### საქართველოს!

არც ღობე გაქვს, არც – კარები,
მაინც გიჭერ მტკიცედ მხარს,
ჩემი თანავარსკვლავედი –
მიმალული სივრცე ხარ.
შენ რომ ყვავილს ემსგავსები,
ის არ არის გვირილა,
მალე, მალე მზეს გავცდები
და ვიქცევი ტირილად.
ბედ-იღბალი მაინც გიძლებს,
ნუ თამაშობ გულახდილს,
გაიღვიძე, გაიღვიძე,
ბრმად მორწმუნე ნუ გახდი!

### ხვეწნა-მუდარა

და თუ გადვურჩი მტრისგან წამებას,
და თუ სიყვარულს კვლავაც მოველი,
აქ არის ჩემი წმინდა სამება,
აქ არის ჩემი სვეტიცხოველი.
მაშ, ღვთის გარეშე რწმენას ვინ მომგვრის,
მწამს გუშინდელის, ვშიშობ მერმისსა,
მე მჯერა ჩემი წმინდა გიორგის,
მჯერა მარიამ ღვთისმშობელისა.
მოდის ოცნება ცისდამამშვენი,
ის სულიწმინდის მოდის ალერსით,
და, რა თქმა უნდა, მე მჯერა ჩვენი
უწმინდესის და უნეტარესის.
ყვავ-ყორნებს – არა, ვეტრფი არწივებს,
სად არ ჩამიშვეს, სად არ მიჩივლეს,
ჩემო მფარველო, ღმერთო, გამწირე,
ოღონდ სამშობლო გადამირჩინე!

### ამპარტავნება

ის ძველი მუხაც გაქრა,
ტირის აკაკის ლექსი,
მიუსაფარი გახლავთ
ჭეშმარიტების ფესვი.
ყველა გზა ჩაიკეტა,
სიყვარულს ბოლმა კოცნის,
საით გაიქცა ნეტა,
ის ლურჯი რაში მგოსნის.
ვენდეთ იმ ქარის ამქარს,
შუქილა დაგვრჩა მთვარის,
ზეშთაგონება გაქრა,
მკითხავი არვინ არის.
ვედები ღობე-ყორეს,
ამპარტავნება როკავს,
სიკვდილო, მოდი, თორემ
მალე მტრის ტყვია მომკლავს!

### ტკივილი

დიახ, არსებობს
სიტყვა „ტკივილი“,
სიტყვა მოქნილი
ცხენის კუდივით,
აღარ არსებობს
„დროის ტკივილი“,
რადგან ტკივილი
არის მუდმივი.
მე ვეუბნები
თუნდაც ნაციხარს,
ტკივილი სხვაა,
სხვაა კივილი,
დრო თუ არ გტკივა,
ცოდვა კაცი ხარ,
ბედნიერი ხარ,
თუ გაქვს ტკივილი!

### დღე და ღამე

იაც, ვარდიც, გვირილაც
პოეტური სახეა,
ღამე არც ღირს ტირილად, –
შთაგონების მახეა.
თუმცა ღამე, ისიც ვთქვათ,
იდუმალი ჯადოა,
ზეციური ფიცითა,
ნეტა, ახლა რა დროა?
თუმცა, ბევრი ვეწამე
და რაც ცისკენ შევთვალე,
ღამეც მე ვარ, დღეც ვარ მე –
ვენაცვლებით ერთმანეთს!

### მას, ვინც ჩარეცხილი მიწოდა!

შენი მისამართი
ოქრო და ვერცხლია,
რაცა ხარ, ისა ხარ,
ვერასდროს შეგცვლიან.
სიღრმეს მოკლებული
ვერა გრძნობ სამყაროს,
მშობლიურ კუთხისგან
ეშმაკმა გაგყაროს.
შენ ნეტარს თამაშობ
ჩვეული სინაზით,
უაზროს რომ ნიშნავს,
სწორედაც იმ აზრით.
შენა ხარ ქმნილება
ბოღმის და შურისა,
ძე ხარ შეცდომილი,
შეიქენ ულირსად!
ვახმე, სამართალი,
ვხედავ, რა მუნჯია,
ჩემი მოკვდინებაც
შენი საუნჯეა!

### შეშლილთა ქვეყანაში

ვისი ნება-სურვილით ხარ,
ვისი ნდობით მოსული?
არც მგონია, შენზე ვინმე
ყოფილიყო ორსული.
უგონო კაცს „ერთგულება“ –
სიტყვა არ გაუგია,
შენს წინაპარს დანგრეული
ციხეც არ აუგია.
საიდუმლოს ვერა ფლობ და,
რა უნდა სთქვა ნეტავი,
სხვის კაცობას ნუ ეხები,
როცა შენ ხარ ცვედანი.
გიმზერ, ვითარ ფარისეველს,
ურწმუნოს და ურჯულოს,
ყველას უსმენ, მამაშენიც,
იცი, როგორ ჩურჩულობს.
ჩამშვებო და ზურგშემქცევო,
შენი ნაღდად არა მწამს,
ბიჭო, ლოყა გამიმზადე,
სილა უნდა გაგაწნა.
შენ არც ფესვი არ გქონია,
არც წარსული გქონია,
ყველა მრუში შენზე უფრო
უარესი გგონია.
საქართველო, ხშირად, ხშირად,
მარად შეშლილთ ებარა,
სანამ შენ ხარ, საქართველოს
არა ეშველება რა!
კვლავ მოდიან მოსაკლავად,
გესმათ, არცთუ კვდებიან,
ქართველებო, გაიღვიძეთ,
მტრები კვლავ ბრუნდებიან!



№ 3 (267)
21 - 27 იანვარი 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

პროზა

# წიქარა

## ხალხური

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭი. დედა ადრე მოუკვდა და მამამ მეორე ცოლი მოიყვანა. დედინაცვალი ერთი ავი და აშარი ქალი გამოდგა. გერს მუდამ სცემდა და ცეცხლის კალოში აყენებდა. ბიჭს ერთი ხარი ჰყავდა, სახელად წიქარა ერქვა, ძალიან უყვარდა. ყოველდღე მინდორში დაჰყავდა. დაბინდებამდე აძოვებდა, აბანავებდა, ჩრდილში ასვენებდა, რომ სიცხეს არ შეეწუხებინა და მისი მოვლით თვითონაც ერთობოდა. დედინაცვალი კი არა ცხრებოდა, გერის თავიდან მოშორება უნდოდა. სხვაფრივ რომ ვერას გახდა, ადგა და ერთხელ თავი მოიავადმყოფა, დაიწყო ტყუილი კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა:

— რა გიშველისო?

— წიქარას გულ-ღვიძლის გარდა ვერაფერი მომარჩენსო, — უთხრა ქალმა. იცოდა, წიქარას დაკვლა ბიჭს დარდით დაასნეულებდა და ბოლოს მოუღებდა.

მამა შეწუხდა ამ სიტყვების გაგონებაზე, მაგრამ რას იზამდა, ქალი რომ ლოგინიდან აღარა დგებოდა, გადაწყვიტა, დაეკლა წიქარა.

მეორე დილას ვაჟი ხედავს, მამა დანასა ლესავს.

— რად გინდა, მამა, ეგ დანა, რისთვისა ლესავო? — ჰკითხა ვაჟმა.

— წიქარა უნდა დავკლაო, — უთხრა მამამ.

დაღონდა ბიჭი, მაგრამ რა უნდა ექნა!

— წავალ, წყალს მაინც დავალევინებო, — უთხრა ბიჭმა.

წაიყვანა წიქარა წყალზე, ასმევს წყალსა და ტირის. ტირის ისე, რომ მისი ცრემლები წყალს ეწევიან.

— რა გატირებს, ჩემო მეგობარო? რაზე ითხრი თვალებს, შემოგევლოს შენი წიქარაო.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, ეგონა, მომესმაო, შეშინებული და განცვიფრებული დიდხანს გონს ვერ მოსულიყო. ბოლოს მიხვდა, რომ თავისი წიქარა ელაპარაკებოდა.

— დაკვლას გიპირებენ, დაკვლასო, — მიუგო ვაჟმა.

— ვიცი, ვიცი, ჩემო მეგობარო, მაგრამ არც შენ მოგელის კარგი დღე. წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი. შემაჯექი ზურგზე და გავიპაროთო.

ვაჟმა მოიტანა ყველაფერი და მოვიდა. წიქარამ შეისვა ვაჟი ზურგზე და გაჰქუსლეს. მამა ელოდა, ელოდა და ბიჭი რომ აღარ მობრუნდა, წავიდა წყალზე. ბიჭი იქ არ დაუხვდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ შვილისა და წიქარას ასავალ-დასავალი ვერ შეიტყო. დედინაცვალმა გერის დაკარგვა არად ჩააგდო, მაგრამ როცა ქმარმა უთხრა, წიქარაც თან წაუყვანიაო, ერთი წყეული ღორი ჰყავდა და ის გამოუყენა. მირბის წიქარა, მიარბენინებს პატარა მეგობარს, მისდევს ეშვებდალესილი ღორი. ეს არის, უნდა დაეწიოს, რომ წიქარამ უთხრა ბიჭს:

— რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგას, გადაღვარე ბოთლი წყალიო.

გადაღვარა წყალი ბიჭმა, გაჩნდა საშინელი ზღვა. ღელავს ზღვა შავად, სიკვდილს უქადის ყველას, მაგრამ ღორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მიცურავს. სანამ ღორი ზღვას გადასცურავდა, წიქარამ და იმისმა მეგობარმა კარგა გზა გაიარეს... ბოლოს გამოვიდა ღორიც. წიქარამ უთხრა ვაჟს:

— თავი მიიბრუნე, აბა, მოდის თუ არაო?

მიიბრუნა ბიჭმა თავი:

— შორს ბუზისოდენად რაღაც მორბის ან მოფრინავსო. - უთხრა წიქარას.

— ეგ ღორიაო, — მიუგო წიქარამ.

მირბის წიქარა, მიაქროლებს ბიჭს, მორბის ღორი, ცოტა კიდევ და დაეწევა წიქარას.

— გადააგდე სავარცხელიო! — შესძახა ბიჭს წიქარამ.

გადააგდო ბიჭმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. სჭრა ეშვებით ღორმა ტყე, სჭრა და გავიდა. მირბის წიქარა, მიაქროლებს ბიჭს. კარგა გზა გაიარეს. მოიხედა ბიჭმა, შორს ბუზივით ისევ რაღაცა მოჩანდა.

— ბუზის ტოლა რაღაცა ჩანსო, — უთხრა წიქარას.

— ღორი მოგვდევსო, — მიუგო წიქარამ.

ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ღორი წიქარას დაეწევა, მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება თვალუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. სჭრის ღორი, სჭრის რაც ძალი და ღონე აქვს კლდეში საფეხურებს და ადის ზემოთ. შუა ადგილზე რომ მივიდა ღორი, დაუსხლტა ფეხი და უფსკრულში ჩაინთქა. წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც. ბიჭსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ. იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ბიჭი ერთ ტრიალ მინდორზე. იქ ერთი ალვის ხე იდგა, მისი კენწერო ცასა სწვდებოდა, შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირვარამო, ერთი სალხინო და უთხრა:

— მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრად, ბალახს მოვძოვ და ვირჩენ თავს. შენ აქ იჯექი, თუ რამე გაგიჭირდეს, საჭირვარამო სალამური დაუკარი და მაშინვე აქ დავიბადები, თუ გილხინდეს, სალხინო სალამური დაუკარი, საჭმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცაო, — გამოეთხოვა და წავიდა წიქარა. ბიჭი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს...

გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, ძალიან მოეწონა და მიჰყვა ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ხედავს, ბიჭი სალამურს უკრავს, პეპლები კი გარს შემოხვევიან, სალამურის ხმაზე თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით აევსო თვალები და გადაწყვიტა, ხელთ ეგდო სალამური.

— ჩამოდი ერთი ძირს, მაჩვენე ეგ სალამური, რისგან არის გაკეთებულიო, — დაუძახა ვაჟს. მაგრამ ვაჟი არ ჩამოვიდა, წიქარას ჰქონდა ნათქვამი, ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ადგა შურიანი მეცხვარე, წავიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— ამა და ამ ადგილას ერთი ბიჭი ზის ალვის ხეზე და ისე უკრავს სალამურს, რომ იმისი დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირები და უთხრა, ან თქვენ უნდა მომგვაროთ ის ბიჭი, ან კაცი იშოვოთ იმისი მომყვანიო. ნაზირ-ვეზირებმა ერთი მოხუცი ქალი მოიყვანეს.

— მე მოგგვრით იმ ბიჭსაო, — უთხრა ხელმწიფეს დედაბერმა.

ადგა დედაბერი, წაიყვანა ერთი თხა, წაიღო სადგისი და მივიდა ალვის ხესთან. ბიჭი ზის თავისთვის ალვის ხეზე და უკრავს სალამურს. დედაბერი ალვის ხის ძირში დადგა, ამოიღო სადგისი და ჩხვლეტა დაუწყო თხას. ჩხავის საწყალი თხა. ვაჟმა რომ დაინახა, მოხუცი თხას აჩხავლებდა, დაუძახა:

— რასა შვრები, დედილო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?

— დაკვლა მინდა, შვილო, და ვერ დამიკლავს, იმდენი სიკეთე მიყავი, ჩამოდი და დამიკალიო.

ბიჭი რას მოიფიქრებდა, რომ მოხუცს ღალატი ედო გულში. ჩავიდა ძირს. დედაბერმა რაღაც ჯადოთი გააბრუა და დააძინა. ასწიეს და წაიყვანეს მძინარე ბიჭი ხელმწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში. ბიჭს გამოეღვიძა, ხედავს დატყვევებულია. დაღონდა, დაიწყო ტირილი, ინატრა თავისი სალამურები, მაგრამ მისი სალამურები ალვის ხეზე ეყარნენ ოხრად დარჩენილები. ბიჭი ფანჯარასთან დაჯდა და ცას მიაცქერდა. ამ დროს ცხრაკლიტულს ყვავმა ჩამოუფრინა, დაინახა ვაჟმა და შესძახა:

— ყვავო, ყვავო, სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი შენი შვილების მზესა, მინდორში რომ ალვის ხე დგას, ზედ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანეო!

— მე რომ ლეშსა ვჭამდი და შენ ქვებს მესროდი, აღარ გახსოვსო? - უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზას. გააყოლა თვალი ბიჭმა და ჩამოყარა ცრემლები.

გადმოიფრინა ბეღურამ.

— ჩიტო, ჩიტო, შენი ბარტყების გაზრდასა, მინდორში ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და მომიტანეო!

— შენ რომ მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი? ვერა, მე ვერ მოგიტან, სხვასა სთხოვეო, — უთხრა ბეღურამ და გასცილდა. გააყოლა იმასაც თვალი ბიჭმა და ჩამოსცვივდა ცრემლები. ბოლოს მერცხალი დაინახა ბიჭმა და შესტირა:

საით მიფრინავ, მერცხალო,
საითკენ მიეშურები?
მინდორთ რომ ალვის ხე ხარობს,
ცივნი წყარონიც დიანო,
პეპლებიც იქა სხდებიან,
ტურფად ჭრელ მხრებსა შლიანო,
შეიყრებიან ჩიტები,
ყვავილნი შეკრბებიანო,
წიქარაც იმათთან მოდის,
იქ დაინახავ, ღვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო...
გაფრინდი, აქ მომიტანე,
ჩემო ლამაზო მხრიანო.

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები. დაუკრა საჭირვარამო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა თუ არა სალამურის ხმა, მაშინვე გაეშურა ვაჟისკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი რომ უნდა გაეტეხა, ცალი რქა მოსტყდა! დაღონდა წიქარა, თავის რქას ისე არ ჩიოდა, როგორც მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა, უცებ ერთი თაგვი გამოძვრა და წიქარას უთხრა:

— რას მომცემ, რქა რომ მოგაბა, შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

— გაჭმევო, — უთხრა წიქარამ.

თაგვმა გაუმრთელა რქა, ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც, შევიდა ბიჭთან, შეისვა ზურგზე მეგობარი და გაეშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ბიჭი ალვის ხეზე და თავად ისევ მინდორში წავიდა. იჯდა ბიჭი ალვის ხეზე, უკრავდა სალხინო სალამურს და ერთობოდა. უცებ წიქარა მოაგონდა და ნახვა მოუნდა. დაუკრა საჭირვარამო სალამური, მაგრამ წიქარა არ გამოჩნდა. რაღას იზამდა, წამოვიდა საძებნელად. ბევრი ეძება, ბოლოს ერთ კორდზე მკვდარი იპოვა. დაემხო ბიჭი წიქარას და ატირდა. ისე გულსაკლავად ტიროდა, რომ მისი ცოდვით ბალახნიც ტიროდნენ, აღარ ირხეოდნენ, პეპლები აღარ ფრინავდნენ და ცრემლსა ღვრიდნენ.

— ვაიმე, ჩემო წიქარა, — მოსთქვამდა ბიჭი, — უშენოდ ახლა რაღა მეშველებაო.

ამ დროს საიდანღაც ის თაგვი გამოძვრა, წიქარას რომ რქა გაუმთელა, წიქარას ლეშის საჭმელად მოსულიყო თურმე. რომ დაინახა ბიჭი ასე საცოდავად ტიროდა, უთხრა:

— რას მომცემ, წიქარა რომ გაგიცოცხლოო, შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

— ოღონდ კი ჩემი წიქარა გააცოცხლე და გაჭმევო, — უთხრა ბიჭმა.

გაიქცა თაგვი, იქვე მიკრიფ-მოკრიფა რაღაც ბალახი, მოარბენინა, წიქარას წაუსვ-წამოუსვა და გააცოცხლა. მოეხვია ბიჭი ხარს, ეალერსება, თვალებს უკოცნის, წიქარაც პირს უთათუნებს ბიჭსა და ლოკავს.

— აბა, გეყოფათ, — უთხრა თაგვმა ბიჭს, — მე უკვე კარგად მომშივდა, შენი სიკვდილის დროაო.

გაიქცა თაგვი, მოკრიფა სასიკვდილო ბალახი, მოიტანა და ბიჭს გაუწოდა. ბიჭს არ ეთმობოდა წიქარა, მაგრამ პირობა ხომ უნდა შეესრულებინა და თავისი მეგობრისათვის მომკვდარიყო! ის იყო ბიჭი უნდა შეხებოდა ბალახს, რომ თაგვმა უთხრა:

— მიპატიებია სიკვდილი, თქვენნაირი მეგობრები ჩემს დღეში არ მინახავს! იცოცხლეთ მარადო! — ბიჭი გონს ვერ მოსულიყო, რომ თაგვი გაქრა. გახარებულმა წიქარამ შეისვა თავისი მეგობარი ზურგზე, წამოიღო სალამურები, გააქროლა ბიჭი ახლა სხვა ადგილას, სხვა მხარეში, სადაც არც შურიანი მეცხვარე იყო და არც კუდიანი დედაბერი, შესვა ერთ ალვის ხეზე და მისცა სალამურები, თვითონ კი მინდორში წავიდა. ბიჭი ახლაც იმ ალვის ხეზე ზის, უკრავს სალხინო სალამურს, თვითონაც ხარობს და მთელ ქვეყანასაც ახარებს. როცა წიქარას ნახვა მოუნდება, დაუკრავს საჭირვარამო სალამურს და წიქარაც მაშინვე იმასთან გაჩნდება ხოლმე.



## ილია ჭავჭავაძე

# განდეგილი

### ლეგენდა, (ვუძღვნი ოლღა ჭავჭავაძისას)

XIV
ბოლოს ჰკითხა მან: — ვინა ხარ, შვილო?
ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?
მერე ამ დროსა, როს ავდრისაგან
ლამის წაირღვნას მთელი ქვეყანა?
— მწყემსი ქალი ვარ... აქ მთის კალთებზედ,
ცხვარს ვაძოვებდი მამი-ჩემისას,
ბალახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვყევ ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რა-რიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი ვეღარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.
სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი:
— ნუ ენდობიო, შვილო, იმ მყინვარს,
ნახავ, მზე ადგას, უცებ გაწყრება
და წამოხეთქავს ციდამ ნიაღვარს.
XV
მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ,
— კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!..
მე იქ გავერთვი...მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი.
ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა,
მთიდამა ცივი ავარდა ქარი,
მოვინდომე ცხვრის გამობრუნება,
გვიანღა იყო, ვერ მოვასწარი.
უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,
სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა,
ცხვარი გამიფრთხო, ვერ მივეშველე,
ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.
მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამობნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკბობს და უცებ აფთრდება.
ვიშ!.. რად გავტეხე მამის ნათქვამი!..
ახია ჩემზედ, რაც დამემართა!
მამის ურჩსაო, გამიგონია,
გზა თურმე არსად არ წარემართა.
XVI
დავღუპე ცხვარი მე მამის ურჩმა,
მე გავცემ პასუხს, ჩემი ბრალია!..
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსავალია?
თითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამა-ჩემი მებრალებოდა,
მამის-ერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა.
ცხვარი დავღუპე, — ეგ ერთად-ერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა,
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამობდა,
ჰჭექდა და ჰქუხდა... და ჩემთა ფეხ-ქვეშ
თითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა.
რა მექმნა ბეჩავს!.. საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?
ვსთქვი, — აქავ დავრჩე და ბედს მივენდო,
თუ გავბედო და წავიდე შინა?
XVII
დავრჩენილიყავ, მერე ვინ იცის,
გავაღწევდი-ღა ამ ღამეს ბედშავს?..
წავსულიყავ და იმ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩეხდი თავს...
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა,
ვსთქვი, რაც მომივა, დე მომივიდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამრევია
და მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს
ჯაჭვს ზედ წავაწყდი...და მაშინ მივხვდი,
რომ აქ მყინვარის მონასტერია,
ისიც ვიცოდი მამი-ჩემისგან,
რომ მონასტერში ვიღაც ბერია.
გახარებული გეძახდი დიდ ხანს,
შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი, — ვაიმე თუ ვერ გავაგონო
და აქ მომიხდეს ვათიო ღამე!..
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე.
XVIII
— მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არ განწირულს ყველგან წინ
უძღვის
მისი მარჯვენა შემწყნარებელი.
— შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე.
— ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!..
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით
ერთს დავიწყებულს და განდეგილს მწირს!
— განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?
— მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი.
— მას აქეთ ბევრი წელიწადია?
— არ ვიცი. — როგორ?
— არ ვთვლი წელთა-სვლას,
მოვშორდი, შვილო, წუთის-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა-ცვლას!
— მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?
— ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა...
— როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?
XIX
ღმერთო ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...
როცა აქ ცხვარი მიძოვებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი,
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთისოფლოდ მარტოდა სძლებსო, —
გამკვირვებია მე ეს ამბავი!..
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და
სიხარულს?!
ღმერთო, ნუ მიწყენ...ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..
XX
ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია,
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!
როგორ მოშორდი?.. — რა გითხრა,
შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია.
— მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა
წავწყდებით,
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?
— ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...
XXI
უბედურსაო?! და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,
და ვით მოადგა იგი ენაზედ?
უბედურსაო?!. ეგ ხომ სიტყვაა
გულის-ტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..
მან რა დაჰკარგა?.. ნუთუ, არ ჰყოფნის.
რომ მან დასძლია საწუთროება,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუთუ დაკარგვად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულთქმის ვნებისა,
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმე სდებს შემოქმედსა?
XXII
არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს!
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!..მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი მშვენება!..



თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევია.
XXIII
და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,
დაუცხრა სული აქოთებული
და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი ამ სახეს?
ის სახე ატკბობს, თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!
დიდ-ხანს დასცქერდა...ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?
XXIV
ფეხი წინ წადგა...არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა...ეჰა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუთუ იძლია? არა და არა!
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს!..
არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით
ძლეულს!
XXV
მაგრამ ეს რაა?.. წაწყმდი თუ არა!
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ დგებით ყურში!
დაგძლიე თუ არ!.. ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!..
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა...
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინა.
მით არ ეშველა?.. იგივ ქენჯნაა,
იგივე ძრწოლა, შიში და ზარი!
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნ გების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუთუ ღვთის-მშობლის საფარველ ქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწყნარდება!..
XXVI
ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი..
და ვაი, წმინდა ღვთის-მშობლის ნაცვლად,
თვალთ-წინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ჰხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუთუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
პირჯვარი უნდა, ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივ...იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
აბა, სძლიეო!.. და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.
XXVII
რიჟრაჟი იყო და თენდებოდა,
გადაყრილიყო ციდამ ღრუბელი,
და დაწყნარებულს წუთის სოფელსა
დილის ნიავი დაჰქროდა ნელი.
ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ
ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურძგლული?
ნუთუ, მწირია?.. იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული.
აჰა, მოვარდა, ზღუდის პირს დადგა
და მწყურვალებით უცქერს მთის წვერსა,
თითქო იქიდამ გამოელისო
თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა.
მზის ამოსვლასა ელოდებოდა...
რად არ ამოდის? რად გვიანდება?
დღემდე თვით ჟამი არარა იყო,
და ეხლა წუთიც რად უძნელდება?..
ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუ-იქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდან გადმოშვებული.
XXVIII
გულზედ მოეშო...კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს ჯერეთ ღვთისგან!
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.
და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, —
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...

6 თებერვალი, 1883 წელი

№ 3 (267)
21 – 27 იანვარი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გაუხსნელი საქმე

# რა „რაზბორკა“ გაიმართა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებამდე რუსთავში



„იცით, რა?! — მართალი გითხრათ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს ფართო მასშტაბით არ ვიცნობ, ძველი ნაცნობია გიგა ბოკერია, რომელიც და სხვებიც ოჯახში, მოსასამძიმრებლად იყვნენ, მაგრამ ამის შემდეგ არც მათი და არც მათი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალებისგან რაიმე სახის მხარდაჭერა, ან შემოთავაზება და ქმედითი დახმარება არ ყოფილა. მხოლოდ „რუსთავი 2“-ის კოლექტივისგან ვგრძნობ თანადგომას, რაც გასაკვირი არაა, რადგან დაარსების დღიდან ტელეკომპანიის თანამშრომელი ვარ. ვიმეორებ: არც ერთი პოლიტიკური ძალისგან არ მიგრძვნია მხარდაჭერა და არც იქნებოდა, რადგან არც მე ვაპირებ შევაბიჯო სიღრმეებში და რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ინსულაციები დავიწყო. ეს ჩემი სტილი არაა“.

„არ მჯერა, რომ ეროსიმ იარაღი ჩემთვის იყიდა... იმასაც ვერ იტყვი, რომ მსოფლმხედველობითი შეუთავსებლობა ჰქონდა იარაღთან, ანდა არ გაიკარებდა და სახლში არ გააჩერებდა. თავად ეროსის იარაღი ჰქონდა, მაგრამ არასოდეს ატარებდა“.

## ზურა კიწმარიშვილი რუსულ კვალს არ გამორიცხავს!

**„გაუხსნელი საქმეები კარგ ნიადაგს ქმნის სპეკულაციისათვის... მიდის გამოძიება, მერე, მოდის სხვა მთავრობა... წინას აბათილებს... ვიღაცას იჭერენ, უშვებენ... და ასე დაუსრულებლად. მართალია, განვითარებულ ქვეყნებს ჩამოვრჩებით — შედარებით მწირია ჩვენი უნარები, პროფესიონალიზმი და ტექნიკური საშუალებებიც, მაგრამ ვფიქრობ, 21-ე საუკუნეში, დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში მომხდარი ტრაგედია, წესით და რიგით, დროულად უნდა იქნეს გამოძიებული“, — აცხადებს „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას „რუსთავი 2“-ის ყოფილი დამფუძნებლის, ეროსი კიწმარიშვილის ძმა, ზურა კიწმარიშვილი. შეგახსენებთ: ეროსი კიწმარიშვილი 2014 წლის ზაფხულში, საკუთარი სახლის ეზოში, საკუთარ ავტომობილში გარდაცვლილი იპოვეს. თავდაპირველად გამოძიება თვითმკვლელობის მუხლით დაიწყო...**

**— ზურა, როგორი ძმობა გქონდათ. თქვენი ძმის საქმეებზე ინფორმირებული იყავით?**

— ძმობა რთული საკითხია, ზოგადად, შეიძლება, სხვა ადამიანებთან უფრო ღია იყო, ვიდრე — ძმასთან. მას ხშირად ჰქონდა რთული სიტუაციები, თუ არ ჩავთვლით ბოლო პერიოდის თვითმმართველობის არჩევნებს. ეროსი საქმიან საკითხებში ოჯახის წევრების თანამონაწილეობას ყოველთვის უფრთხოდა. მოკლედ რომ ვთქვა, საომრად არ წაგიყვანდა და რაღაცის იქით არ მიგიშვებდა.

**— ცნობილია, რომ საგამოძიებო პროცესში თავიდანვე ჩაებით. გამოძიებასთან დაკავშირებით აქტიურობა არ შეგინელებიათ?**

— იმავე საღამოს ჩავერთე ძიებაში და დღემდე მოვლენებს არ ჩამოვრჩები. საყვედურს ვერც სამართალდამცავების მიმართ გამოვთქვამ — ვერ ვიტყვი, რომ პროცესი შეჩერდა, ან შეფერხდა.

**— 2014 წლის დეკემბრის დასაწყისში, თბილისის პროკურორი მიხეილ შაყულაშვილი აცხადებდა, რომ გამოძიება ორ კვირაში დასრულდებოდა და შედეგებიც გამოქვეყნდებოდა, მაგრამ ჯერ არ ჩანს...**

— მიხეილ შაყულაშვილის განცხადება არ მახსოვს... მთავარი პროკურორის მოადგილე დაგვპირდა, პასუხი მალე იქნებაო.

**— „მალე“ რას ნიშნავს?**

— შეთანხმებული ვიყავით, რომ საგამოძიებო მასალებს ჯერ ოჯახი გაეცნობოდა და შემდეგ, გავასაჯაროებდით. შეთანხმების ფარგლებიდან არ გავსულვართ.

**— პროცესებში თქვენი ჩართულობა გამოძიებას ხომ არ აღიზიანებს?**

— არა, ჯანსაღი თანამშრომლობის პროცესში ძალიან დელიკატურად იქცევიან.

**— გამოძიებისთვის რამე ახალი საგულისხმო დეტალი ხომ არ შეგითავაზებიათ?**

— არა, ახალი არაფერია. უბრალოდ, კიდევ ერთხელ დაიგეგმა საგამოძიებო მოქმედებები.

**— თქვენი აქტიურობის გამო, ადგილი რამე ზეწოლას ხომ არ ჰქონია?**

— ახლობლები, კოლეგები, ნაცნობები თავიანთ მოსაზრებებს მიზიარებენ, მაგრამ აგრესიული დამოკიდებულება, მუქარა, სატელეფონო ზარები არ ყოფილა.

**— მაინც, რა ეტაპზეა გამოძიება?**

— გამოძიებას გამოკვეთილი პოზიცია ჯერჯერობით არ აქვს, რომ საქმე დანაშაულთან აქვს. დასკვნას გააკეთებს პროკურატურა, რომელიც არგუმენტებით უნდა გაამყაროს. ფორმულირება დასკვნა არაა და ამ ეტაპზე ჩემთვის უცნობია, რა დასკვნა აქვს პროკურატურას.

**— „ნაციონალები“ — გიგა ბოკერია, გია ნოდია, გიგი უგულავა და სხვები საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს აკეთებენ და ხელისუფლებას საქმის გამოძიებისკენ მოუწოდებენ. თქვენი, როგორც ჭირისუფლის მისამართით, რამე მხარდაჭერა გამოხატეს?**

— იცით, რა?! — მართალი გითხრათ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს ფართო მასშტაბით არ ვიცნობ, ძველი ნაცნობია გიგა ბოკერია, რომელიც და სხვებიც ოჯახში, მოსასამძიმრებლად იყვნენ, მაგრამ ამის შემდეგ არც მათი და არც მათი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალებისგან რაიმე სახის მხარდაჭერა, ან შემოთავაზება და ქმედითი დახმარება არ ყოფილა. მხოლოდ „რუსთავი 2“-ის კოლექტივისგან ვგრძნობ თანადგომას, რაც გასაკვირი არაა, რადგან დაარსების დღიდან ტელეკომპანიის თანამშრომელი ვარ. ვიმეორებ: არც ერთი პოლიტიკური ძალისგან არ მიგრძვნია მხარდაჭერა და არც იქნებოდა, რადგან არც მე ვაპირებ შევაბიჯო სიღრმეებში და რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ინსულაციები დავიწყო. ეს ჩემი სტილი არაა.

**— მოდით, იარაღის საკითხს შევეხოთ. ითქვა, რომ ეროსის იარაღი თქვენთვის უნდა ეჩუქებინა. მონადირე ხართ?**

— მრავალი წლის განმავლობაში ვიყავი, თუმცა ბოლოს მისწრაფება შენელდა.

**— იარაღის კოლექცია გაქვთ?**

— მაქვს რამდენიმე იარაღი, მაგრამ ეს კოლექციონერობას არ ნიშნავს. ისე, ამ ვერსიის ნაკლებად მჯერა.

**— ეროსის მეგობარი ბადრი ნანიტაშვილი ამბობდა, რომ იარაღი ერთად შეიძინეს...**

— მხოლოდ ნანიტაშვილი კი არა, გია ხევიაშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანია, ვინც ამას ამბობდა.

**— ვინ არიან ეს პიროვნებები?**

— არ მინდა მათი სახელები ვახსენო. ვიმეორებ: არ მჯერა, რომ ეროსიმ იარაღი ჩემთვის იყიდა.

**— ანუ, საჩუქარზე იცოდნენ მეგობრებმა, მაგრამ თქვენ — არა, თუმცა დაბადების დღის საჩუქარზე წინასწარ არ ლაპარაკობენ. სხვა დროს თუ გაუკეთებია მსგავსი საჩუქარი?**

— არასოდეს უჩუქებია... იმასაც ვერ იტყვი, რომ მსოფლმხედველობითი შეუთავსებლობა ჰქონდა იარაღთან, ანდა არ გაიკარებდა და სახლში არ გააჩერებდა. თავად ეროსის იარაღი ჰქონდა, მაგრამ არასოდეს ატარებდა.

**— ეროსის იხსენებენ, როგორც ენერგიულ, აქტიურ ადამიანს, რომელიც თავისი შესაძლებლობების ზღვარს ეძებდა. თვითმკვლელობის ვერსიას დეპრესიით ხსნიან. თქვენი ძმა დეპრესიული იყო?**

— დეპრესია ისეთი დაავადებაა, რომელიც თავს დროდადრო იჩენს. რაც ეროსიმ გადაიტანა, მის ადგილას, დეპრესიული ადამიანი თვითმკვლელობას ბევრჯერ ჩაიდენდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. ჩემი ძმა დეპრესიული ადამიანი არ იყო, გუნება გარემოებების შესაბამისად ეცვლებოდა, მაგრამ გამოსავალს პოულობდა და ყველაფერი კალაპოტში დგებოდა. მართალია, 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში დიდი ენერგია, ფული და ძალისხმევა ჩადო, მოლოდინიც ჰქონდა, რომ კონკრეტულ რეგიონში საინტერესო პროექტებს განახორციელებდა. როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, გარს ისეთი ადამიანები შემოიკრიბა, რომლებთან ერთადაც იმის გაკეთებას ცდილობდა, რაც ვერ გააკეთა ვერც „ნაციონალური მოძრაობის“ და ვერც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. წინა წლებში ამაზე რთული, მძიმე პერიოდიც გადაიტანა, მაგრამ ყოველთვის ნოლიდან იწყებდა და ფეხზე დგებოდა.

**— ითქვა, რომ ეროსის მანქანაში გარკვეული თანხა — 20 000 ლარი იდო, რომელიც დაიკარგა.**

— კი, ასეთი ინფორმაცია გავრცელდა... მანქანაში იყო რაღაც ქვითრები, მაგრამ არ ვიცი, რას ნიშნავდა. ფულის შესახებაც ვერაფერს გეტყვით.

**— „ქართულ სიტყვას“ უთხრეს, რომ ეროსის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, რუსთავში ხმაურიანი „რაზბორკა“ გაიმართა, რომელსაც „ნაციონალები“ და რუსთაველებიც ესწრებოდნენ. წყაროს ვერსიით, საუბარი იმ თანხას შეეხებოდა, რომელიც „ნაციონალებმა“ ეროსის თითქოს თვითმმართველობის არჩევნების წინ მისცეს. ამაზე რამე გსმენიათ?**

— ასეთ „რაზბორკაზე“ ინფორმაციას არ ვფლობ... ეროსი დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, თუ ფული ისესხა, ბუნებრივია, ეს თანხა უნდა დაებრუნებინა. თუ სხვისი ფინანსებით სარგებლობდა, გამოდის, რომ არჩევნებში ვიღაცის ინტერესების გასატარებლად შევიდა? ასეთ პირობებში პირადად მე, არ დავუშვებდი, ვინმეს ვალი მქონოდა. მთლიანობაში ვთვლი, რომ ეს ჭორია და მსგავსი არაფერი ყოფილა.

**— გია ხევიაშვილი თუ დაიკითხა? ის პირველი იყო, ვინც გარდაცვლილი საკუთარ მანქანაში ნახა.**

— არა მხოლოდ გია, არამედ, საარჩევნო შტაბის სხვა წევრებიც. მათი ნაამბობიდან, იმ დღეს ეროსი საარჩევნო პროცესში მონაწილეთა მიმართ ჰონორარის სახით დარჩენილი ფინანსური ვალდებულებების მთლიანად დაფარვას აპირებდა. საარჩევნოდ საჭირო თანხა ეროსის ჰქონდა, ეს ოჯახის ფული იყო, აქედან გამომდინარე, ჩემთვის მიუღებელია მოსაზრება, რომ მისი საარჩევნო კამპანია ვინმემ დააფინანსა. ვიცი, რომ ოჯახის ფული იყო, შესაძლოა, ამიტომაც გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მანქანაში ფული იდო.

**— ქალბატონმა იამ არაფერი იცის?**

— ქალბატონი ია წინა ღამეს ჩამოვიდა ბათუმიდან, მას ეროსის მხრიდან თუ ექნებოდა რამე ინფორმაცია, მაგრამ დეტალური არ იქნებოდა.

**— რას ფიქრობს ზურა კიწმარიშვილი: რა, ან ვინ გახდა ეროსი კიწმარიშვილის ტრაგედიის მიზეზი?**

— არ მინდა, თვითმკვლელობის ვერსიებზე საუბარი, ამაზე მხოლოდ მაშინ ვისაუბრებ, როცა დამადასტურებელი საბუთი მექნება, აქედან გამომდინარე, ახლა აქტუალურია ვერსია: ვინ, რატომ დაგეგმა, მოამზადა და განახორციელა დანაშაული? ეროსის ჰქონდა რთული პერიოდი, რაც მედიასაქმიანობას უკავშირდებოდა, მისი პერსონის გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე რთულად მიდიოდა. ისტორიას რომ მივყვეთ: შევარდნაძის მმართველობის დრო, შემდეგ „ვარდების რევოლუცია“, რუსეთში ელჩო-

„ია ჩართული იყო ბოლო პოლიტიკურ მოვლენებში ფინანსურადაც, ფიზიკურადაც. ამ ტრაგედიამ მასზე ყველაზე მძიმედ იმოქმედა, ფაქტიურად, არ ჰქონდა უნარი და შესაძლებლობა, საგამოძიებო მოქმედებებში ჩართულიყო — როგორც დიასახლისი და მეუღლე, შინ იჯდა, ორმოცამდე სახლიდან არ გასულა. პოლიციის მოსვლის მომენტები ცუდად მიიღო. ჩემი სახით, სანდო ადამიანი დაინახა. როცა ნახა, რომ ცხელი კვალი არ არის, ნელა მიდის გამოძიება, ჩათვალა, რომ მე გავყვები, ბოლოს, ისიც იტყვის თავის სათქმელს...“

გაგრძელება მე- 9 გვ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## გაუხსნელი საქმე

მე-8 გვერდიდან

ბის ხანა და ბოლოს, ის გაურკვეველი პერიოდი, როცა ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა ასპარეზზე – ვერ გაიგო, რატომ იყო ოპოზიცია, სად იყო და საერთოდ, რატომ იყო. ყველა ამ ეტაპზე მას ბევრ ადამიანთან ჰქონდა კონფლიქტი. იგი არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, მისი პარტიული ბიოგრაფია მხოლოდ იმ ეპიზოდს მოიცავს, როცა ,,ქართული პარტიის“ დამფუძნებელი გახდა.

**— ეროსი ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ ყოფილა?**

— არასოდეს. იგი სახელმწიფო მოხელე იყო, მაგრამ პარტიაში ყოფნა არასოდეს დაფიქსირებულა. მთელი სირთულეები თავს იქ იყრიდა, სადაც სამოქმედო სტრატეგია ჰქონდა. ამ გადასახედიდან, იგი ერეოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ იყო მოწიფული პოლიტიკოსის პოზიცია, დაპირისპირებას არავისთან ერიდებოდა. ზოგჯერ პერსონებთანაც ჰქონდა შეჯახება. ივანიშვილი გამოჩნდა სარბიელზე და ისიც მისი პოლიტიკური ოპონენტი გახდა.

**— ტელეკომპანია ,,მაესტროს“ გამო დაპირისპირებას გულისხმობთ?**

— თუნდაც, იქაც სერიოზული დაპირისპირება მოხდა, არ ვაფასებ მოვლენებს, ვინ მართალია, ვინ – მტყუანი, უბრალოდ, ვაფიქსირებ – ნებისმიერი მიმართულების პოლიტიკურ ძალასთან მას მკვეთრი ხაზგადასმული ურთიერთობა ჰქონდა, რომელიც დაპირისპირებებსა და დიდ მტრობებში ასახულა, მაგრამ როცა ვლაპარაკობთ ბოლო პერიოდზე, ასპარეზზე გამოვიდა და ბევრ ადამიანთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები მოსინჯა. ვერ გეტყვით, რატომ დაიბლოკა მისი აქტივობები, ან ამ მომენტში ვის არ სჭირდებოდა მისი პოლიტიკური გააქტიურება – რუსეთს თუ აშშ-ს?

**— მოდით, ვერსიებს დავუბრუნდეთ. ტრაგედიის მიზეზი შეიძლება, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“ გამხდარიყო?**

— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ეროსის მოლოდინი ჰქონდა, რომ მისი პერსონა, სტრატეგიული ხედვებით, საინტერესო იქნებოდა. როცა მეორე მხრიდან ამ საკითხზე მზაობა ვერ დაინახა, ყველა თამაშიდან გავიდა. ცხრა თვის განმავლობაში, არ აქტიურობდა. სამაგიეროდ, გააქტიურდნენ ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ის სხვა დამფუძნებლები, ეროსი მათ აკვირდებოდა, ვილაც-ვილაცას ედავებოდა და არ თმობდა, ეროსის გამოჩენა მესამე ძალის გამოჩენას ნიშნავდა. იგი ნიშნისმოგებითაც ფიქრობდა: ერთი, ვნახავ, უჩემოდ რას იზამენო. ჩემთან უთქვამს, 2009 წელს დავიწყე ტელეკომპანიის დაბრუნების საქმე და კედელთან აღმოვჩნდი, თუ სამართლიან სახელმწიფოში ვცხოვრობ, ტელეკომპანია პატრონს დაუბრუნდება, თუ გადაწყდება კარგია, თუ არადა, ვიჯდები ჩემთვის და თავად მომაკითხავენო, თუმცა ,,მაესტროს“ მოვლენების დროს, სხვანაირად აქტიურობდა: ამხილა, თითქოს ნიღაბი ჩამოხსნა ხელისუფლებას, რომელიც სამართლიანობის აღდგენის დროშით მოვიდა. ეროსი დაზარალდა მატერიალურად, ფინანსურად, მოხდა ის, რომ სამაუწყებლო კომპანია ,,მაესტრო“ აღმოჩნდა პოლიტიზირებული და მართული. საკმაოდ მტკივნეულად, ღია დაპირისპირებაში აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილთან. ეროსი ელოდებოდა, რომ ,,რუსთავი 2“-ის საკითხზე ,,ხელების გადაგრეხვა“ წავიდოდა.

**— რატომ?**

— რახან ყველაზე პოპულარული ტელევიზიაა. ასეთი მაღალი რეიტინგის არხი შეიძლება, ნებისმიერ დროს ნებისმიერმა ძალამ რევოლუციური მოვლენებისთვის გამოიყენოს. ეროსის უნდოდა, ტელეკომპანია საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაეკეთებინა, პოლიტიკური ტემპერატურა დაეგდო, ანუ იგი აღარ ყოფილიყო იარაღი ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ ,,რუსთავი 2“-ის წილების საკითხში ეროსი ვინმესთვის ხელისშემშლელი იყო.

**— თუმცა, ტელეკომპანია ,,იმედი“ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა.**

— ეს არაფერს ცვლის, შეიძლება, ბევრი სამართლიანი საქმე კეთდება, არ ვიცი, ვის რა, როგორ და რის სანაცვლოდ დაუბრუნდა – ეს ქვეტექსტებია, მაგრამ ეროსის ჰქონდა განცდა, რომ ,,მაესტროს“ საქმეში ,,გადააგდეს“.

**— ვინ ,,გადააგდო“?**

— ეს ის ძალა იყო, რომელიც სათავეში მოდიოდა.

**— ვისია დღეს ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“?**

— ძმები ყარამანიშვილებისა და სხვების.

**— ქიბარ ხალვაში?**

— ქიბარი დღეს არ ფიგურირებს, ერთი პერიოდი მას ეკუთვნოდა საკონტროლო პაკეტი.

**— ქიბარ ხალვაშს ნათქვამი აქვს, რომ ტელეკომპანია არც უყიდია და არც გაუყიდია, ეს მხოლოდ ფორმალობა იყო.**

— ამიტომ უნდა შედგეს სასამართლო, სადაც ყველაფერი გაირკვევა.

**— მიუხედავად იმისა, რომ ეროსი ,,ვარდების რევოლუციის“ იდეოლოგად ითვლებოდა, ,,ნაციონალებმაც“ რამდენიმეჯერ ,,გადააგდეს“.**

— ამ მსჯელობაში ვერ გამოგყვებით, რადგან ,,ნაციონალების“ არც ძველ, არც ახალ სახეებთან კავშირი არ მაქვს. არ ვიცი, იქ რა ხდებოდა. არ ვიცი, ვის დაუპირისპირდა... ასეთი იყო მისი ცხოვრება.

**— იქნებ, ხელს ,,ნაციონალებს“ იმით უშლიდა, რომ ბევრი იცოდა?**

— თუ ბევრი იცოდა და ვინმესთვის ზიანის მიყენება შეეძლო, გასაკეთებელს მანამდე გააკეთებდნენ.

**— მალხაზ გულაშვილის აზრით, ტრაგედია შესაძლოა, გადაზიდვების ბიზნესს უკავშირდებოდეს...**

— ეს გულაშვილის თეორიაა, ვისაც უნდა დაიჯერებს, ვისაც უნდა – არა. მეც უამრავი შეკითხვის დასმა შემიძლია. რას ნიშნავს, ურთიერთობა გადაზიდვების კომპანიებთან ჰქონდა? წარმოდგენაც არ მაქვს, საიდან უნდა ჰქონოდა კავშირი. ყურით მოთრეული ვერსია მგონია. ძალიან უსიამოვნოდ ვიღებ მსგავსი ტიპის მოსაზრებებს – მაფიოზები, ოლიგარქები... სად არის ანგარიშები, სადაც ფული ერიცხებოდა, თუ მისცეს, რა დამსახურებისთვის მისცეს?

**— რომელიმე გადამზიდავ კომპანიაში იქნებ, აშშ-ში ცხოვრებისას საქმიანობდა?**



# რატომ არ ჩანს ია კიწმარიშვილი



— ეგ სხვა საკითხია და როცა მაფიოზურ სტრუქტურაში ნარკოკარტელებსა და იარაღით ვაჭრობაზე მიუთითებენ, ეს ჭუჭყიანი და შეურაცხმყოფელია! თუ ეროსის ბედთან ამას რამე კავშირი აქვს, მზად ვარ, ამ თემებზე დაინტერესებულ პიროვნებასთან ვისაუბრო კიდეც. როცა ამბობ, რომ პიროვნება ამ ბიზნესში იყო ჩართული, როგორც სახელმწიფო პირი და მედიატორი სახელმწიფოსა და კომპანიებს შორის, დამადასტურებელი ფაქტებიც უნდა გქონდეს, ან ვინმეს იცნობდე. მიმაჩნია, რომ ეს ე.წ. შეთქმულების თეორიაა.

**— 2007 წელს, ეროსი კიწმარიშვილი აშშ-დან დაბრუნდა, სათავეში მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიას ჩაუდგა და წარმატებაც იზეიმა. სანაცვლოდ, ეროსიმ მიშას, თურმე, საკმაოდ გრძელი ,,თხოვნების არზა“ წარუდგინა...**

— წარმოდგენა არ მაქვს, რა სიაზე ლაპარაკობთ. ეროსი საინტერესო ბუნების ადამიანი იყო – ერთდროულად პრაგმატული და იდეალისტიც. იმ გაზაფხულზე ელჩად წავიდა, თხოვნების არზა რას შეიცავდა?

**— ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის მინისტრის პოსტი, ფარმაცევტული ბიზნესის 12%, ,,საქართველოს რკინიგზა“, ,,საქართველოს ლატარიის კომპანია“, ნავთობბიზნესში შესვლა, უძრავი ქონება – თბილისის ,,ოფიცერთა სახლი“; შენობები ბათუმსა და თბილისში კაფე-ბარების გასახსნელად და სხვა.**

— გარწმუნებთ, ასეთი ტიპის სტრატეგია ჩემთვის ცნობილი არაა. შთაბეჭდილება რჩება, რომ ცხრაწლიანი ეპოპეის განმავლობაში, ეროსიზე ჟურნალისტები და ვაიჟურნალისტები ყურით მოთრეულ ფაქტებს დებდნენ. ეროსი ეკონომიკის მინისტრობას არასოდეს მოინდომებდა – ისეთ რამეს არ შეეჭიდებოდა, რაც არ გამოსდიოდა. ეს სასაცილოა! თავს უხერხულად ვგრძნობ, რომ პასუხის გაცემა ასეთ რამეებზე მიწევს. არ მგონია, ბათუმში კაფე-ბარების მოთხოვნაზე მიშასგან უარი მიეღო. რა, გააკეთებინებდა იმ ბარებს და თავადაც ისიამოვნებდა. ბარების თემა ვერ გაიყვეს მიშამ და ეროსიმ? სისულელეა. რეალურად, ვნახეთ, რა წილებიც წაიღო სააკაშვილისგან. წლების განმავლობაში, ხელისუფლებასთან დაახლოებული მედიასაშუალებებისთვის კომფორტული გახდა ეროსიზე ფეხების შეწმენდა.

ერთს გავიხსენებ: გარდაცვალების შემდეგ, რჩეულიშვილთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელიც იხსენებდა, რომ თითქოს ეროსი, შევარდნაძის დროს, ,,რუსთავი 2“-ს მილიონ დოლარად ყიდდა. ნამდვილად ვიცი, რომ ეს ასე არ იყო. ეროსის პრობლემა ის იყო, რომ ხშირად საკუთარი თავის ამარა რჩებოდა.

**— ბოლოს ვის ამარა იყო?**

— არავის ამარა არ იყო... გია ხევიაშვილსა და მალხაზ გვაზავასთან ერთად წამოიწყო საარჩევნო კამპანია რუსთავის მერობის კანდიდატის პოზიციაზე. მოდუნებულ, დაჭაობებულ ქვეყანაში ,,რუსთავი 2“-ს რომ ხსნიდა, ამბობდა, ვაკეთებ ტელევიზიას, რომელიც ცხოვრებას შეცვლისო. მან ეს გააკეთა და იგივე პატარა მოდელით ქალაქ რუსთავის გარდასახვას აპირებდა.

**— ამბობთ, ხშირად მარტოობას გრძნობდაო. ქალბატონი ია მეუღლის გვერდით არ იყო?**

— ია ჩართული იყო ბოლო პოლიტიკურ მოვლენებში ფინანსურადაც, ფიზიკურადაც. ამ ტრაგედიამ მასზე ყველაზე მძიმედ იმოქმედა, ფაქტიურად, არ ჰქონდა უნარი და შესაძლებლობა, საგამოძიებო მოქმედებებში ჩართულიყო – როგორც დიასახლისი და მეუღლე, შინ იჯდა, ორმოცამდე სახლიდან არ გასულა. პოლიციის მოსვლის მომენტები ცუდად მიიღო. ჩემი სახით, სანდო ადამიანი დაინახა. როცა ნახა, რომ ცხელი კვალი არ არის, ნელა მიდის გამოძიება, ჩათვალა, რომ მე გავყვები, ბოლოს, ისიც იტყვის თავის სათქმელს.

**— მას აქვს ვერსია?**

— ყოველ შემთხვევაში, თავის ეჭვებზე ჩემთან არ უსაუბრია.

**— ეროსი რუსეთში ელჩი მეტად რთულ პერიოდში იყო, თუმცა როდის არ არის რუსეთთან ურთიერთობა მძიმე... ხომ არ შეიძლება, ტრაგედიის კვალი სპეცსამსახურებთან მივიდეს?**

— რატომაც არა?!

**— და რატომ?**

— ახლა, რუსეთი ჩვენთვის დიდი პოლიტიკაა, რომელიც ქართულ პოლიტიკაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. რახან ასეა, ვთვლი, შეიძლება, ვიფიქროთ იმაზე, რომ კვალი იქაც მიდიოდეს.

**— ეროსიმ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემსწავლელ კომისიაზე სკანდალური განცხადებები გააკეთა – ომის დაწყებაში საქართველოს მხარე დაადანაშაულა და ამით ,,ნაციონალური მოძრაობა“ გაამწარა...**

— კი, იყო ვნებათაღელვა და დაპირისპირება გივი თარგამაძესა და სხვებთან. შესაძლოა, ისეთი რამეები იცოდა, რაც რუსეთს არ აწყობდა. მაინც, ყველაფერი ეს ვარაუდებია და არგუმენტებით არაა გამყარებული...

**— ტრაგედიის უნებლიე მოწმეები არიან?**

— იქ არავინ ყოფილა, კიბეზე რომ ჩადიოდა, დამლაგებელი ქალი შეხვდა, მიესალმა, მოიკითხა.

**— იარაღი მაყუჩიანი იყო?**

— არა. ვინმეს არც გასროლის ხმა გაუგია.

**— ეს ის იარაღია, რომელიც თქვენთვის იყიდა?**

— იარაღს ექსპერტიზა ჩაუტარდა, ეს ნამდვილად ის იარაღია.

**— ხომ არ ჰქონდა კონფლიქტი ახლობელთან?**

— ???

**— მაგალითად, მეუღლესთან?**

— არა, არ შეიძლება ყოფილიყო. არ ვაპირებ ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას.

**— კარგი...**

— მოტივირებული ვარ, ჩემი ძმის საქმე არ შეუერთდეს საქართველოში ბოლო ათწლეულში მომხდარ გახმაურებულ და გამოუძიებელ მკვლელობათა სიას...

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

№ 3 (267)
21 – 27 იანვარი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სამართალი

# ვინ შეცვლის კოტე კუბლაშვილს




**2012 წლის არჩევნებში „ნაციონალების“ დამარცხებაში უდიდესი წვლილი უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ უსამართლო გადაწყვეტილებებს მიუძღვის. 2005 წელს, კოტე კუბლაშვილის მიერ მოსამართლეების მიმართ განხორციელებულმა რეპრესიებმა სასამართლო სისტემის რეალობა მთლიანად შეცვალა. ე.წ. დაუმორჩილებელი მოსამართლეების მორჩილებით ჩანაცვლება იმის საწინდარი გახდა, რომ ამ უკანასკნელთა მიერ გამოტანილი განაჩენები გადასასინჯი და გასაუქმებელია. მართალია, უკანონოდ გათავისუფლებული მოსამართლეები და უსამართლოდ დასჯილი მოქალაქეები „ოცნებას“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტს სთხოვდნენ, მაგრამ კოტე კუბლაშვილი თავისი უფლებამოსილების ათწლიან ვადას მშვიდად ამთავრებს. ვინ გახდება უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მანტიის ღირსი? — ,,ქართული სიტყვა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, ყოფილ მოსამართლე მერაბ ტურავას ესაუბრა:**

## მერაბ ტურავა იმ თვისებებს ასახელებს, რომლებიც უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ქვეყნის კონსტიტუციასა და ორგანული კანონიდან გამომდინარე, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კი არა, ამავდროულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეცაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოსამართლეო საქმიანობასთან ერთად, სასამართლო ხელისუფლებაში უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოსაც ხელმძღვანელობს. უზენაესი სასამართლოს მოღვაწეობასა და ქმედუნარიანობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

**— ბატონო მერაბ, უზენაესი სასამართლო, კერძოდ, კოტე კუბლაშვილი ,,ნაცმოძრაობის“ უსამართლო რეჟიმის მთავარ დასაყრდენად ითვლებოდა...**

— საქართველოს მოსახლეობას, წლების განმავლობაში, უსამართლობის შეგრძნება ნამდვილად ჰქონდა. სასამართლოების მიერ ასეულობით უსამართლო გადაწყვეტილება დღეს კანონიერ ძალაშია. არადა, ადამიანები ფიქრობდნენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მათი უფლებები დაირღვა. იმისათვის, რომ გაირკვეს, რამდენად სწორად ხორციელდებოდა მართლმსაჯულება, საჭიროა, თვით სასამართლო ხელისუფლების შიგნით შეიქმნას ბერკეტები და მექანიზმები, რომლებიც მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვას და, თუ დარღვეულია, საქართველოს მოქალაქეების უფლებების აღდგენას უზრუნველყოფენ.

**— მოსახლეობა დღემდე წინასაარჩევნოდ დაპირებული სამართლიანობის აღდგენას ელოდება. არსებობდა მოლოდინი, რომ ხარვეზების დამდგენი და სამართლიანობის აღმდგენი კომისიები შეიქმნებოდა, თუმცა პროცესები გაიყინა. რატომ?**

— პარლამენტს რა კანონებიც უნდა მიეღო, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება მაინც უზენაეს სასამართლოს უნდა გადაესინჯა. აქედან გამომდინარე, თუკი სასამართლო ხელისუფლების თავმჯდომარეს იმისი ნება-სურვილი არ ჰქონდა, რომ მისი თავმჯდომარეობის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები გადასინჯულიყო, კანონმდებლობაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის მცდელობა, საბოლოო ჯამში, შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა. კოტე კუბლაშვილი პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანი გახლდათ და ცალკეული მოსამართლეების გადაწყვეტილებებში ერეოდა.

**— მიუხედავად ამისა, ახალ რეალობაში დღის წესრიგში კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი არ დადგა.**

— ეს საკითხი საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტი იყო და, როგორც ჩანს, საჭიროდ არ ჩათვალა.

**— რატომ?**

— შესაძლოა, იმის გამო, რომ უფლებამოსილების დასრულებამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი. ასე თუ ისე, კოტე კუბლაშვილმა უფლებამოსილების ათწლიანი ვადა დაასრულა და ახლა გვმოძღვრავს, ჭკუას გვასწავლის, თუ როგორი უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლება; რომ მოსამართლე დამოუკიდებელი, ობიექტური, მიუკერძოებელი უნდა იყოს, იმაზე კი არაფერს ამბობს, ასეთი თავად რატომ არ იყო. კოტე კუბლაშვილის ათწლიანი მოღვაწეობა ტესტია, როგორი არ უნდა იყოს უზენაესი მოსამართლე. ვფიქრობ, ამ თანამდებობაზე ისეთი პიროვნება უნდა გამწესდეს, რომელსაც სამართლიანობის აღდგენის ნება ექნება. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, სასამართლო ხელისუფლების შიგნით და არა სადმე, ხელისუფლების სხვა შტოებში, ამოქმედდეს სამართლიანობის აღდგენის პროცესი. სასამართლოს გადაწყვეტილებების შეცვლის, ან გაუქმების უფლება ხელისუფლებისა და უზენაესი სასამართლოს გარდა, არავის აქვს. ამიტომაცაა დამოკიდებული სამართლიანობის აღდგენა კუბლაშვილის შემცვლელზე. ახალი თავმჯდომარე პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალი უნდა იყოს, სახელმწიფოებრივად აზროვნებდეს და ყოველთვის ახსოვდეს, რომ კუბლაშვილი–2 არ გახდეს.

**— ასეთ შემთხვევაში, საქართველოდან სტრასბურგში საჩივრების რაოდენობა შემცირდება?**

— საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, საიდანაც ევროსასამართლოში საჩივრების უპრეცედენტო რაოდენობა მიდიოდა, რადგან ჩვენი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება მხოლოდ სტრასბურგში შეიძლება, თან უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივრებს, პრაქტიკულად, არ იხილავდა. სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანა კი, დროში იწელება.

**— ბატონო მერაბ, შესაძლებელია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აპოლიტიკური ადამიანი გახდეს?**

— ისეთი ადამიანის პოვნა, ვისაც პოლიტიკური წარსული და სიმპათიები არ აქვს, ძნელია. მთავარია, თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი, პრინციპული, პოლიტიკურად ნეიტრალური იყოს და მაღალი პროფესიონალიზმითაც გამოირჩეოდეს. ასეთია ევროპული ქვეყნების პრაქტიკა.

**— საზოგადოებაში სკეპტიციზმია გამეფებული. იკვეთება სამი მხარე: პრეზიდენტი, საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა. არსებობს მოსაზრება, რომ 2016 წლის არჩევნებს ის მხარე მოიგებს, რომლის წარმომადგენელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც გახდება...**

— საქართველოში ცრუ განგაშია ატეხილი, გაზვიადებულია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის მნიშვნელობაც და ამიტომ ვეძებთ თავმჯდომარედ არაჩვეულებრივი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების მქონე ადამიანს.

**— თეორიულად ხომ არსებობს შანსი, რომ უმრავლესობაში ოპოზიციური, ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ,,შეაცურონ“?**

— რეალობა ასეთია: კონსტიტუცია და კანონი უფლებას იმ ძალას აძლევს, ვინც უმრავლესობაშია. კონსტიტუციაში წერია, საპარლამენტო უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას და პასუხისმგებლობას, რომ ეს პიროვნება ღირსეული იქნება. კონსტიტუციასა და კანონში არ წერია, რომ კანდიდატი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი იქნებაო.

**— პრეზიდენტი გამოვიდა ინიციატივით, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ასარჩევად დროებითი კომისია შეიქმნას...**

— ბატონმა პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, ეს გადაიფიქრა. კონსტიტუციით და კანონით, პრეზიდენტს წარდგენის უფლება აქვს. ვფიქრობ, პრეზიდენტს კონსულტაციები ექნება პარლამენტთან. სასურველია, კონსესუსი მალევე მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი გაურკვეველი დროით ვაკანტური იქნება.

**— ბატონო მერაბ, ამ თანამდებობაზე თქვენი კანდიდატურა ხომ არ განიხილება?**

— საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის კანდიდატად დეკემბერში ვიყავი წარდგენილი. განმეორებითი არჩევნები თებერვალში ჩატარდება, იმედი მაქვს, გავიმარჯვებ და მეტად საინტერესო იდეას განვახორციელებ, რომელსაც მხარს ბევრი იურისტი უჭერს.

**— რა იდეაა, ბატონო მერაბ?**

— საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა თვით ქვეყნის შიგნით, რომელსაც შეგვიძლია, ,,პატარა სტრასბურგი“ დავარქვათ. მსგავსი გამოცდილება ევროპის ბევრ ქვეყანას აქვს. ამ მოდელის დროს, სახელმწიფოში საერთო სასამართლო კონსტიტუციურობის გადამოწმება თვით ქვეყნის შიგნით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხდება, რაც ადამიანებს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ სამართლიანობის აღდგენა ევროსასამართლოს გარეშე მოხდეს.

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

სტოპკადრი

# პრეზიდენტმა ადრიატიკის ზღვაში დაღუპული მამა ილია დააჯილდოვა

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილია კარტოზია სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისა და გმირობისთვის, განსაკუთრებული პიროვნული მამაცობის გამოვლენისათვის, „სამოქალაქო თავდადებისათვის“ (სიკვდილის შემდეგ) დააჯილდოვა. ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

**ადრიატიკის ზღვაში, ბორან „ნორმან ატლანტიზე“ ხანძარი 28 დეკემბერს გაჩნდა. გემზე 500-მდე ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის იყო საქართველოს რვა მოქალაქე. მამა ილიას გარდა, ყველა მათგანი ცოცხალი და უვნებელი გადარჩა.**

„ინტერპრესნიუსი“

# მარაბდელი მიტროპოლიტი თადეოზი გარდაიცვალა



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 68 წლის ასაკში, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის ყოფილი მღვდელმთავარი, მარაბდელი მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი) გარდაიცვალა.

მეუფე თადეოზი 1946 წლის 12 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ფლავში დაიბადა.

1966 წელს გორის რაიონის სოფელ ქვეშის საშუალო სკოლა დაამთავრა.

1968-1973 წლებში, გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგაც, 1973-1974 წლებში, გორის რაიონის სოფელ ქვეშის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა.

1974-1977 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. სკოლის ახალგაზრდა პედაგოგის მცხეთის სასულიერო სემინარიაში წასვლა მტკივნეულად აღიქვა მაშინდელმა ხელისუფლებამ.

მღვდელმსახურების ქრონოლოგია:

1977 წელი – მღვდელი; 1979 წელი – წილკნის ეპისკოპოსი; 1982 წელი – აგარაკ-წალკის ეპისკოპოსი; 1984 წელი – მანგლელი მთავარეპისკოპოსი; 1993-1995 წლები – ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი; 1995-2003 წლები – ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოსი; 2003 წელი – ბოლნისის მთავარეპისკოპოსი; 2005 წელი – თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი; 2010 წელი – მიტროპოლიტი. 2013 წლიდან ეწოდა მარაბდელი მიტროპოლიტი.

გაზეთი ,,ქართული სიტყვა“ მწუხარებას გამოთქვამს მეუფის გარდაცვალების გამო.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

21 - 27 იანვარი 2015

№ 3 (267)

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“



## დედაქალაქი



**ამას წინათ, თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა, ალექსანდრე ელისაშვილმა ყაზბეგის გამზირზე ხმაურიანი აქცია გამართა და, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობის სავარაუდო დაწყება გააპროტესტა. აქციის მეორე დღეს კი, სიტუაცია მის სასარგებლოდ შეიცვალა და ე.წ. ზონალურმა ჯგუფმა ყაზბეგის სკვერს რეკრეაციული სტატუსი დაუბრუნა. მაინც, როგორ მიაღწია გამარჯვებას და როგორ ჩაიშალა კორუფციული გარიგება? – „ქართული სიტყვა“ ალეკო ელისაშვილს ესაუბრა:**

# საკრებულოსა და უშიშროების სამსახურის კორუფციული შეთქმულება

## ალეკო ელისაშვილმა ყაზბეგის გამზირზე სკვერი გაჩეხვას გადაარჩინა!

– უკვე რამდენი ხანია, გავიძახი, რომ თბილისში, განსაკუთრებით, ცენტრალურ უბნებში, ძალიან ბევრი საცხოვრებელი კორპუსი შენდება – ტევა აღარ არის, ქალაქი ისედაც გადატვირთულია და იმის მაგივრად, რომ მერიამ განტვირთვაზე იზრუნოს, უარესს შვრება. ახლახან, ყაზბეგის გამზირზე მდებარე 52-ე საჯარო სკოლასთან ვიყავი – გავიგე, რომ იქვე მდებარე სკვერის გაჩეხვას და საცხოვრებელი კორპუსების აშენებას აპირებდნენ. ამ სკვერთან დაკავშირებით ადგილი კორუფციულ შეთქმულებას ჰქონდა.

**– რას გულისხმობთ?**

– ამ კორუფციულ შეთქმულებაში ჩართულები იყვნენ საკრებულოსა და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები, უშიშროების ხალხი ზეწოლას დავით ნარმანიაზე ახდენდა. ამან გამაბრაზა. ჯერ კიდევ 1 ოქტომბერს ვითხოვდი, რომ სკვერისთვის სტატუსი დაუბრუნებინათ, 9 ოქტომბერს დააფუძნეს კომპანია, 10 ოქტომბერს კი, 2 მილიონი გადაიხადეს. არ ვიცი, ასეთი რა ხალხია, რომ ერთ დღეში 2 მილიონს შოულობს...

**– ალეკო, აქციამ, როგორც ჩანს, ნაყოფი გამოიღო და ზონალურმა ჯგუფმა ყაზბეგის გამზირზე მდებარე სკვერს რეკრეაციული სტატუსი აღუდგინა. მერის მოადგილემ, ნინა ხატისკაცმა კი, ბოდიშის მოხდა მოგთხოვათ...**

– დიახ, საბურთალოელებთან ერთად, მართლაც, გავიმარჯვე, ვენაცვალე მათ! ახლა კი, ჯერი საკრებულოზეა, რომ საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. სკვერის გაჩეხვის მოსურნეებს კი, ვინც კორუფციაშია ჩართული, გეგმა ჩავუშალეთ. ვაჟა ფშაველას 26 ნომერში მცხოვრებლებმა ფიცი დადეს, რომ ბოლომდე იომებენ და სკვერში მრავალსართულიან კორპუსებს არ ჩაადგმევინებენ!

რაც შეეხება ბოდიშს, ზონალური საბჭოს სხდომაზე, დავით ნარმანიას პირობა მივეცი, რომ თუ გადაწყვეტილებას შეცვლიდა, ჩემს შეურაცხმყოფელ გამონათქვამს ჩირგვებში ჯდომასთან დაკავშირებით, უკან წავიღებდი. სიტყვა შევასრულე და ბოდიში საჯაროდ მოვუხადე. ვისურვებ, რომ ქალაქის მერმა თბილისელების ინტერესები უფრო მაღლა დააყენოს და ვიღაც „ცეხავიკი“ ტიპების სურვილები არ შეასრულოს!

საერთოდ, ქალაქში უკანონო და უხარისხო მშენებლობებს საშველი აღარ დაადგა.

**– ონიაშვილის ქუჩაზე მომხდარ ფაქტს გულისხმობთ?**

– ნეტავ, ონიაშვილის ქუჩა იყოს გამონაკლისი, სადაც კედელი ჩამოინგრა, მაგრამ საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყვა. ონიაშვილის 14 ნომერში კედლის ჩამონგრევა იმის ბრალია, რომ თავის დროზე გიგი უგულავამ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მშენებლობების დასაწყებად საშინელი ნებართვები გასცეს, რაც ქალაქისთვის ნაღმის ტოლფასი იყო. პირველი დღიდანვე ვეუბნებოდი ნარმანიას, რომ გაჩერებულიყო მშენებლობები და ვაკეში, ვერასა და საბურთალოზე მორატორიუმი გამოცხადებულიყო, ნებართვებისთვის გადაგვეხედა, მაგრამ ჩემი სიტყვა ყურად არ იღო. ამას 2015 წლის ბიუჯეტიც დაემატა, რომელიც ჩინოვნიკების კეთილდღეობას გულისხმობს და მეტს არაფერს.

**– ანუ?**

– ეს ბიუჯეტი მოსახლეობის ინტერესებზე კი არაა მორგებული, არამედ, ალეკო მარსაგიშვილის კომფორტის გამომხატველია – 2015 წლის ბიუჯეტის პროექტიდან, 90 მილიონი ჩინოვნიკებს უნდა მოხმარდეთ და თუ გროშები დარჩება, იმით შეკეთდება ავარიული სახლები და ქუჩები. წარმოიდგინეთ, 800-მილიონიანი ბიუჯეტიდან 90 მილიონი საკრებულოს და მერიის ჩინოვნიკებს უნდა მოხმარდეს. ამის შემდეგ, ისტორიული ქალაქის განვითარებაზე ვინღა იზრუნებს?

**– კი, მაგრამ „პანორამა თბილისის“ პროექტი სწორედ ამას არ ითვალისწინებს?**

– „პანორამა თბილისი“ გენგეგმაში ვერ ჯდება. გასაგებია, რომ გენგეგმა ცოტა გრძელვადიანი პროცესია, მაგრამ დროებითი რეგულაციების შემუშავება შეიძლებოდა, მით უფრო, ისტორიული არეალისთვის უნდა გაკეთებულიყო და დანარჩენი პროექტებიც მას მორგებოდა, თუმცა პირიქით ხდება – მთლიანი ქალაქის განვითარება ერთ პროექტს ერგება. დასანანია, რომ ყველაფერი ასე ნაჩქარევად გადაწყდა – 25 დეკემბერს შემოსული პროექტი 30-ში მიიღეს. საკრებულოს ასე ოპერატიულად არაფერზე უმუშავია. მაგალითად, „სითი პარკის“ წარმომადგენელი საკრებულოში, ექვსი თვის განმავლობაში, ერთხელ არ მოგვიყვანია... საზოგადოება „თბილისის პანორამის“ გეოლოგიურ დასკვნას არ იცნობს. არადა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო საზოგადოებრივი განხილვა პროფესიონალთა მონაწილეობით და გადაწყვეტილება ამის შემდეგ მიეღოთ.

**– თქვენი აზრით, საკრებულომ რატომ იჩქარა?**

– იმიტომ იჩქარა, რომ ამ საინვესტიციო პროექტის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას და დეპუტატებს უნდოდათ, მისთვის ესიამოვნებინათ. ზოგადად კი, თბილისს კანონებს ფულიანი ხალხი უწესებს. ალბათ, გახსოვთ, რა ამბავი მქონდა ატეხილი ე.წ. იმელის შენობაზე, მაშინ გოკა გაბაშვილს უნდოდა და მოუხსნა კიდეც შენობას ძეგლის სტატუსი. მირზა შაფზეც უნდოდათ ლანდშაფტური ძეგლის სტატუსის მოხსნა და მოუხსნეს. კლდის მოჭრა უნდოდათ? – მოჭრეს. ეს განუკითხაობა ახლაც გრძელდება. ქალაქს იმიტომ უნდა ჰყავდეს მერია და საკრებულო, რომ წესი და კანონი შეიმუშაოს და ნებისმიერი პროექტი ქალაქის ინტერესებს მოარგოს. „პანორამა თბილისი“, მართლაც, კარგი პროექტია, მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება, ოღონდ ის სოლოლაკში არ უნდა აშენდეს.

**– რატომ? ძველი თბილისის იერსახეს დაამახინჯებს?**

– მარტივი მოცემულობაა: მტკვარი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. ყოველთვის მარჯვენა ნაწილი უფრო ვითარდებოდა, ვიდრე – მარცხენა, ამის გამო მარჯვენა ნაწილი, ინფრასტრუქტურულად, ზედმეტად გადატვირთულია, საცობებიც ამიტომ წარმოიშვა, მარცხენა სანაპირო კი, განვითარებას ითხოვს. საამისოდ საკმარისი პირობებიც არსებობს და ტერიტორიაც. ძველი თბილისი იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაშია. მართალია, თბილისის უნიკალურობა აღიარებული იყო, მაგრამ ახლა გვეუბნებიან, ისტორიული უბნების მართვისათვის მენეჯმენტი არ გაქვთო. თუ თბილისი იუნესკოს სიაში აღარ იქნება, ამით, იცით, რამხელა შემოსავალს დავკარგავთ? – ქალაქებში, რომლებიც იუნესკოს ძეგლთა სიაში არიან, არანორმალურად იზრდება ტურისტების რაოდენობა... საკითხი ძალიან მარტივად იდგა: ხომ შეიძლება, „პანორამა თბილისი“ გადაგვეტანა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ამ პროექტის განხორციელება მაშინ გამართლებული იქნებოდა, მარჯვენა სანაპიროზე კი, ისტორიულ მემკვიდრეობას ძალიან ცუდად დააწვება. სააკაშვილი რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, ახლაც ასე გრძელდება, იმ განსხვავებით, რომ აღნიშნული საკითხის ირგვლივ ფიქტიური განხილვა მოვაწყვეთ, რაც ძალიან ცუდი ტენდენციაა!

**– ვიდრე ასეთი პროექტი დაიწყება, უპირველესად, რა სახის კვლევები უნდა ჩატარდეს?**

– კვლევები ჩატარებულია, მაგრამ აქამდე ხელმიუწვდომელი და გასაიდუმლოებული იყო, ნაწილი ეკონომიკის სამინისტროშია და პასუხს არ იძლეოდა. არც ის ვიცით, ეს კვლევები საფუძვლიანია თუ არა... ნაჩქარევი გადაწყვეტილების შედეგია რიყის უშნო მილები, კაზინო „შანგრი ლა“, სატივე, რომელიც „ცენტრ პოინტის“ აშენებულია და ა.შ. ნაჩქარევი გადაწყვეტილებები უკუღმა გვიბრუნდება...

**ესაუბრა ნათია ლებანიძე**

**„თბილისს კანონებს ფულიანი ხალხი უწესებს. ალბათ, გახსოვთ, რა ამბავი მქონდა ატეხილი ე.წ. იმელის შენობაზე, მაშინ გოკა გაბაშვილს უნდოდა და მოუხსნა კიდეც შენობას ძეგლის სტატუსი. მირზა შაფზეც უნდოდათ ლანდშაფტური ძეგლის სტატუსის მოხსნა და მოუხსნეს. კლდის მოჭრა უნდოდათ? – მოჭრეს. ეს განუკითხაობა ახლაც გრძელდება. ქალაქს იმიტომ უნდა ჰყავდეს მერია და საკრებულო, რომ წესი და კანონი შეიმუშაოს და ნებისმიერი პროექტი ქალაქის ინტერესებს მოარგოს. „პანორამა თბილისი“, მართლაც, კარგი პროექტია, მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება, ოღონდ ის სოლოლაკში არ უნდა აშენდეს“.**

## სტოპკადრი

# ირაკლი ალასანია: „ქართულ მედიაში რუსულმა სპეცსამსახურებმა დიდი ფულის ჩადება დაიწყეს!“

**თავდაცვის ყოფილი მინისტრი და პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია „გურიის მოამბის“ ვებგვერდის გადაცემა „ექსკლუზივში“ რუსული სპეცსამსახურების მხრიდან, საქართველოში რუსული იდეოლოგიის დასაყრდენის პოვნის მიზნით, ქართულ მედიასა და ვებპორტალების დაფინანსებაში დიდი ფულის ჩადებას შეეხო. ამასთან, ალასანიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ხელისუფლების დაინტერესება სანქციებში მოყოლილი „როსნეფტის“ ფოთის პორტში წარმოებულ საქმიანობასთან დაკავშირებითაც.**

**ალასანია 2015 წლის მთავარ გამოწვევად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პრობლემას მიიჩნევს.**

**„ჩემი აზრით, უმწვავესად დადგება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემა. მგონია, რომ ის აგრესიული, ექსპანსიური პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი უკრაინაში აწარმოებს, იმის გაგრძელებაა, რასაც საქართველოში აკეთებდა... ჩვენი ამოცანაა, გავატაროთ ისეთი პოლიტიკა, რითიც რუსეთს არ მივცემთ შანსს, რომ ესკალაციაში ჩაგვითრიოს. ამიტომ, ქვეყანა სამხედრო კუთხით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და ნატო-ს დაუახლოვდეს. ამ კუთხით სერიოზულ გამოწვევას ვხედავ იმიტომ, რომ დიდი ფულის ჩადება დაიწყო რუსული სპეცსამსახურების მხრიდან ქართულ მედია-სივრცეში, ვებპორტალების დაფინანსებაში, ცდილობენ, საქართველოში იპოვონ დასაყრდენი, რომ ევროპული არჩევანი ქვეყნისთვის არასწორია. მნიშვნელოვან საკითხად რჩება, თუ როგორ ებრძვის ამას ხელისუფლება, რა დონეზე არიან ჩვენი კონტრდაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურები. ხელისუფლება უნდა იყოს ძლიერი, რომ რუსეთის მხრიდან მცდარი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ჩვენს მედიასივრცეში ასეთი ფინანსური ინექციები არ დაუშვას. შემაშფოთა ისეთმა ცნობებმა, რომ რუსული ბიზნესის, „როსნეფტის“ წარმომადგენლობა ფეხს იკიდებს საქართველოში, კერძოდ, ფოთის პორტში, ქვეყნის ერთ-ერთ კარიბჭეში. ბიზნესი და გარიგებები გასაგებია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს, თუ როგორ აღმოჩნდა სანქციებში მოყოლილი კომპანია ფოთის პორტში. ვაპირებ, ეს საკითხი ძალიან სერიოზულად გამოვიკვლიო. ჩვენი საპარლამენტო ფრაქციაც სერიოზული საგამოძიებო ნაბიჯების გადადგმას აპირებს“, – განაცხადა ალასანიამ.**

**„გურიის მოამბე“**

ნოვაცია

# ქუჩაში 2 კილოგრამამდე ნაგვის დაყრისთვის, 80 ლარით დაჯარიმდებით!

## „ცივილიზებულ ქვეყანას უნდა დავემსგავსოთ!“ – ქვეყნის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი გვაფრთხილებს

**ბევრმა უკვე გაიგო, რომ 15 იანვრიდან ძალაში შევიდა კანონი, რომელიც იმ მოქალაქეების მიმართ, ვინც ქუჩაში ნაგავს ყრის და გარემოს აბინძურებს, ფინანსურ სანქციებს ითვალისწინებს, თუმცა ეს კანონი მხოლოდ ამ მიზნით არ შექმნილა – „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ერთ საკანონმდებლო სივრცეში ყველა იმ სფეროს მოაქცევს, რომელიც აქამდე სხვადასხვა კანონში იყო გაფანტული და, შესაბამისად, შესრულებაზე არავინ ზრუნავდა. მეტიც, ამ კანონის მიღებით, საქართველომ წინასწარ შეასრულა ვალდებულება, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებითაა გაწერილი. მაშ ასე, თუ სახლის აივნიდან ნაგვით სავსე პოლიეთილენის პარკს გადმოაგდებთ, სახელმწიფო 100 ლარით დაგაჯარიმებთ. თუ ასევე ქუჩაში მოიქცევით და ორ კილოგრამამდე ნაგავს დაყრით, მაშინ სანქცია 80 ლარით განისაზღვრება. იმ შემთხვევაში კი, თუ ცარიელ ბოთლს ავტოტრანსპორტიდან ისვრით, 120 ლარით დაჯარიმდებით. ჯარიმას ითვალისწინებს გარემოს საბურავებით, ელექტრონათურებით, ელექტროსაქონლითა და ბასრი თუ მჩხვლეტავი საგნებით დანაგვიანებაც. იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედება ერთი წლის განმავლობაში გაიმეორეთ, ჯარიმა გაორმაგდება, რიგ შემთხვევებში კი, გაოთხმაგდება... რა წერია „ნარჩენების მართვის კოდექსში“ და რის შესრულება მოუწევს, როგორც სახელმწიფოს, ასევე, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს? – „ქართული სიტყვა“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორ ნელი კორკოტაძეს ესაუბრა:**

– აქამდე საქართველოში ნარჩენების მართვის ერთიანი საკანონმდებლო სისტემა არ არსებობდა, რეგულაციები სხვადასხვა კანონმდებლობაში იყო გაბნეული და თანამედროვე მიდგომებს ვერ შეესაბამებოდა. ამიტომ, ნარჩენების მართვა პრობლემატური გახლდათ – კანონმდებლობის დონეზე იდენტიფიცირებული არც ნარჩენების სხვაობა იყო.

**– კონკრეტულად, რა სხვაობაზეა საუბარი ?**

– კანონმდებლობა არ მიჯნავდა, რა იყო სპეციფიური ნარჩენი, რა – სახიფათო, მუნიციპალური და ასე შემდეგ.

კანონპროექტზე მუშაობა საქართველოს მთავრობის აქტიური მონაწილეობით დაიწყო და კანონი ფორსირებულ რეჟიმში დაიწერა. კანონპროექტის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ევროკავშირის ექსპერტები. საერთოდ, ეს პროექტი „თვინინგის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა. შესაბამისად, კანონი ევროკავშირის მოწინავე კანონმდებლობასთან სრულად ადაპტირებული და ჰარმონიზირებულია.

**– კანონის მიღება ევროკავშირის მოთხოვნა იყო?**

– არა, მაგრამ ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს, რომ მთელი რიგი კანონები ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში მოვიყვანოთ. ამიტომ, ყველაფერი წინსწრებით გავაკეთეთ. როგორც გითხარით, კანონი სრულად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს, ანუ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით გადმოღებულია ევროპული პრაქტიკა. კანონში მოცემულია რეგულირების სფერო, კომპეტენტური ორგანოების, პასუხისმგებელი პირებისა და ყველა დაინტერესებული მხარის ვალდებულებები თუ უფლებები.

**– ამ ვალდებულებებსა და უფლებებზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ...**

– შემოდის სრულიად ახალი რეგულაცია: ნარჩენების კოდექსი თვითმმართველ ორგანოებს ავალდებულებს, მოაწესრიგონ ნარჩენების მართვა მათ ტერიტორიებზე. ასევე, ავალდებულებს კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს, რომ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანონ მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მართვა. კანონში მოცემულია ნაგავსაყრელების მოწყობის, ოპერირებისა და დახურვის რეგულაციებიც. ასევე, გაწერილია სანქციები და ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებთან დაკავშირებული რეგულაციები. საეთაშორისო კანონმდებლობა გვავალდებულებს, რომ ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროცესში ნარჩენები სწორად ვმართოთ.

**– ამბობთ, რომ კანონის დაწერა ფორსირებულად მოხდა. რატომ იჩქარეთ?**

– იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ცივილიზებულ ქვეყანას დავემსგავსოთ. გვინდა, რომ ჩვენი საცხოვრებელი და კულტურული გარემო აღარ დაბინძურდეს, რაც ჩვენზე და ჩვენი შვილების ჯანმრთელობაზე აუცილებლად აისახება. ეს კანონი პირველ რიგში, მოქალაქეებზე, გარემოზე ზრუნვაა. ასევე, აუცილებელია ჩვენი ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვისაც. ქართველი თუ უცხოელი ტურისტები მუდმივად აწყდებოდნენ ქაოტურად განთავსებულ ნარჩენებს, რადგან რეგიონებში შესაბამისი სერვისები განვითარებული არაა. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოეგვარებინა და დროში აღარ გაჭიმულიყო. სხვათა შორის, აღმასრულებელი ხელისუფლება მოკლებული იყო შესაძლებლობას, რაიმე ტიპის ღონისძიებები განეხორციელებინა, ვინაიდან ამა თუ იმ ვალდებულების დაკისრებაზე დოკუმენტი, ჩარჩო არ არსებობდა.

როცა არსებობს კანონი, ყველა დაინტერესებული უწყება – პოლიტიკის განმახორციელებლიდან დაწყებული შემსრულებლით დამთავრებული, ვალდებული ხდება, რაღაც გააკეთოს – სწორად განსაზღვროს ბიუჯეტი და კანონის აღსრულებას მიაბას. ეს კანონი ბევრი რამის მასტიმულირებელი გახდება, მათ შორის, კერძო კომპანიებისათვის, რომლებსაც აქამდე ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებული ინტერესი არ ჰქონდათ და შესაძლოა, ახლა გაუჩნდეთ. მთელი ჩვენი ნარჩენი ნაგავსაყრელზე მიდის, თუმცა ნაგვიდან შეიძლება, ძალიან ბევრი რამ მივიღოთ, ანუ ნარჩენი ნედლეულად ვაქციოთ. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ ნაგავსაყრელზე ნარჩენის მინიმალური რაოდენობა აღმოჩნდეს. ნაგავსაყრელები დიდ ტერიტორიებზე არაა განთავსებული. ამიტომ, უნდა გადაიტვირთოს. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და ნაგავსაყრელებად არ უნდა გადავაქციოთ...

კოდექსში პირდაპირაა გაწერილი სახელმწიფო უწყებების ვალდებულებები. გაწერილია ვადებიც – შევიმუშავებთ ეროვნულ სტრატეგიას, ნარჩენების მართვის გეგმებს, როგორც მუნიციპალურ დონეზე, ასევე, კერძო კომპანიებისთვის. იმისთვის, რომ კანონმა იმუშაოს, სანქციებიც უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, კანონმა შემოიტანა სრულიად ახალი ტერმინი – „მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა“. კომპანიებს, რომლებიც ისეთ პროდუქციას აწარმოებენ, რომელიც საბოლოო ჯამში, შეიძლება, ნარჩენი გახდეს, უჩნდებათ ვალდებულება, რომ ამ ნარჩენს თვითონვე მიხედონ. ეს რეგულაცია ცოტა მოგვიანებით ამოქმედდება – კომპანიებს მომზადების საშუალება უნდა მიეცეთ.

**– კანონი თვითმმართველობებს კონკრეტულად რას ავალდებულებს?**

– დაევალათ, მოაწესრიგონ შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ნარჩენების შეგროვების, გატანისა და განთავსების სერვისები კანონთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

**– ეს ე.წ. მოსამზადებელი პროცესი რამდენ ხანს გასტანს? თბილისის მაგალითზე რომ ვთქვათ, ინფრასტრუქტურა მთლად გამართული არც აქაა...**

– კი ბატონო, თბილისი, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე კარგი მაგალითია, თუმცა დიდ ქალაქებში ყველაფერი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა კი, ძალიან სწრაფად უნდა მოაწესრიგონ ინფრასტრუქტურა. იმ ტერიტორიაზე, სადაც ვერ ხერხდება სერვისების მიწოდება, ერთწლიანი ვადა აქვთ.

**– რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, რომელიც ყველაზე პრობლემურია მთელ მსოფლიოში, ეს პრობლემა როგორ გადაიჭრება?**

– საქართველოში სახიფათო ნარჩენები დიდი რაოდენობით არაა და ამ მხრივ კატასტროფული სიტუაცია არ გვაქვს, მაგრამ ახალი კანონი ამ საკითხსაც არეგულირებს. ყველა კომპანიას, რომელიც წარმოქმნის სახიფათო ნარჩენებს, უჩნდება ვალდებულება, რომ ამის თაობაზე აცნობოს გარემოს დაცვის სამინისტროს, მოახდინოს მათი აღრიცხვა-განთავსება-გაუვნებელყოფა, ანუ ეს კანონი მხოლოდ სანქციები არაა.

**– შეიძლება, მაგრამ სანქციები მაინც ყველაზე მთავარია. რა არ უნდა გავაკეთოთ, რომ არ დავჯარიმდეთ?**

– ყველაზე მთავარი პირადი მაგალითია: არ გადავაგდებ ქუჩაში ნარჩენს, მაგრამ ჩემი შვილი თუ გადააგდებს, მინიმუმ, მივუთითებ! მგონი, სირცხვილი არაა, რომ ნარჩენის დაგდებაზე სხვასაც მივუთითოთ.

თუ ფიზიკური პირი კანონს არ დაარღვევს – საცხოვრებელი სახლიდან ნაგავს არ გადმოყრის, არ დაჯარიმდება, მაგრამ თუ ამას მაინც გააკეთებს, ასლარიანი ჯარიმა დაეკისრება...

პირი, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობს, თუ ფანჯრიდან ბოთლს არ გადმოაგდებს და ამით საავარიო სიტუაციას არ შექმნის, არ დაჯარიმდება და თუ ამას მაინც გააკეთებს, 120-ლარიანი ჯარიმა გამოეწერება.

თუ ქუჩაში არ დავაგდებთ ორ კოლოგრამამდე ნარჩენს, არ დავჯარიმდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, 80-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოგვიწევს.

თუ წლის განმავლობაში ეს და სხვა დარღვევები განმეორდება, ჯარიმებიც გაორმაგდება. განსხვავება მხოლოდ დაცული ტერიტორიების ფარგლებშია: თუ დაცული ტერიტორიების ფარგლებში პირი სამართალდარღვევას გაიმეორებს, მაშინ ჯარიმა გაოთხმაგდება.

**– წინა ხელისუფლების დროს, მოქალაქეები ქუჩაში სიგარეტის ნამწვავის დაგდებისთვისაც დაუჯარიმებიათ, მაგრამ ეს დროებითი აქცია იყო...**

– ამ კამპანიამ თავის დროზე იმუშავა – მოსახლეობა მობილიზებული იყო, რომ კანონი არ დაერღვია. ამ შემთხვევაში კი, არ გვექნება კამპანიური ხასიათის აქცია, ეს კანონია, რომელიც დარწმუნებული ვარ, იმუშავებს და საამისოდ ინტენსიური კონტროლი იქნება. ჩვენი თვითმიზანი ადამიანებისა და კომპანიების დაჯარიმება არაა, მაგრამ მოსახლეობას მოვუწოდებ, სამართალდარღვევისგან თავი შეიკავოს და, როგორც მინიმუმ, საკუთარ ბიუჯეტს გაუფრთხილდეს. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წელში ისე მოვიქცევით, რომ ოქმების შედგენა აღარ დაგვჭირდება.

**– კონტროლს ვინ განახორციელებს, ანუ ხალხს ვისი უნდა „ეშინოდეს“?**

– კონტროლს სამი უწყება – გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტი, საპატრულო პოლიცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო განახორციელებს. ამ უწყებებს ეყოლებათ უფლებამოსილი პირები, რომლებიც პარალელურ რეჟიმში იმუშავებენ. სწორედ ისინი შეადგენენ ოქმს, ანუ ამ სამი უწყებიდან ჯარიმას ის გამოწერს, ვინც სამართალდარღვევას შეამჩნევს!

**ესაუბრა ნათია ვერძეული**



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროფესია

# „გაითავისე!“ — 32 წლის დუშელი ექიმის საქველმოქმედო ინიციატივა

**გიორგი ასლამაზიშვილი ახალგაზრდა ექიმია — დუშეთის საავადმყოფოში თერაპევტად მუშაობს. პარალელურად, სამი წელია, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს ხელმძღვანელობს. სასადილოს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, 110 ბენეფიციარი ჰყავს. აქედან უმეტესობა, ანუ 80 პროცენტი მოხუცია, დანარჩენი კი, სოციალურად დაუცველია... ბენეფიციარები სასადილოს ყოველდღე სტუმრობენ და, როგორც გიორგი განმარტავს, იმ კალორაჟს იღებენ, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. წესით, სასადილო მხოლოდ ბენეფიციართა გამოკვებაზე უნდა ზრუნავდეს, მაგრამ როგორც დუშელები ამბობენ, მას შემდეგ, რაც ამ ობიექტს სათავეში გიორგი ასლამაზიშვილი ჩაუდგა, სასადილო გაჭირვებულთა ერთგვარ თავშეყრის ადგილად იქცა — იქ ზოგჯერ დილიდან საღამომდე რჩებიან და თავს ხან ნარდის, ხანაც დომინოს თამაშით იქცევენ...**



„სიკეთე ყველა ადამიანმა უნდა აკეთოს“, — ამბობს 32 წლის გიორგი ასლამაზიშვილი, რომელსაც ორი უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული: თავდაპირველად, პროფესია მამის ხათრით აირჩია და ერთხანობას პროფესიითაც მუშაობდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ მისი მოწოდება ექიმობა იყო და გეზი სამედიცინო უნივერსიტეტისკენ აიღო.

მოგვიანებით, ჯი-პა-ც დაამთავრა...

სამსახურს არაერთი თბილისური კლინიკა სთავაზობდა, მაგრამ მშობლიურ რაიონში დაბრუნდა.

— დუშეთის გარდა ცხოვრება ვერსად წარმომიდგენია, — სიამაყით ამბობს გიორგი, რომელმაც ახლახანს, მეგობრებთან ერთად, საქველმოქმედო ორგანიზაცია „გაითავისე“ დააფუძნა.

— ქველმოქმედებისთვის ორგანიზაცია რა საჭიროა? — ორაზროვნად ვეკითხები თანამოსაუბრეს.

ახალგაზრდა ექიმი არ იბნევა და მკვირცხლად მპასუხობს:

— ყველაფერს თავისი სახე უნდა ჰქონდეს.

— მაინც, რა მიზნები აქვს „გაითავისეს“? — ისევ ორაზროვნად ვეკითხები გიორგის.

— „გაითავისე“ გაჭირვებულებს საკვები პროდუქტებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფს. ასევე, შეეცდება, რომ სოციალური პირობებიც გავუუმჯობესოთ — ვთქვათ, ზოგს სახლში წყალი ჩასდის, ზოგს ტექნიკა არ აქვს...

არ მინდა, ახალგაზრდა ქველმოქმედს იმედი გადავუწურო, მაგრამ შეკითხვას მაინც ვსვამ:

— ყველაფერი ეს დიდ თანხებს მოითხოვს. ფულს როგორ იშოვი?

— დახმარებას კომპანიებს ვთხოვთ... კეთილი ადამიანებიც არიან, — იხტიბარს არ იტეხს გიორგი და ერთ „საიდუმლოსაც“ მიმხელს, — მალე, დუშეთის კულტურის სახლში საქველმოქმედო კონცერტს გავმართავთ, რომელიც „გაითავისეს“ ერთგვარი პრეზენტაციაც იქნება...

„გაითავისე“-ს სამოქმედო არეალი, როგორც გავარკვიე, ძირითადად, დუშეთის რაიონი იქნება. საქველმოქმედო ორგანიზაცია, ბიზნეს-კომპანიებისა და კერძო პირების გარდა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და სოფლის გამგეობებთანაც აქტიურად ითანამშრომლებს, რაც ბუნებრივია — სწორედ ადგილობრივმა ხელისუფლებამ იცის, ყველაზე მეტად ვის უჭირს.

— ცხადია, ერთბაშად ყველას ვერ დავეხმარებით, მაგრამ ისიც საქმეა, თუკი ერთი ოჯახის ცხოვრებას ოდნავ მაინც შევცვლით, — მიიჩნევს გიორგი ასლამაზიშვილი და დასძენს, რომ „გაითავისე“ პრობლემებს კომპლექსურად მიუდგება.

**მთავარი იდეაა, იდეიდან რეალობამდე კი, ერთი ნაბიჯია. გიორგი ასლამაზიშვილსა და მის მეგობრებს იდეა აქვთ და რეალობისკენ დიდი ნაბიჯიც გადადგეს — საქველმოქმედო ორგანიზაცია „გაითავისე“ დააფუძნეს. ახლა კი, როგორც იტყვიან, ჯერი ჩვენზე, საზოგადოებაზეა — თუკი სხვის ტკივილს, გაჭირვებას გავითავისებთ, სოციალურად დაუცველ ადამიანთა რიცხვი ნელ-ნელა შემცირდება და ერთ დღესაც ამ ქვეყანაში მხოლოდ ბედნიერი და ღიმილიანი ადამიანები იცხოვრებენ!**

**ასე რომ, ბატონებო, „გაითავისე“-თ და გახსოვდეთ:**

**სიკეთე გადამდებია!**

**ვანო პავლიაშვილი**



რეგიონი

**სკოლაში კარგად სწავლობდა... განსაკუთრებით, ქართული ენა და ლიტერატურა უყვარდა.... ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა ამიტომაც გადაწყვიტა... ამ გადაწყვეტილების მიღება რთული იყო, რადგან იქ დაიბადა და გაიზარდა, სადაც ქართველები არ ცხოვრობენ... ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, პირადი ცხოვრების გამო, მაგისტრატურაში მაშინვე ვერ ჩააბარა... ბოლოს მიხვდა, რომ მისი პირადი ცხოვრება სკოლა, ბავშვები და ქართულის გაკვეთილებია... ამიტომ, დღემდე დაუოჯახებელია. ამბობს, რომ ბევრი შვილი, ასევე, ძმისა და დის შვილი ჰყავს... 800-მდე ბავშვის მშობელი ვარო, — ხუმრობს. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც იოსებ ნონეშვილი ამბობდა, მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელიო.... თავისი ხალხი უყვარს... თვლის, რომ გმირობა ყველგან შესაძლებელია — ომშიც და მშვიდობიანობის დროსაც... ამბობს, რომ ყველაზე დიდი მოქალაქეობრივი ვალი სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარებაა... იმ დღეზე ოცნებობს, როცა ყარაჯალაში, სადაც 17 000 -ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ქართული სიტყვის ზეიმს მოაწყობს... სჯერა, რომ ამ ოცნებას აიხდენს... ერთი სიტყვით, „ქართული სიტყვა“ სოფელ ყარაჯალის სკოლის დირექტორ ელზა აშიროვას სხვა რაკურსით წარმოგიდგენთ:**

# ქართული სიტყვის აზერბაიჯანელი ბურჯი

## ყარაჯალის სკოლის დირექტორი, ელზა აშიროვა სხვა რაკურსით



— ყარაჯალის სკოლა 120 წლისაა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, სწავლება მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე მიდიოდა, 2002 წელს კი, ქართული კლასი პირველად გაიხსნა — კლასის დამრიგებელი ვიყავი. 2005 წლის ოქტომბრიდან, სკოლის დირექტორი ვარ... ბავშვებმა ელემენტარული ქართულიც არ იცოდნენ, ქართული, წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, მხოლოდ მეათე კლასში ისწავლებოდა, ფაკულტატურის ხარჯზე... ხალხი ძალიან ჩაიკეტა, დოკუმენტაციის აღებას ვერ ახერხებდა....

— **ცვლილებები რომელი წლიდან დაიწყო?**

— 2006 წლიდან, ქართული კლასების გახსნა მასიურად დაიწყო. დღეს ბავშვებს შეუძლიათ, ელემენტარული ანკეტა შეავსონ, ქართულიც ესმით. ეს მიღწევა ჩემთვის ოქროს მედალიცაა და ყველანაირი სიგელიც. ისე, მართალია, მედლებით, სიგელებით და გამარჯვებებით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ უმძიმესი მემკვიდრეობის შემდეგ, ყველაზე მთავარი შევცვალეთ — ბავშვებს ელემენტარული ქართული ესმით.

— **ქართულის შესწავლის სურვილი თავად ბავშვებიდან თუ მოდის?**

— მაქსიმალურად ვცდილობ, კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა. წახალისებაც გვაქვს — ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება, თელავის თეატრი სპექტაკლებზე გვეპატიჟება ხოლმე. დიახ, თელავის დრამატული თეატრი ყარაჯალის სკოლის დიდი მეგობარია!

— **მოსწავლეებს სხვა სკოლების თანატოლებთან შეხვედრის შესაძლებლობა აქვთ?**

— გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, შარშან, ბორჯომსა და თბილისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში იყვნენ. აი, ასე ებმებიან ქართულ ფერხულში. ახლა კი კონკურსში — „ერთი დღე საქართველოს ისტორიიდან“ — ვმონაწილეობთ: ექვსმა მოსწავლემ სპექტაკლი დადგა, გადავიღეთ და დისკი კონკურსზე გავგზავნეთ. შეიძლება, ვერ გავიმარჯვოთ, მაგრამ მთავარი სხვა რამეა — ბავშვებმა თორნიკე ერისთავის ეპოქა გააცოცხლეს და სპექტაკლი მთელმა სკოლამ, ანუ 800 ბავშვმა ნახა. ყველამ იცის, რომ თორნიკე ერისთავი, ქვეყნის გადასარჩენად, ბერობიდან ერობაში გადავიდა. სპექტაკლიდან ისიც გაიგეს, რომ ოდესღაც ბიზანტია და საბერძნეთიც დახმარებას ქართველებს სთხოვდნენ. ცოტას არ ნიშნავს, როცა ბავშვებს სახელმწიფოს ისტორიას ასეთი თვალსაჩინოებით ასწავლი. ახლა ყველას უნდა, რომ თორნიკე ერისთავის როლი ითამაშოს

— **სკოლის გარდა, ბავშვებს ქართული კიდევ სად ესმით?**

— ენობრივი ბარიერის დაძლევაში მთავარი პრობლემა ე.წ. თეფშებია — შინ, სამწუხაროდ, ქართულ კი არა, ძირითადად, თურქულ ტელეარხებს უყურებენ. ქართული მშობლებსაც უჭირთ... ამიტომ აქტიურად დავიწყეთ მუშაობა, რომ დაწყებულიყო გაცვლითი პროგრამები. სხვათა შორის, სკოლის ზეიმებზე მეც ვმღერი, ვცეკვავ და ბავშვებსაც სტიმული ეზრდებათ...

— **მოსწავლეებში გენდერული ბალანსი როგორია?**

— მე-11-მე-12 კლასებში ბიჭები სჭარბობენ. დაწყებით კლასებში კი, უფრო თანაფარდობაა...

ჩემი ხალხი ძალიან მიყვარს — მისი ნაწილი ვარ...

სოფელში ყოველთვის იყო პრობლემა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა უმაღლესში არ სწავლობს. ამიტომაც, სკოლაში კვალიფიციური, ადგილობრივი კადრები არა გვყავს — ქართული სექტორის პედაგოგთა უმრავლესობა თელავიდან დადის, თუმცა დაწყებით კლასებში ხელოვნებასა და კიდევ რამდენიმე საგანს ადგილობრივები ასწავლიან,

სკოლაში 791 მოსწავლეა და მინდა, ერთს მივაღწიო: ბავშვთა თუნდაც 10 პროცენტი უმაღლეს განათლებას დაეუფლოს და სოფელს კვალიფიციური კადრი ჰყავდეს...

ისე, ქართველი რძლები გვყავს და მინდა, უფრო მეტი გვყავდეს — ისინი შეძლებენ, რომ სოფლისთვის ბევრი კარგი რამ გააკეთონ!

**ესაუბრა მაკა მოსიაშვილი**

№ 3 (267)
21 - 27 იანვარი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ტერარიუმი

# ყველაფერი გველებზე

**დედამიწის ზურგზე უამრავი ცხოველი თუ ქვეწარმავალი ბინადრობს, თუმცა ადამიანებს განსაკუთრებული შიში და ზიზღი ქვეწარმავლების მიმართ აქვთ. სწორედ ამის გამო უწოდა ქართველმა ქვეწარმავალს უხსენებელი... უხსენებელთა სიმცირეს არც თბილისი განიცდის... ,,ქართული სიტყვა“ მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს შინაური და გარეული ცხოველების კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის თანამშრომელ არნო ბაგრამოვს ესაუბრა.**

**— არნო, ნოეს ბიბლიურ კიდობანში, სხვა არსებებთან ერთად, გველიც იყო. მიუხედავად ამისა, იშვიათია ადამიანი, ვინც გველის მიმართ სიმპათიით გამოირჩევა...**

— მართალია, ზოოვეტერინარული ინსტიტუტი დავამთავრე, მაგრამ გველებით ბავშვობაში დავინტერესდი: იპოდრომთან ახლოს ვცხოვრობდი, სადაც ძალიან ბევრი გველხოკა ბინადრობდა. გველები ჭკვიანები არიან, იციან, სიცხესა თუ სიცივეში თავი როგორ დაიცვან, როგორ მოიპოვონ საკვები. საერთოდ, ცივსისხლიანი არსებები აქტიურები ზაფხულში არიან. ზამთარში კი, ყველა ფუნქცია ეთიშებათ, მათ შორის, — საჭმლის მონელებისაც. ამიტომ სოროში ძვრებიან და სძინავთ. ისინი მთლიანად ამინდზე არიან დამოკიდებულნი. მარტ-აპრილში, ფერომენების გამოყოფით, საპირისპირო სქესს აცნობებენ, რომ გამრავლებისთვის მზად არიან. სქესობრივი აქტის დროს, ერთმანეთს ეხვევიან — ეს რიტუალი ცეკვას მოგაგონებთ. დედალი გიურზა ყოველთვის იჩაგრება, დედალი კობრა კი, მამალს ჭამს. ერთმანეთთან ორი კვირა რჩებიან, მერე შორდებიან და თავთ-თავიანთ გზაზე მიდიან. კობრა, ინკუბაციის პერიოდში, ხეზე ზის და იქიდან ნადირობს. პითონები, ქათმებივით, კვერცხებს ზევიდან ეხვევიან და წიწილებს ასე ჩეკავენ.

მესმის, რომ ხალხს გველის დანახვისაც ეშინია, მაგრამ უფალმა, როცა სამყაროს გადარჩენაზე ფიქრობდა, კიდობანში გველი ტყუილად არ ჩასვა. დღეს კი საქმე ასეა: კახეთში გიურზა ფართოდ რომ არ იყოს გავრცელებული, ღვინო არ იქნებოდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ გიურზა ვაზის ფოთლების მჭამელ მწერებს, თაგვებს, ვირთხებს, ხვლიკებს ანადგურებს, ანუ შეიძლება ითქვას, რომ გველი ბუნების სანიტარია.

**— ამბობენ, რომ გველი სუფთა არსებაა...**

— ნამდვილად ასეა.

**— დაავადების გადამტან ვირთხას რომ მიირთმევს, არ სნეულდება?**

— ცხელსისხლიანისგან ცივსისხლიანზე დაავადება არ გადადის.

**— არნო, გველებზე უამრავი ტყუილ-მართალი გამიგონია. მაგალითად, ამბობენ, რომ გველი ზოგჯერ ფუძის ანგელოზად გვევლინება, რომელსაც, მისაჩვევად, რძით უნდა „გაუმასპინძლდე“...**

— ეს ლეგენდებია. გველმა საერთოდ არ იცის, რა არის ბუდე. დედალი 20-25 ცალ კვერცხს დებს, იმ ადგილას ერთი კვირა გაჩერდება, ანუ ვიდრე პირველ კანს გამოიცვლის და მერე საცხოვრებლად სხვაგან გადადის. გამოძახებაზე მისულს ბევრჯერ გამიგონია შეძახილები, ახლა, მაგას აქ დედა, შვილი, და-ძმა ეყოლებაო, მაგრამ გამორიცხულია — გველი ოჯახით არსად ბინადრობს.

რაც შეეხება რძეს, ესეც ზღაპარია. ზოოპარკში მუშაობისას წეროვანიდან კაცი მოვიდა და შემოგვჩივლა, გარშემო ბევრი გველია და იქნებ წამალი მოგვაწოდოთ, რძეში ჩავუყრით და მინდორში დავდგამთო. ვცადე, ამეხსნა, რომ რძე არ გამოადგებოდა, მაგრამ დაიჟინა, გველები რძეს ეტანებიანო. მოკლედ, წეროვანის მინდვრებში გველების დასახოცად შხამგარეული რძე დადგეს. რამდენიმე დღეში, გარშემო რაც კატა და ძაღლი იყო, დაიხოცა, გველები კი, ისევ ბინადრობდნენ.

საერთოდ, როცა ცხელა და სწყურია, ყველა შხამიანი და უშხამო გველი ნებისმიერ სითხეს მიირთმევს. რძეზე ლეგენდა კი შესაძლოა, იქიდან გავრცელდა, რომ აშშ-ში ,,რძის გველები“ ძროხებს თავს ესხმოდნენ. ერთხელაც, დააფიქსირეს, რომ გველი ცურზე იყო ჩამოკიდებული და გადაწყვიტეს, რომ რძე ყველა გველს უყვარს.

ხალხში გავრცელებულ კიდევ ერთ ლეგენდას გავიხსენებ, რომლის თანახმადაც, წყალში ჩასვლის წინ, გველი შხამს თითქოს ქვაზე ტოვებს, წყლიდან ამოსული შხამს ეძებს და თუ ვერ იპოვის, თავს მოიკლავს. სინამდვილეში, შხამის გამოდევნის პროცესი ასეთია: გველი კბილს რბილ ქსოვილში ჩაარჭობს და წვრილი კბილებიდან შხამი რომ გამოვიდეს, შხამიან ჯირკვლებს დიდი ძალით, წნევით აწვება, თან გველმა იცის, რამდენი წონის არსების ორგანიზმში რა რაოდენობის შხამი უნდა შეუშვას. დარტყმის დროს, საერთო ჯამში, 0,5 გრამი შხამის შეშვება შეუძლია.

## როგორ მრავლდება, რატომ ეშინიათ ადამიანებს, მართლა უყვარს თუ არა რძე, რა სარგებლობა მოაქვს უხსენებელს და როდისაა გველის ნაკბენი სასიკვდილო

**— ისიც ტყუილია, რომ ამბობენ, გველები გაზაფხულზე თავს ერთად იყრიან და ძვირფასი თვლებით თამაშობენო?**

— გველების ,,სხადნიაკი“ არ არსებობს, დაივიწყეთ!

**— საქართველოს ტერიტორიაზე შხამიანი გველი ძირითადად სად ბინადრობს?**

— საქართველოში გავრცელებული შხამიანი გველი — კავკასიური გიურზა შეიძლება, ნებისმიერ ადგილას აღმოაჩინოთ. ბოლო დროს, თბილისის მოქალაქეები შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ქვეწარმავალი სხვადასხვა უბანში იპოვეს. გველი მისთვის უჩვეულო გარემოში შეიძლება, სხვადასხვა გზით აღმოჩნდეს — ვთქვათ, დიდი სატვირთო მანქანის ძარაზე ხის ფიცრებს აყვეს, ან მსუბუქი მანქანის ქვეშ რაიმე დეტალს მოეხვიოს. ეს უფრო ხშირად მაშინ ხდება, როცა სიცხისგან თავის დაცვას ცდილობს.

საერთოდ, ორთაჭალაში, კრწანისში, ფონიჭალასა და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გველები ყოველთვის მრავლად იყვნენ. ამ მხრივ საშიშ ზონებად სოფლები — ტაბახმელა, შინდისი, კოჯორი და წყნეთი ითვლება. გიურზა მეტრი და სამასი, მეტრი და რვაასიც იზრდება. აგრესიული გველია, მისგან დაკბენის შემთხვევაში, გადარჩენის შანსი ათი პროცენტია — გააჩნია, სადაა ნაკბენი. სახიფათოა არტერიასა და თავის მიდამოებში ნაკბენი, რადგან სისხლსა და ტვინთან რაც უფრო ახლოსაა, შხამის სწრაფი გავრცელების საშიშროება მატულობს. ამიტომ მოსახლეობას მოვუწოდებ, გველით დაგესვლის შემთხვევაში, დრო არ დაკარგოს და დაკბენილი პაციენტი, ორი-ოთხი საათის განმავლობაში, აუცილებლად სამედიცინო დაწესებულებაში უნდა მიიყვანოს, სადაც ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში ვაქცინას — ანტიგიურზინს გაუკეთებენ.

**— სპეციალისტების მოსვლამდე, რა შეიძლება გავაკეთოთ?**

— შხამის გამოსადევნად ნაკბენი ადგილის გამოწოვა და თბილი სითხეების მიღება კარგი საშუალებაა, მაგრამ თუ ადამიანს პირის ღრუში პრობლემები აქვს — დაზიანებული კბილები, ღრძილები, განაკაწრი — მოშხამვის საშიშროების ქვეშ შეიძლება, ისიც დადგეს.

**— როგორ გავარჩიოთ შხამიანი და არაშხამიანი გველის ნაკბენი?**

— არაშხამიანი გველის ნაკბენი ასე გამოიყურება — ძალიან ბევრი წერტილია, რომელიც 72%-იანი ე.წ. სარეცხი საპნით უნდა ჩამოვიბანოთ. ზოგჯერ მხოლოდ დაზარალებულს კი არა, ექიმსაც უჭირს, თუ რა სახის ნაკბენთან აქვს საქმე. შხამიანი გველის დაკბენის შემთხვევაში, ორი სისხლმდენი ნაკბილარია, გარშემო კი, მთელ სხეულზე, სისხლჩაქცევები ჩნდება. ვიმეორებ: სწორი დაიგნოზის დასმა აუცილებელია, რათა ინციდენტი ფატალურად არ დამთავრდეს.

დაუშვებელია, რომ დიაგნოზის დასმამდე დაზარალებულს ანტიგიურზინის ვაქცინა გაუკეთდეს, რადგან ამ დროს ორგანიზმში გიურზას შხამი ხელოვნურად შეაქვთ და, ალერგიის შემთხვევაში, ადამიანის მოკვდინება გარდაუვალია.

ერთხელ, ასეთი შემთხვევა მქონდა: ღამის ორ საათზე გამოძახებაზე მივედით, მამაკაცს ფეხზე ნაკბენი აღენიშნებოდა, მაგრამ ეს ობობა ფალანგის ნაკბენი გახლდათ და არა — გველის, როგორც ავადმყოფის პატრონები შიშობდნენ. ობობას საცეცებზე მიკრობული რაოდენობის დამპალი ხორცის ნარჩენები რჩება და ეს საკმარისია, რომ ადამიანის ორგანიზმში ინფექცია შეიჭრას. ამ შემთხვევაში, წერტილების განლაგებას უნდა დააკვირდე, რომელიც ზუსტ სურათს იძლევა. ის გარემოც დავათვალიერე, სადაც ავადმყოფი ცხოვრობდა, გამოცდილებით ვიცი, მწერები, მღრღნელები და ქვეწარმავლები სად, რა გარემოში ბინადრობენ. კლინიკაში, ექიმი-ტოქსიკოლოგის გადაწყვეტილებით, ანტიგიურზინის ვაქცინის გაკეთებას აპირებდნენ, მაგრამ ჩემი დაჟინებული თხოვნით, ვაქცინა არ გაუკეთეს, მხოლოდ მსუბუქი მკურნალობა ჩაუტარდა და გადარჩა.

ასე რომ, ჩვენს დასკვნაზე ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული.

**— გველებთან დაკავშირებით, ალბათ, კურიოზულ სიტუაციაშიც აღმოჩენილხართ..**

— ვაკეში, ატენის ქუჩაზე ხშირად გვიძახებდნენ. ხევის პირას აივნიანი სახლი დგას. ოჯახის დიასახლისს კატა ჰყავდა, რომელიც ყოველდღე ნადირობდა და ხევიდან ხან ცოცხალი, ხანაც მკვდარი გველხოკერა ამოჰყავდა და პატრონს კიბეზე უდებდა. კარის გაღება იყო და, გულშემოყრილი ქალი ტელეფონს ეცემოდა — გვირეკავდა, მიშველეთო.

ერთხელაც, ვარკეთილში გამოგვიძახეს, ქალი კიოდა, სამზარეულოში გველიაო. მივედით და მაცივრისა და გაზქურის უკანა მხრიდან, მართლაც, უშხამო გველი გამოვიყვანეთ. აღმოჩნდა, რომ ქალბატონი ბაზრიდან ბრუნდებოდა, გაჩერებაზე ჩანთებით იდგა, რომელშიც მწვანილი და სხვა ბალახეულობა ელაგა. ამ დროს გველმა ბალახი დაინახა და, სიცხისგან თავის დაფარვის მი-



„მესმის, რომ ხალხს გველის დანახვისაც ეშინია, მაგრამ უფალმა, როცა სამყაროს გადარჩენაზე ფიქრობდა, კიდობანში გველი ტყუილად არ ჩასვა. დღეს კი საქმე ასეა: კახეთში გიურზა ფართოდ რომ არ იყოს გავრცელებული, ღვინო არ იქნებოდა, რადგან გიურზა ვაზის ფოთლების მჭამელ მწერებს, თაგვებს, ვირთხებს, ხვლიკებს ანადგურებს, ანუ შეიძლება ითქვას, რომ გველი ბუნების სანიტარია“.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

21 – 27 იანვარი 2015 | № 3 (267) | 15

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ტერარიუმი

**„გველმა საერთოდ არ იცის, რა არის ბუდე. დედალი 20-25 ცალ კვერცხს დებს, იმ ადგილას ერთი კვირა გაჩერდება, ანუ ვიდრე პირველ კანს გამოიცვლის და მერე საცხოვრებლად სხვაგან გადადის. გამოძახებაზე მისულს ბევრჯერ გამიგონია შეძახილები, ახლა, მაგას აქ დედა, შვილი, და-ძმა ეყოლებაო, მაგრამ გამორიცხულია – გველი ოჯახით არსად ბინადრობს.**

**რაც შეეხება რძეს, ესეც ზღაპარია.... როცა ცხელა და სწყურია, ყველა შხამიანი და უშხამო გველი ნებისმიერ სითხეს მიირთმევს. რძეზე ლეგენდა კი შესაძლოა, იქიდან გავრცელდა, რომ აშშ-ში „რძის გველები“ ძროხებს თავს ესხმოდნენ. ერთხელაც, დააფიქსირეს, რომ გველი ცურზე იყო ჩამოკიდებული და გადაწყვიტეს, რომ რძე ყველა გველს უყვარს“.**



ზნით, ჩანთაში ჩაძვრა. ასე აიყვანა ქალბატონმა მერვე სართულზე ჩანთაში ჩასმული გველი.

ნურავინ დაიჯერებს, რომ გველი სწორ კედელზე აცოცდება და კიბეზე ავა, მაგრამ ხეზე, სუროსა თუ დანგრეული შენობის კედლებზე ადის და ასეთი გზით სახლში ხვდება. გამოძახება განსაკუთრებით ხშირი ე.წ. იტალიური ეზოებიდანაა: იქ დიდი სიგრილე, სინესტეა. გველი შეიძლება, კანალიზაციაში ჩაძვრეს, მაგრამ მერვე სართულზე, ტუალეტში არ ამოვა.

**– ქვეწარმავლებთან მუშაობისას რა დამცავი მექანიზმები გაქვთ?**

– გველები საშიში, მაგრამ საინტერესო არსებები არიან, თუ მათ მიმართ სიყვარული და პატივისცემა არ გაქვს, მუშაობა გაგიჭირდება. თბილისის ზოოპარკში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი უამრავი ჯიშის ქვეწარმავალი გვყავდა. ერთხელ, ცირკიდან მოვიდნენ და დახმარება გვთხოვეს – მახრჩობელა გველს ყბაზე პრობლემა ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ გველი სტომატიტით იყო დაავადებული. ვუმკურნალეთ, კმაყოფილნი დარჩნენ.

საერთოდ, გველის გაწვრთნა არ ხდება და გარკვეულ პირობებს თავად ეჩვევა. ზოოპარკში ორმეტრიანი პითონი გავზარდე, გარეთაც გამომყავდა, სასეირნოდ. ერთხელ, კურდღლებს ვაჭმევდი, მერე, პითონებისთვის უნდა მიმეხედა. დედალ-მამალ პითონს, ჭამის დროს, ტერარიუმში ვაცალკავებდი ხოლმე. მეჩქარებოდა, ხელი არ დავიბანე და, როგორც კი ტერარიუმში ჩავყავი, ჩემი გაზრდილი პითონი, კურდღლის სუნზე, მაშინვე მომვარდა და მიკბინა, მაგრამ ხელი არ გამიწევია.

**– რატომ?**

– მიხვდა, რომ კურდღელი არ იყო და შემეშვა. ხელი მაშინვე საპნიანი წყლით ჩამოვიბანე, სპირტი გადავივლე. ამ შემთხვევაში, გადავრჩი, მაგრამ ჩემმა მაშინდელმა უფროსმა სულ ერთი წამით მოადუნა ყურადღება და აფრიკიდან ახლადჩამოყვანილმა შხამიანმა გველმა დაგესლა. სამწუხაროდ, აფრიკიდან ვერ მოგვაწოდეს ვერც ვაქცინა და ვერც – ზუსტი რჩევა, როგორ გვეშველა დაკბენილისთვის. მართალია, ის ადამიანი დღეს ცოცხალია, მაგრამ შხამმა თავისი გაიტანა – მძიმე და ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად, დაინვალიდდა.

რაც შეეხება დამცავ მექანიზმებს, გველთან მხოლოდ შიშველი ხელით ვმოქმედებთ – გველი ხელით უნდა შეიგრძნო, კანი კანზე შეახო, ხელთათმანის გაკეთებას აზრი არ აქვს, შეიძლება, ხელი გაგიცურდეს, გაგისრიალდეს, კბენის შემთხვევაში კი, ქვეწარმავლის უწვრილესი კბილებისა და შხამისგან თავს ვერ დაიცავ.

**– გველები თბილისის რომელ უბანში უფრო ბუდობენ?**

– ხომ გითხარით, რომ გველს ბუდე არ აქვს. გველი შეიძლება, ნებისმიერ ადგილას იყოს – გარაჟებში, სადარბაზოში, ეზოში, სკოლაში, სკვერში. გველს სინესტე, სიგრილე, სიმყუდროვე უყვარს. ყოველთვის გზაზე მიდის და თუ სადმე გადაეყარეთ, ორისამი ნაბიჯით უკან დაიხიეთ, ეცადეთ, ფეხი არ დაადგათ. თუ მოხდა და, გველმა დაგგესლათ, დაუყოვნებლივ დარეკეთ 112-ზე – სადაც უნდა იყოთ, 24 საათის განმავლობაში მოგემსახურებით, ოღონდ ოპერატორს ზუსტი მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი უნდა ჩააწერინოთ.

**– ამას ხაზს რატომ უსვამთ?**

– არის შემთხვევები, როცა სახლის ტელეფონიდან დარეკავენ და შეშინებულები შინიდან გარბიან. სპეციალისტები კი, ეძებენ ქუჩას, შესახვევს... ამასობაში, დრო იკარგება. დაგვეხმარეთ, რომ მალე დავაფიქსიროთ თქვენი ადგილსამყოფელი და დროულად მოგხედოთ!

**– გველების გადაშენებადი სახეობები დაცულნი არიან?**

– წითელ წიგნში შეტანილია გველის რამდენიმე სახეობა, მაგრამ სამწუხაროდ, მათი დაცვის მექანიზმი არაა შემუშავებული. გველის დანახვისთანავე მოქალაქეები საშინელ დღეში ვარდებიან, ზოგს ენა უვარდება, გული მისდის და გველის მოკვლაზე პასუხისმგებლობა ვის უნდა დააკისრო?!

**– საქართველოში, სამკურნალო საშუალებების დამზადების მიზნით, გველის შხამს მოიპოვებენ?**

– გველის შხამის მოპოვებისთვის უზარმაზარი თანხები და ძვირადღირებული ბაზაა საჭირო – ლიცენზია, გველსაშენი, ვირთხების გამოყვანა, რაზეც ჩვენთან ჯერჯერობით არავის უზრუნია.

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

გაგრძელება მე-15 გვ.

## ტერარიუმი



## რუსეთმა სააკაშვილის წინააღმდეგ მასალები საერთაშორისო სასამართლოში გააგზავნა

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ადრე თუ გვიან, სასამართლოს წინაშე წარსდგება 2008 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩადენილი დანაშაულებისთვის, – ამის შესახებ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მარკინმა გამოცემა „სობესედნიკთან“ ინტერვიუში განაცხადა.**

**„ისტორია გვიჩვენებს, რომ ადრე თუ გვიან, ყველა, ვინც მსგავს დანაშაულებს ჩადის, პასუხის აგებს. საქართველოს ყოფილმა ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა პეკინის ოლიმპიადის გახსნის დღეს, სამხრეთ ოსეთში ჯარების შეყვანისა და რუს სამშვიდობოებზე თავდასხმის ბრძანება გასცა,“ – აცხადებს ვლადიმერ მარკინი.**

**მისივე თქმით, რუსეთში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება გენოციდის, მკვლელობისა და ომის წარმოების მეთოდებისა და აკრძალული საშუალებების გამოყენების ბრალდებით ჩატარდა.**

**მარკინის განცხადებით, ამ საქმის მასალები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოშია გადაგზავნილი.**

**„საერთაშორისო სამართლის ნორმები არ მოგვცემს უფლებას, ძებნა გამოვაცხადოთ სააკაშვილზე, რადგან მას უცხო ქვეყნის იმუნიტეტი იცავს,“ – განაცხადა ვლადიმერ მარკინმა.**

**„ინტერპრესნიუსი“**

## „ისლამური სახელმწიფო“ ორ იაპონელ მძევალში 200 მილიონ დოლარს ითხოვს

**„ისლამური სახელმწიფო“ ორი იაპონელი მძევლის – ჰარუნა იუკავასა და კენძი გოტო იოგოს მოკვლით იმუქრება, თუ მათ სანაცვლოდ 200 მილიონ დოლარს არ მიიღებს. ამის შესახებ დაჯგუფების მიერ ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოშია ნათქვამი. როგორც ვიდეოში ჩანს, „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკები“ გამოსასყიდის მიღებას 72 საათის განმავლობაში ითხოვენ. უცხოური მედიის ინფორმაციით, „ისლამურმა სახელმწიფომ“ ვიდეო მას შემდეგ გაავრცელა, რაც იაპონიის პრემიერ-მინისტრმა შინზო აბემ პირობა დადო, რომ 200 მილიონი დოლარით გაზრდიდა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების დახმარებას. „თქვენმა სახელმწიფომ სულელური გადაწყვეტილება მიიღო, გადაიხადოს 200 მილიონი დოლარი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენ 72 საათი გაქვთ, რათა აიძულოთ თქვენი მთავრობა, მიიღოს ბრძნული გადაწყვეტილება და 200 მილიონი დოლარი გადაიხადოს თავისი მოქალაქეების გადასარჩენად,“ – ნათქვამია „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებულ ვიდეოში. 2014 წლის ზაფხულში, „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა თავი მოკვეთეს ორ ამერიკელს – ჯეიმს გოულისა და სტივენ სოტლოფს. სექტემბერში სიკვდილით დასაჯეს ბრიტანელი დევიდ ჰეინსი, ჩამოახრჩეს ფრანგი ერვე გიურდელი და ამერიკელი პიტერ კესიგი.**

**„ინტერპრესნიუსი“**

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ტრაგედია

# ვინ შეუკვეთა იური ვაზაგაშვილის აფეთქება




**ბოლო ორ წელში, ეროსი კიწმარიშვილის შემდეგ, უკვე მეორე ცნობილ ადამიანს კლავენ – 2015 წლის 20 იანვარს, „ნაციონალების“ მმართველობის დროს, კერძოდ, 2006 წლის 2 მაისს, კორტებთან ჩაცხრილული ზურა ვაზაგაშვილის მამა, იური ვაზაგაშვილი კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში, შვილის საფლავზე ააფეთქეს. თვითმხილველთა თქმით, ვაზაგაშვილი სოფელში მეზობლის დაკრძალვაზე იმყოფებოდა, საიდანაც შვილის საფლავზე მივიდა და აფეთქებაც სწორედ ამ დროს მოხდა. თავდაპირველად ითქვა, რომ ვაზაგაშვილმა თითქოს თავი აიფეთქა, მაგრამ ეს ვერსია უტოპიაა, რადგან აფეთქების წინა დღეებში, ვაზაგაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და მისი შვილის მკვლელობაში მონაწილე პირების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა დააანონსა. ამასთან, პროკურატურამ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით აღძრა, რაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.**

მკვლელობაზე საუბრობს იური ვაზაგაშვილის დაც. მანანა ვაზაგაშვილი არც იმას გამორიცხავს, რომ ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი.

მკვლელობის ვერსიას იზიარებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძეც და ეჭვობს, რომ საქმე ჯგუფურ მკვლელობასთან გვაქვს.

„ეს კარგად ორგანიზებული მკვლელობაა, რომელშიც არაერთი პირი იყო ჩართული, ვინაიდან საფლავის დანაღმვას, შემდგომში კი, ნაღმის სისრულეში მოყვანას, აპარატურის მეშვეობით, ერთი და ორი ადამიანი ნამდვილად ვერ გააკეთებდა. ხელისუფლებას მოუწევს ამ ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფის გამოკვეთა, რათა იური ვაზაგაშვილის მკვლელებმა სათანადო პასუხი აგონ“, – აცხადებს მჟავანაძე.

მაინც, ვის აწყობდა იური ვაზაგაშვილის მკვლელობა?

ასეთი ტრაგედიის დროს პასუხისმგებლობა, როგორც წესი, ხელისუფლებას ეკისრება. ამ შემთხვევაში კი, ეს პასუხისმგებლობა გაორმაგებულია, რადგან იური ვაზაგაშვილი სიკვდილამდე ორი დღით ადრე აცხადებდა, რომ ის ადამიანები, ვინც 2006 წლის 2 მაისს მისი შვილი კორტებთან ჩაცხრილეს, ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, დაუსჯელები დადიან.

ხელაღებით რამის მტკიცება, ცხადია შეუძლებელია – ეს გამოძიების პრეროგატივაა, მაგრამ თუკი ვერსიებით ვიმსჯელებთ, შეიძლება, მივიდეთ დასკვნამდე, რომ ვაზაგაშვილის აფეთქებას პოლიტიკური სარჩული აქვს და აი, რატომ:

გარდა იმისა, რომ ვიღაცები ამ მკვლელობას ხელზე დაიხვევენ და იტყვიან, რომ ქვეყანაში კრიმინალმა პიკს მიაღწია – ადამიანებს, დღისით, მზისით კლავენ, **დასაშვებია, რომ გაუბედურებული მამის მკვლელობას უფრო შორს მიმავალი ზრახვებიც ჰქონდეს და ყველაფერ ამის უკან ისინი იდგნენ, ვინც ბოლო დროს რუსეთში დაძრწიან.**

თუკი გავყვებით ვერსიას, რომ ვაზაგაშვილის ცინიკური მკვლელობის კვალი ჩრდილოეთამდე მიდის, მაშინ ლოგიკურად გაჩნდება შეკითხვა, თუ რა სარგებელს ნახავს ამ მკვლელობით ჩვენდამი მტრულად განწყობილი მეზობელი.

„ქართული სიტყვისთვის“ კარგა ხანია, ცნობილია, რომ გარკვეული ადამიანები მოსკოვში დადიან და რუსულ პოლიტიკურ თუ სახელისუფლებო ელიტას არწმუნებენ, საქართველოში ჯარი შემოიყვანოს, მაგრამ რა საბაბით შემოვა რუსეთი? – ახლა 2008 წელი აღარაა, რომ ხელისუფლება რუსულ პროვოკაციას წამოეგოს. ამიტომ, სხვა საბაბია მოსაძებნი.

მართალია, „ოცნებას“ ისეთი რეიტინგი აღარ აქვს, როგორიც 2012 წლის საარჩევნო კამპანის დროს ჰქონდა, მაგრამ ხალხი, გაჭირვების მიუხედავად, იმ ზღვარზე არაა, რომ ქუჩაში გამოვიდეს. ამ ფონზე, სხვა „გამაღიზიანებელია“ საჭირო. მკვლელობა კი, მით უმეტეს, ისეთი ადამიანის, რომელსაც შვილი სადისტურად მოუკლეს და რომელიც, 2006 წლიდან მოყოლებული, სამართალს ეძებდა, მოსახლეობაზე ემოციურად იმოქმედებს და, საჭირო თუ გახდა, ქუჩაშიც გამოვა.

ქუჩის აქციები კი, კრემლს საქართველოს ხელახალი ოკუპაციის საბაბს მისცემს – ბოლოს და ბოლოს, რუსეთში მოქმედებს კანონი, რომლის ძალითაც, ფედერაციის ხელისუფლება ვალდებულია, სხვა ქვეყანაში მცხოვრები საკუთარი, ანუ რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოებაზე იზრუნოს.

ამასთან, არიან ქართველები, რომლებიც პუტინსა და მის გარემოცვას არწმუნებენ, რომ სწორედ ახლაა დრო, საქართველო დაიპყროს და ასეთი შანსი აღარასოდეს იქნება!

აღსანიშნავია, რომ ეს ადამიანები ბოლო დროს საქართველოშიც გააქტიურდნენ და ყურადღების მიპყრობას სხვადასხვა საზოგადოებრივი აქტივობით ცდილობენ.

ქვეყანაში ფართომასშტაბიანი არეულობის დაწყების კონტექსტში ჯდება, ასევე, „ნაციონალების“, კერძოდ, ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს მოკლული ბუტა რობაქიძის დედის, ია მეტრეველის განცხადებაც, რომელიც მან იური ვაზაგაშვილის აფეთქების შემდეგ გააკეთა: „ეს აფეთქება მოაწყეს იმ მკვლელებმა, რომლებიც დღემდე დაუსჯელები არიან და ეს, რა თქმა უნდა, უკავშირდება მისი შვილის საქმეს. შემდეგი მსხვერპლი ამ მკვლელების, ალბათ, მე ვიქნები“.

იური ვაზაგაშვილის აფეთქების შემდეგ, ნებისმიერი მოკლული ბიჭის მშობელს ან ახლობელს თმის ღერიც რომ ჩამოვარდეს, ეს ხალხისთვის უკვე ბოლო წვეთი იქნება!

საერთოდ, როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, მსგავსი მკლელობები რუსული სპეცსამსახურების ხელწერაა. ამასთან, გამორიცხული არაა, რომ გამოძიება იმ ადამიანზე გავიდეს, ვინც ვაზაგაშვილთან იყო დაახლოებული, ანუ რომ არა მეკავშირე, მკვლელები მიზანს ვერ მიაღწევდნენ – ესე იგი, ვიღაცამ იცოდა, რომ იური ვაზაგაშვილი სოფლიდან ისე არ წამოვიდოდა, შვილის საფლავზე რომ არ მისულიყო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გარდაცვლილი კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში დაკრძალვაზე მიდიოდა, შესაბამისად, შვილის საფლავსაც ნახავდა. მკვლელებმა თუ მკვლელობის შემკვეთებმა, როგორც ჩანს, ყველაფერი ეს წინდაწინვე გაითვალისწინეს და საფლავი დანაღმეს.

ვაზაგაშვილის ძმისშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი ეჭვობს, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა, სავარაუდოდ, საფლავზე მდგარ საყვავილეში იყო დამონტაჟებული

## „ამ მკვლელობაში არაერთი პირი იყო ჩართული...“

– თვითმხილველები ადასტურებენ, რომ აფეთქება ყვავილების ლარნაკში ჩადებისთანავე მოხდა.

ამასთან, სოფელში, როგორც ადგილობრივები ამბობენ, აფეთქების ხმა სამჯერ გაისმა და, იური ვაზაგაშვილი მარტო რომ არ ყოფილიყო, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა...

მოკლედ, ვერსიას, რომ საქმე წმინდა ჩრდილოეთურ მკვლელობასთან გვაქვს, არსებობის უფლება აქვს, თუმცა საინტერესოა, გამოძიება რა კვალს დაადგება. ასეა თუ ისე, ცხადია: იური ვაზაგაშვილის აფეთქება მხოლოდ გამოწვევა კი არა, ერთგვარი ცინიზმია – შვილმოკლული მამა შვილის საფლავზე მოკლეს!

მომხდარს ხელისუფლებაც გამოეხმაურა. იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა:

„ყველანი შოკში ვართ. ოპოზიციაში ყოფნის დროს, ბატონი იური ყოველთვის იყო ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მეგობარი, მრჩეველი და მებრძოლი, მედგარი ადამიანი. მათ, ვინც ეს ჩაიდინეს, რა თქმა უნდა, შესაბამისი ორგანოები უმკაცრეს პასუხს მიაგებენ. ჩემი მხრიდან კი, ამავე ადამიანებს მინდა, დავპირდე, რომ სტრასბურგში იური ვაზაგაშვილის მიერ დაწყებული საქმე, დიახ, მივა ბოლომდე. დიახ, იუსტიციის სახლის წინ მემორიალი იდგება იქ, სადაც დგას! როგორც ჩემთვის ცნობილია, თუმცა პროკურატურა ამაზე თავად ისაუბრებს, იური ვაზაგაშვილის შვილის საქმეზე გამოძიება საკმაოდ კარგ გზაზე დგას და შეიძლება, მალე შედეგიც დაიდოს და ეს შედეგი დაიდება. თავად იური ვაზაგაშვილის ტრაგიკულად გარდაცვალების საქმეზე კი, პროკურატურამ გამოძიება 109-ე მუხლით დაიწყო და აქაც უსწრაფესად უნდა დადოს შედეგი იმისთვის, რომ კანონმა იზეიმოს და კანონი კანონობდეს.“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, იური ვაზაგაშვილის გარდაცვალებას გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„შოკირებული ვარ მომხდარით. იური ვაზაგაშვილის სიკვდილი ყველა ჩვენგანისთვის თავზარდამცემია. მინდა, გულწრფელად მივუსამძიმრო ვაზაგაშვილების ოჯახს. ამ ოჯახში კიდევ ერთხელ დატრიალდა წარმოუდგენელი ტრაგედია. გამოძიება დაიწყო სს კოდექსის 109-ე მუხლით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში. მოვითხოვ მთავარი პროკურატურისგან, სასწრაფოდ გამოიძიოს იური ვაზაგაშვილის საქმე და უმოკლეს ვადებში დაასრულოს ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ყველა დამნაშავე დაისაჯოს კანონის მთელი სიმკაცრით,“ – აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის სამძიმრის წერილში, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის „ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნდა.

**ვანო პავლიაშვილი**



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

21 – 27 იანვარი 2015 | № 3 (267)



ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## საინფორმაციო მხარდაჭერა






# 1 3 5

### საბაკალავრო პროგრამები

- სამართალმცოდნეობა
- ჟურნალისტიკა
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ტურიზმი
- ინგლისური ფილოლოგია
- აგროინჟინერია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო მმართველობა
- სასურსათო ტექნოლოგიები

### საბაკალავრო პროგრამების არჩევითი მოდულები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- საბუღალტრო აღრიცხვა
- ტურიზმი
- ჰიდრომელიორაცია
- სს მექანიზაცია
- სს ელექტროფიკაცია

ინგლისური ფილოლოგიისა და სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამებზე *სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის ფარგლებში (minor ბიზნესის ადმინისტრირებაში, ან ტურიზმში)*

### სამაგისტრო პროგრამები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- ტურიზმი
- სადაზღვევო საქმე
- სურსათის უვნებლობა
- მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობა

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- სურსათის ტექნოლოგია – Food Technology - **0104**
- მეცხოველეობის პროდუქციის ნედლეულის წარმოება და პირველადი დამუშავება – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- ან სხვა სპეციალობის *minor*

**წლიური გადასახადი 2250 ლარი**



ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით




## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### 40 წლის დი კაპრიოს 26 წლის რიანა შეყვარებია

მსოფლიოში სახელგანთქმული ჰოლივუდელი, 40 წლის ლეონარდო დი კაპრიო, როგორც დასავლური მედია იუწყება, შეყვარებულია. ყოველ შემთხვევაში, თვითმხილველები ამბობენ, რომ ლეოს 26 წლის მომღერალ რიანას მიმართ ნაზი გრძნობები აქვს. მართალია, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ქალ-ვაჟი ერთად ადრეც გამოჩენილა, მაგრამ ადრე მათ ერთმანეთისთვის არ უკოცნიათ.

„ლეო და რირი (რიანას თიკუნია) ფლირტაობდნენ – წყნარ და ბნელ კუთხეში იყვნენ მოკალათებულნი და ერთმანეთს ვნებიანად კოცნიდნენ“, – ამბობს ლეოს ახლობელი.

### ყველაზე ლამაზი დედოფალი და პრინცი

მსოფლიოში ცნობილმა ლამაზი ადამიანების ინტერნეტ-პორტალმა – BeautifulPeople.com, რომელსაც 127 ათასი წევრი ჰყავს, პლანეტის სამეფო ოჯახების ყველაზე ლამაზი წევრების სია გამოაქვეყნა. ამ რეიტინგის მიხედვით, ყველაზე მომხიბლავი მონაკოს დედოფალი, დიდი მთავრის, რენიე მესამის მეუღლე გრეის პატრისია კელია, რომელიც 1982 წელს, ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა. სხვათა შორის, დასაფლავების დღეს გრეისს ფრენკ სინატრამ „დაბადებიდან დედოფალი“ უწოდა...

რაც შეეხება მამაკაცებს, ყველაზე სიმპათიურ მონარქების სიას შვედეთის უფლისწული კარლოს-ფილიპე ლიდერობს.

### კრიშტიანუ რონალდუმ ირინა შეიკი საბოლოოდ მიატოვა

ესპანელი ჟურნალისტების მონაცემებით, რუსი სუპერმოდელი ირინა შეიკი და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი, კრიშტიანუ რონალდუ ერთმანეთს საბოლოოდ დაშორდნენ, თუმცა ამ საკითხზე წყვილს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ცნობისთვის: ირინამ და რონალდუმ ერთად ლამის 4 წელი გაატარეს. ამ ხნის განმავლობაში, ირინა არაერთხელ ეცადა, რომ ფეხბურთელის საცოლე ოფიციალურად გამხდარიყო, მაგრამ ყველა მცდელობა ამაო აღმოჩნდა. წყვილის დაშორების შესახებ ხმა პირველად ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როცა ირინა „ფიფას“ ორგანიზებულ, ციურიხში გამართულ „ოქროს ბურთის“ ცერემონიალს არ დაესწრო, სადაც კრიშტიანუს „ოქროს ბურთი“ გადასცეს.

### უბიწო ამერიკელი და 14 ბიოლოგიური შვილი

36 წლის ტრენტ არსენო ამერიკელია, რომელსაც 14 შვილი ჰყავს, თუმცა ტრენტი ამტკიცებს, რომ სექსი არასოდეს ჰქონია. ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების სამმართველომ 36 წლის მამაკაცის ბიზნესის, ე.წ. ოჯახური სპერმის ბანკის გაუქმება სცადა.

„არსენოს ბანკში სპერმის შენახვის პირობები დაწესებულ სტანდარტს არ შეესაბამება“, – აცხადებენ მაკონტროლებლები. თავად ბიზნესმენი კი ამბობს, რომ მისი სპერმა ჯანსაღია და ამას 14 შვილიც მოწმობს.

„მალე 40 წელი შემისრულდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაშინაც უბიწო ვიქნები“, – ამბობს სპერმის დონორი.

### მუმია, რომელიც ყინულმა 5 საუკუნე შეინახა

1995 წელს, მეცნიერებმა პერუს სამხრეთით, ამპატოს მთაზე, 6 309 მეტრის სიმაღლეზე მუმია აღმოაჩინეს. გამოკვლევით დადგინდა, რომ 14 წლის გოგონა, ხუანიტა, რომელსაც მოგვიანებით ინკების ქალწული უწოდეს ღმერთებს ზვარაკად შესწირეს.

მკვლევარებმა, ასევე, დაადგინეს, რომ ყინული მუმიას 5 საუკუნე ინახავდა.









### ჯასტინ ბიბერი „კელვინ კლაინის“ სახე გახდა

მსოფლიო თინეიჯერების კერპი, კანადელი მომღერალი ჯასტინ ბიბერი „კელვინ კლაინის“ სახე ოფიციალურად გახდა და მონაწილეობა სპეციალურ ფოტოსესიაშიც მიიღო. ჯასტინის გარდა, ფოტოსესიაში ცნობილი მოდელი ლარა სტოუნიც მონაწილეობდა.

„დიდი ხანია, „კელვინ კლაინის“ თეთრეულს ვატარებ და ვოცნებობდი, რომ მისი სახე გავმხდარიყავი. ერთი წლის წინ, ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ფოტოსურათი გამოვაქვეყნე, რომელზეც „კელვინ კლაინის“ ტრუსი მაცვია, ფოტოს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. სამოდელო სახლმა ჩემთან თანამშრომლობა ამიტომაც გადაწყვიტა“, – ამბობს მომღერალი.

## არა-ჩვეულებრივი გვერდი

### დუბაის პრინცის 18-მილიარდიანი ქონება

ძვირადღირებული ავტომობილები, კერძო თვითმფრინავები, იახტები, — ეს დუბაის 32 წლის პრინცის, ჰამდან ბინ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაკტუმის ქონების არასრული ჩამონათვალია. პრინცმა, დუბაის ერთი-ერთი კერძო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა დიდი ბრიტანეთის ყველაზე პრესტიჟულ სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. პარალელურად, განათლებას ლონდონის ეკონომიკურ და დუბაის ეკონომიკური ადმინისტრირების მართვის კოლეჯებშიც იღებდა.

აღსანიშნავია, რომ დუბაის პრინცი, მამის მსგავსად, პოეზიით არის გატაცებული — ლექსებს წერს, რომელთაც ფსევდონიმით აქვეყნებს.

ამასთან, დუბაის პრინცი უბადლო მხედრის სახელითაცაა ცნობილი — აზიურ ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალიც მოიპოვა.

პრინცი, სახელმწიფო საქმეების პარალელურად, ქველმოქმედებითაცაა დაკავებული. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა უფლებებსაც იცავს.

არსებული ინფორმაციით, დუბაის პრინცის ქონება 18 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.







### სიცილი, როგორც სამკურნალო საშუალება

ბრიტანელი პედიატრების მტკიცებით, ბავშვი რომ ჯანმრთელი იყოს, დღეში მინიმუმ, 20-ჯერ მაინც უნდა გაიცინოს. ამასთან, სიცილი გაციების, გასტრიტისა და შეკრულობის საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაცაა.

როცა პატარა იცინის, იმაზე ბევრად მეტი კუნთი მოძრაობს, ვიდრე — ჩვეულებრივი ვარჯიშისას. მაშინ კი, როცა ბავშვი ფართოდ გაღებული პირით ხმამაღლა გამოთქვამს ბგერებს — „ჰა-ჰა-ჰა“, აქტიურად მომუშავე დიაფრაგმა ფილტვებსა და მუცლის ღრუს მასაჟს უკეთებს. სხვათა შორის, იოგები სუნთქვითი ვარჯიშებისთვის სწორედ ამ ვარჯიშს იყენებენ.

ექიმების თქმით, პირმოკუმულ სიცილს, ან ჩუმ ხითხითს სარგებლობა არ მოაქვს, პირიქით, ამ დროს სუნთქვა არარიტმულია, ფილტვები არ სუფთავდება და ორგანიზმი ჟანგბადის ნაკლებობას განიცდის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაიმახსოვრეთ: პატარას არ შთააგონოთ, რომ ხმამაღალი სიცილი უკულტურობაა! დათრგუნული სიცილი, შეკავებული ცრემლისა არ იყოს, ნელი მოქმედების ნაღმია, რომელიც შეიძლება, ნებისმიერ დროს „აფეთქდეს“, ანუ ე.წ. ფსიქოსომატურ დაავადებების, უპირველეს ყოვლისა კი, გასტრიტის, ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის და ბრონქიალური ასთმის მიზეზი გახდეს.

ბავშვის ნეიროიმუნოლოგიის (შეისწავლის ნერვულ სისტემაზე ემოციის ზემოქმედებას) ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამერიკელი მეცნიერი ბიტმანი გაციებულ, ჩუტყვავილით, ყბაყურით და წითელათი დაავადებული ბავშვის მშობლებს ავალებდა, პატარებისთვის მხიარული ზღაპრები წაეკითხათ, ეჩვენებინათ სასაცილო მულტფილმები. სიცილის თერაპიამდე და მას შემდეგაც ბიტმანი სისხლის სპეციალურ კვლევას ატარებდა, რითიც ნათელი ხდებოდა, რომ სიცილის თერაპია ანალიზს აუმჯობესებდა!

სიცილის თერაპია, ასევე, დადებითად მოქმედებდა კანის ალერგიული (დიათეზი, ჭინჭრის ციება) დაავადების მქონე ბავშვებზე.

შვედეთის ბავშვთა საავადმყოფოებში მკურნალობის კურსში ერთ-ერთი აუცილებელი ფორმა სიცილის თერაპიაა: მშობლები და მედპერსონალი ვალდებულნი არიან, პატარა პაციენტები სასაცილო თოჯინებითა და ატრიბუტებით გაართონ. ბელგიელი მედიკოსები კი ამტკიცებენ, რომ სიცილის თერაპია ბავშვებს მადას მატებს.

პედიატრები მშობლებს აფრთხილებენ, რომ ბავშვები ღიტინით არ გააცინონ...

### სტელა ტრაპში — შიშველი ლამაზმანი სოხუმიდან

სტელა ტრაპში აფხაზი ლამაზმანია — 2010 წელს „მის აფხაზეთი“ გახდა. მაშინ სტელა 18 წლის იყო. ალბათ, სწორედ ასაკმა მისცა გამბედაობა, რომ მამაკაცების ცნობილ ჟურნალ Maxim Magazinე-ის რუსულენოვანი გამოცემისთვის გაშიშვლებულიყო. სტელას ამ ნაბიჯმა აფხაზური საზოგადოება დაშოკა, მით უმეტეს, რომ ზემოხსენებულმა გამოცემამ მოდელის სკანდალური ინტერვიუც გამოაქვეყნა, სადაც მოდელი ამბობდა, რომ აფხაზი ქალები შეუხედავები არიან. ყოველივე ამის გამო, სტელას „აფხაზი ქსენია სობჩაკი“ უწოდეს.

აღსანიშნავია, რომ სტელას დედა რუსია. მართალია, სოხუმში გაიზარდა, მაგრამ ახლა მოსკოვში ცხოვრობს.

სტელა 174 სმ-ია და 46 კილოგრამს იწონის. თმა ქერა აქვს, თვალები — მწვანე,

მკერდის გარშემოწერილობა — 93 სმ, წელის კი, — 56.






### ლედი გაგა გეი-კლუბში გაშიშვლდა

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამერიკული პოპ-მომღერალი ლედი გაგა იმას აკეთებს, რაც თავში მოუვა. ეპატაჟურს სწორედ ამიტომაც უწოდებენ. ალბათ, გახსოვთ: თავის დროზე მომღერალი სცენაზე ხორცისგან შეკერილი კაბით გამოვიდა. ამას წინათ კი, გეი-კლუბში გაშიშვლდა. მოგვიანებით კი, ერთ-ერთ სოციალურ ქსელში დაწერა: „ლონდონის ერთ-ერთ გეი-კლუბში გასაოცარი ღამე მქონდა. ამდენი ხნის შემდეგ, თქვენ ისევ აგრძელებთ ჩემს გამხნევებას“.

### სამოთხის „ნაშები"
მე მირჩევნია
მტრედები შაშვებს,
მტრედს ჩემზე კარგი,
ნეტავ, ვინ ახლავს,
მე ვენაცვალე
„სამოთხის ნაშებს",
მე უკეთესი
არსად მინახავს!

### ლადო პაპავას!
მიხედეთ მომავალს,
აენთეთ ლამპარად,
უნივერსალებო,
მე თქვენი პაპა ვარ,
სახელად – ლადო და
გვარად ვარ პაპავა!

### უნიჭოთა გასაგონად
ჩვენს საცოდავ
საქართველოს
ფეხქვეშ მიწა შესძვრია,
ნიჭიერს და
განათლებულს
უნიჭონი ებრძვიან!

### აკაკი საიქიოდან
ვგრძნობდი, ქართველო,
სად მიდიოდი,
გავიდა დრო და
ველარ ჯანმრთელობ,
მე ვარ აკაკი
საიქიოდან
„ფურთხის ღირსი ხარ,
შენ, საქართველო!"

### ვის ავნო, შე „გავნო"?
დამიჯერეთ, ერთსაც გეტყვით,
ამ ლექსს „გავნო" ჰქვია და,
ერის ნახევარზე მეტი
ნაღდად გამოქლიავდა.

### დღევანდელ ტორეადორებს!
ერთებო, არა, ორებო,
გონს მოდით უფრო გონივრად,
მტერო ტორეადორებო,
ჩვენ თქვენ ხარები გგონივართ.





# „ქართული სიტყვა" უერთდება C ჰეპატიტის წინააღმდეგ ჯანდაცვის სამინისტროს, კერძოდ, მინისტრ დავით სერგეენკოს ინიციატივით წამოწყებულ კამპანიას STOP C




დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024
9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ქაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე.

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლეჟანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით